

მარინა მუჩიაშვილი
სიმონ გელაშვილი
ირინე მაისურაძე

მაკროეკონომიკური სტატისტიკა
სახელმძღვანელო
(განახლებული გამოცემა)
თბილისი
2018 წელი

რედაქტორი: ლილი გვენეტაძე-ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სრული პროფესორი.

რეცენზენტები:

ნ. ასლამაზაშვილი- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ზ. შონია- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

შინაარსი

წინასიტყვაობა

თავი I. შესავალი

1. მაკროეკონომიკური სტატისტიკის არსი
2. მონაცემთა ხარისხი
3. მაკროეკონომიკური სტატისტიკის პრაქტიკული გამოყენება ტესტები

თავი II. ეროვნული ანგარიშები

- 2.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი ანგარიშები
- 2.2. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით
- 2.3. ეროვნული შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდები საქართველოში ტესტები

თავი III. საგადასახდელი ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა

1. საგადასახდელი ბალანსი
2. საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა
3. საგარეო ვალის შესახებ სტატისტიკა
4. პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები და საერთაშორისო რეზერვები
5. საქართველოს საგადასახდელი ბალანსი, საგარეო ვაჭრობის ანალიზი.

ტესტები

თავი IV. მონეტარული და საფინანსო სტატისტიკა

1. მონეტარული და საფინანსო სტატისტიკის სფეროები
2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები
3. მონეტარული აგრეგატები და დიპოზიტარული კორპორაციები
4. დეპოზიტარული კორპორაციების მიმოხილვა
5. ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა
6. ფონდების მიმოქცევის სტატისტიკა
7. საქართველოს მონეტარული მაჩვენებლები და საბანკო სექტორი

ტესტები

თავი V. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა

1. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა
2. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

წინასიტყვაობა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეკონომიკაში სუსტი მხარეების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გატარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ძირითად სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენს. სსფ ამ სფეროში მნიშვნელოვან საქმიანობებს ახორციელებს, რომელთა შორისაა სსფ-ის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ იმ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების მომზადება, რომლებიც ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკური მონაცემების შესადგენად გამოიყენება. ეს სახელმძღვანელოებია: “სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო”, “საგადასხდელი ბალანსის სახელმძღვანელო”, “მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელო”, “ეროვნული ანგარიშების კვარტალური სახელმძღვანელო”, რომლებიც ჰარმონიზებულია 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან.

ნაშრომში მაკროეკონომიკური სტატისტიკის ოთხი ძირითადი ნაწილი- ეროვნული ანგარიშები, საგადასხდელი ბალანსი, მონეტარული და საფინანსო სტატისტიკა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა განხილულია, როგორც ინტეგრირებული სისტემა. ასევე, დეტალურადაა განხილული მაკროეკონომიკური სტატისტიკის სექტორებს შორის არსებული კავშირები, სტატისტიკურ მეთოდოლოგიაში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების საკითხები.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის ოთხი ძირითადი სფეროს მიხედვით არსებობს მრავალი ნაშრომი, მაგრამ მათი ერთმანეთთან დაკავშირება საკმაოდ რთულია არა მარტო არასპეციალისტებისა და სტუდენტების, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი. ეს ნაშრომი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვადასხვა სფეროებს შორის არსებული კავშირების უკეთ გაგებაში. იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდება ამ ოთხი საკვანძო სფეროს ჰარმონიზაცია, ნაშრომი ხსნის მათ საერთო თვისებებსა

და განსხვავებებს. ანალიტიკური ჩარჩოს ფარგლებში თითოეული კონცეფციის თვალსაჩინოების მიზნით მასში ასევე მოტანილია რიცხვითი მაგალითები.

ნაშრომის სტრუქტურიდან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ ის იქნება სათანადო წყარო ეკონომიკისა და სტატისტიკის სტუდენტებისათვის მაკროეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის საქმეში. მათ, ვისაც სურთ უფრო დეტალური ცოდნის შექენა საერთაშორისო კონცეფციებისა და ჩარჩოების შესახებ თითოეული მაკროეკონომიკური ანგარიშის მიხედვით, შეუძლიათ შესაბამისი სფეროების მიხედვით არსებული თანამედროვე სახის დამატებითი ლიტერატურის შესწავლაც.

თავი I. შესავალი

ნაშრომის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების მოთხოვნების დაკმაყოფილება. მასში მაკროეკონომიკური სტატისტიკის ოთხი ძირითადი მიმართულება: ეროვნული ანგარიშები, საგადასხდლო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია, მონეტარული და საფინანსო სტატისტიკა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა განხილულია, როგორც ერთიანი ინტეგრირებული სისტემა. სხვადასხვა მიმართულებებს შორის ურთიერთკავშირის საჩვენებლად, ნაშრომში განხილულია ტრანსაქციებზე არსებული სტატისტიკა, მონაცემები მარაგების(აქტივებისა და ვალდებულებების პოზიციის) შესახებ, კავშირები მარაგების შესახებ მონაცემებსა და ტრანსაქციებს შორის, ასევე, ამ ანგარიშებთან მჭიდროდ დაკავშირებული ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები.

ნაშრომში გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური სტატისტიკის სტანდარტებში არსებული ახალი ხედვები. ამ ოთხ ძირითად სფეროში სტატისტიკების მომზადების სტანდარტები შესაბამისობაშია მოყვანილი 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, შესაბამისადარის დადგენილი მაკროეკონომიკური სტატისტიკის ზოგადი კონცეპტუალური ჩარჩოებიც. 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ორ მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს, რაც გულისხმობს მარაგებისა და ნაკადების სრულ ინტეგრაციას და ანგარიშების სრულ ნაკრებს, რომლებიც ფარავენ წარმოებას, შემოსავალს, მოხმარებას, დანაზოგებს, ინვესტიციებსა და ფინანსურ საქმიანობებს, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისა და მთლიანად ეკონომიკისათვის.

1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პარალელურად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გადამუშავებულია საგადასხდლო ბალანსის სტატისტიკა, გაფართოვებულია მისი მასშტაბები და მასში ჩართულია საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1993 წელსვე გამოაქვეყნა საგადასხდლო ბალანსის წელიწადური(BPM5;

IMF,1993). ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2000 წელს შეიმუშავა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის მეთოდოლოგია- გამოიცა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წელიწადური(MFSM; IMF, 2000c), ხოლო 2001 წელს-სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგია. ამავე წელს გამოიცა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის წელიწადური 2001(GFSM 2001; IMF, 2001).

ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და სხვა საერთაშორისო სააგენტოებთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე IMF-ის მიერ შეიმუშავებული თითოეული სტატისტიკური სტანდარტი აღიარებული იქნა, როგორც სექტორისათვის საერთაშორისო სტანდარტი. გარდა იმისა, რომ ეს სტანდარტები ჰარმონიზებულია 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, თითოეული მათგანი ასევე ორიენტირებულია პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადებისკენაც, როგორცაა, საგადაამხდელი ბალანსის სიჭარბის ან დეფიციტის საზომები, ფისკალური პოზიცია და ფულისა და კრედიტის ზომები. დღეისათვის ისევ მიმდინარებს 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის და BPM5-ის განახლება, რათა მათში გათვალისწინებული და ასახული იქნას 1993 წლის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური საქმიანობების სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიმართულებების მნიშვნელოვანი თვისებაა ერთიდაიგივე საბაზისო კონცეფციების გამოყენება. ამგვარად, მაკროეკონომიკური სტატისტიკის ძირითად მიმართულებებზე გადასვლამდე, თავდაპირველად განვიხილოთ მათთვის დამახასიათებელი საერთო თვისებები. შემდეგ კი-მონაცემთა ხარისხი და 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პრაქტიკული გამოყენების საკითხები.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის ძირითადი მიზანია მომსახურება გაუწიოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ეს მიზანი შეიძლება საუკეთესოდ იქნას მიღწეული, თუ სხვადასხვა სახის სტატისტიკები არის რეალური და ამასთან, ერთმანეთთან თავსებადი.

ამ თავში განხილულია მაკროეკონომიკური სტატისტიკის საერთო მახასიათებლები: ინსტიტუციონალური ერთეულები და სექტორები; რეზიდენტობა; მარაგები(აქტივები/ვალდებულებები); ეკონომიკური ნაკადები და მათი ინტეგრაცია; ანგარიშგების წესები; საბაზრო ფასებით შეფასება და გადახედვის პროცედურები.

ინსტიტუციური ერთეულები და სექტორები

მაკროეკონომიკური სტატისტიკის ძირითადი ბლოკია ინსტიტუციური ერთეული. განვიხილოთ ამ ერთეულების ორი ტიპი და ხუთი სექტორი, რომლებშიც ხდება ამ ერთეულების დაჯგუფება.

ერთეულები

ეროვნულ მონაცემთა შემგროვებლები ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური საქმიანობების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ და აერთიანებენ სტატისტიკური მაჩვენებლების სახით. ინსტიტუციური ერთეული განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური ერთეული, რომელსაც გააჩნია აქტივების ფლობის, ვალდებულებების აღების, სხვა ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვის და სხვა ერთეულებთან ტრანსაქციების განხორციელების საკუთარი უფლებები. სხვა სიტყვებით, ინსტიტუციური ერთეული არის დანაყოფი, რომელსაც შეუძლია საქმიანობა საკუთარი საჭიროებებისათვის და რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ამ აქტივობებზე. კერძოდ, მას შეუძლია ფლობდეს აქტივებს, ასევე, მას შეუძლია აიღოს ვალდებულებები. ამ ერთეულისათვის მონაცემთა შემგროვებლებს შეუძლიათ მოიპოვონ არსებული ანგარიშები (ბალანსის ჩათვლით), ან მათ შესაძლებლობა აქვთ თვითონ შეადგინონ მათთვის ეს ანგარიშები.

გამოიყოფა ინსტიტუციური ერთეულების ორი სახე: შინამეურნეობები და იურიდიული და სოციალური ერთეულები, რომელთა არსებობა აღიარებულია სხვა ადამიანებისა ან სხვა ერთეულებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც შეიძლება ფლობდეს ან აკონტროლებდნენ მათ.

შინამეურნეობების შემთხვევაში მრავალწევრიანი ოჯახის ინდივიდუალური წევრები არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციური ერთეული, რადგან ისინი ფლობენ ბევრი სახის აქტივებს ერთობლივად, ასევე, ვალდებულებებსაც იღებენ ერთობლივად, მათ აქვთ საერთო შემოსავალი და ხარჯების შესახებ გადაწყვეტილებასაც იღებენ ერთობლივად.

ერთეულების მეორე სახე მოიცავს: კორპორაციებს, სახელმწიფო ერთეულებს და არამომგებიან ინსტიტუტებს. კორპორაციები აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას ბაზრისათვის და ისინი შეიძლება იყვნენ მოგების წყარო მათი მფლობელებისათვის, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ერთეულები საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ უპირატესად არასაბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით. არამომგებიანი ინსტიტუტები (NPIs) შეიძლება იყვნენ საბაზრო ან არასაბაზრო მწარმოებლები, მაგრამ ისინი არ შეიძლება იყოს მოგების წყარო მათი მფლობელებისათვის. კორპორაციების მსგავსად, ზოგიერთ არაკორპორაციულ ერთეულებს, რომლებიც მიეკუთვნება შინამეურნეობებს ან სახელმწიფო ერთეულებს, შეუძლიათ აწარმოონ საბაზრო

საქონელი და მომსახურება. თუ მათ აქვთ ანგარიშების სრული ნაკრები ან ამ ნაკრების შედგენა შესაძლებელია და ამასთან, თუ მათ შედგენას აზრი აქვს, სტატისტიკოსები მათ განიხილავენ როგორც კვაზი- კორპორაციებს და მათ ეპყრობიან ისევე, როგორც კორპორაციებს.

სექტორები

ინსტიტუციური ერთეულები მათი განსხვავებული ეკონომიკური მიზნებიდან, ფუნქციებიდან და ქცევიდან გამომდინარე იყოფა ეკონომიკს ხუთ ინსტიტუციურ სექტორად. ეს სექტორებია:

- არასაფინანსო კორპორაციების სექტორი;
- ფინანსური კორპორაციების სექტორი;
- ცენტრალური სახელმწიფო სექტორი;
- საოჯახო მეურნეობების მომსახურე არამომგებიანი ინსტიტუტები (NPISH);
- საოჯახო მეურნეობების სექტორი.

ამ ხუთ სექტორში, კორპორაციების ორი სექტორი აერთიანებს არა მხოლოდ კორპორაციებს, ასევე, კვაზი კორპორაციებსაც და NPI –საც, რომლებიც არიან საბაზრო მწარმოებლები. ცენტრალური სახელმწიფო სექტორი აერთიანებს იმ სახელმწიფო ერთეულებს, რომლებიც არ განიხილება როგორც კვაზიკორპორაციები და არასაბაზრო NPI –ს, რომლებსაც აკონტროლებს და ძირითადად აფინანსებს სახელმწიფო ერთეულები. საოჯახო მეურნეობების მომსახურე არამომგებიანი ინსტიტუტები (NPISH)სექტორი მოიცავს იმარასაბაზრო NPI –ს, რომლებსაც არ აკონტროლებს სახელმწიფო. და ბოლოს, შინამეურნეობები აერთიანებს საოჯახო მეურნეობებსა და მათ იმ არაკორპორირებულ საწარმოებს, რომლებიც არ განიხილება, როგორც კვაზი-კორპორაციები.

რეზიდენტობა(ადგილმდებარეობა)

განვიხილოთ შემდეგი ცნებები: რეზიდენტი, არარეზიდენტი, ეკონომიკური ტერიტორია და ეკონომიკური ინტერესები, ასევე, ის თუ როგორ უკავშირდება ინსტიტუციური სექტორები რეზიდენტობას.

რეზიდენტები- აღნიშნავს ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებსაც უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთან, ვიდრე სხვა ქვეყნებთან. რეზიდენტობა ეფუძვნება არა ეროვნულობას ან დენომინაციის

ვალუტას, არამედ იმას, თუ თუ სადაა ამ ერთეულის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი.

არარეზიდენტი არიან ერთეულები, ვინც არ არიან მოცემული ქვეყნის რეზიდენტები, ანუ არიან დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტები.

ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია შედგება სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებადი გეოგრაფიული ტერიტორიისაგან. ტერიტორიის შიგნით ადამიანები, საქონელი და კაპიტალი თავისუფლად ბრუნავს და გადაადგილდება. ის მოიცავს: საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს და კონტინენტურ შელფს, რომელიც მდებარეობს საერთაშორისო წყლებში, რომელზეც ქვეყანას აქვს განსაკუთრებული უფლებებიან რომელზეც აქვს იურისდიქცია ან პრეტენზია ეკონომიკური ექსპლოატაციის კუთხით. ის ასევე მოიცავს ტერიტორიულ ანკლავებს სხვა დანარჩენ მსოფლიოში, როგორცაა: საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები.

ინსტიტუციურ ერთეულს გააჩნია ეკონომიკური ინტერესის ცენტრი ქვეყანაში, როცა არსებობს გარკვეული ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, წარმოების ადგილმდებარეობა ან სხვა უძრავი ქონება, ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, სადაც ის არსებითადაა ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაშიან დროის უსასრულო მონაკვეთში, ან შემოსაზღვრულ, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში. საზოგადოდ განიხილება ერთწლიანი პერიოდში .

რა კავშირშია ინსტიტუციური სექტორები რეზიდენტობასთან?

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ყველა დონე- ცენტრალური, შტატის, ლოკალური- განიხილება როგორც მოცემული ქვეყნის რეზიდენტები, ანუ როგორც შიდა ეკონომიკის ნაწილი- მაშინაც კი, როცა ისინი საქმიანობენ საზღვარგარეთ. საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები განლაგებული საზღვარგარეთ განიხილება, როგორც საკუთარი ქვეყნის რეზიდენტები. და პირიქით, უცხო ქვეყნების საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, განლაგებული მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, არიან არარეზიდენტები. ასევე, არარეზიდენტებია უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციები. თუმცა, მომუშავე პერსონალის რეზიდენტობისათვის ვრცელდება ქვეყნის სხვა შიდამეურნეობებისათვის დაწესებული კრიტერიუმები.

რაც შეეხება ორ კორპორაციულ სექტორს -კორპორაცია (სახელმწიფო და კერძო) არის ქვეყნის(ეკონომიკური ტერიტორიის) რეზიდენტი, როცა ის აწარმოებს მასში საქონლის მნიშვნელოვან რაოდენობას ან როცა ის ფლობს მიწას ან ნაგებობებს, მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციას მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობს არარეზიდენტი. უცხოური კორპორაციის ქვედანაყოფი ან შვილობილი კომპანია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე განიხილება, როგორც

მოცემული ქვეყნის რეზიდენტი. პირიქით, რეზიდენტი კორპორაციის ქვედანაყოფი ან შვილობილი კომპანია განლაგებული უცხოეთში, განიხილება როგორც არარეზიდენტი. ოფშორული საწარმოები არიან რეზიდენტები იმ ეკონომიკის, სადაც ისინია განლაგებული, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი თავისუფალ საბაჟო ზონებში თუ სხვა რეგულაციებში.

საოჯახო მეურნეობების კლასიფიკაცია რეზიდენტებად ან არარეზიდენტებად. ადამიანი არის ქვეყნის რეზიდენტი, როცა მას საცხოვრებელი აქვს ქვეყანაში, რომელსაც იყენებენ ოჯახის წევრები, როგორც ძირითად საცხოვრებელს. ისინი, ვინც მუდმივად ცხოვრობენ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, თუ ისინი დროებით იმყოფებიან თუ არა საზღვარგარეთ (ტურისტად ან ბიზნეს მივლინებაში), განიხილებიან, როგორც რეზიდენტები. ანალოგიურად, პირები, ვინც მუშაობენ საზღვარგარეთ და ბრუნდებიან სახლში ლიმიტირებული პერიოდის შემდეგ (სეზონური მუშები და მესაზღვრეები) განიხილება იმ ქვეყნის რეზიდენტებად, სადაც ისინი ფლობენ სახლს (ბინას), მაშინაც კი, თუ ისინი ხშირად დიდი ხნით იმყოფებიან საზღვარგარეთ.

სტუდენტები, ვინც სწავლობენ საზღვარგარეთ, მიუხედავად იმისა, თუ რა დროით არიან ისინი იქ, მიეკუთვნებიან რეზიდენტებს.

მარაგები, ნაკადები და მათი ინტეგრაცია

მარაგები

მარაგები მაკროეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა და ის იზომება დროის მოცემული მომენტისათვის, ანუ ის აქტივებსა და ვალდებულებებს აფასებს დროის მოცემული მომენტისათვის. აქტივებს უნდა ფლობდეს ინსტიტუციური ერთეულები და ის მის მფლობელს უნდა აძლევდეს ეკონომიკურ სარგებელს. ეკონომიკური სარგებელი შეიძლება წარმოიქმნას ან ამ აქტივების გამოყენებით წარმოებაში (მაგალითად, მანქანა ან შენობა-ნაგებობა), ან უბრალოდ ამ აქტივების სხვა პირების მიერ გამოყენების სანაცვლოდ (პროცენტი, დივიდენდი ან რენტა).

მარაგები ჩაიწერება ბალანსში საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. მარაგები ფასდება იმ პერიოდის მიმდინარე საბაზრო ფასებში, როცა დგება ბალანსი.

აქტივები-მაკროეკონომიკური სტატისტიკის სისტემაში განისაზღვრება, როგორც ერთეულები, რომლებზეც ინსტიტუციური ერთეულები (ინდივიდუალურად ან კოლექტიურად) ახორციელებენ საკუთრების უფლებებს და რომელზეც მათ შეუძლიათ ეკონომიკური სარგებლის მიღება განსაზღვრულ პერიოდში მათი ფლობის ან გამოყენების საფუძველზე.

აქტივები არის ან არაფინანსური(მიწა, მანქანა-მოწყობილობები და მარაგები) ან ფინანსური(რაც საზოგადოდ წარმოადგენს ერთი ერთეულის მოთხოვნებს მეორის მიმართ), მაშინ, როდესაც ვალდებულებები არის ერთი ერთეულის მეორის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებები და ამდენად, არის ფინანსური აქტივების დამატება.

არაფინანსური აქტივები მოიცავს კვლავწარმოებად აქტივებს, როგორცაა მაგალითად, მანქანა-დანადგარები, და ასევე, არაკვლავწარმოებად აქტივებს, როგორცაა მაგალითად მიწა. ის ასევე მოიცავს ისეთ არამატერიალურ აქტივებს, როგორცაა, კომპიუტერული პროგრამები.

ფინანსური აქტივების უმეტესობა გულისხმობს ერთი ინსტიტუციური ერთეულის (რომელიც აწვდის რესურსებს)მოთხოვნებს მეორე ერთეულის მიმართ (რომელმაც უკან უნდა დაბრუნოს მიმწოდებელს). რესურსის მიმწოდებელ ერთეულს აქვს მოთხოვნები(აქტივები), და იმ ერთეულს, ვინც უკან უნდა დაუბრუნოს მსესხებელს, აქვს ვალდებულებები, რაც გვიჩვენებს აქტივები/ ვალდებულებები სიმეტრიას.

ფინანსური აქტივები/ ვალდებულებების ტიპური მაგალითებია ვალუტა (აქტივი- მფლობელისათვის და ვალდებულება- ცენტრალური ბანკისათვის); დეპოზიტები (აქტივები დეპოზიტორებისათვის და ვალდებულება- ბანკისათვის) და სესხები(აქტივები სესხის გამცემისა და ვალდებულებები-სესხის ამღებისათვის). ფასიანი ქაღალდები ასევე, გვიჩვენებს აქტივები/ ვალდებულებები სიმეტრიას. ფინანსური აქტივები ასევე, მოიცავს კორპორაციების მიერ გამოცემულ აქციებს. ის არის მფლობელის მოთხოვნა და კორპორაციის ვალდებულებები.

ფინანსური აქტივებია ასევე: მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლებები. მონეტარული ოქრო არის ოქრო, რომელსაც ფლობს ცენტრალური ბანკი ან მთავრობა, როგორც ოფიციალურ რეზერვს. ნასესხობის სპეციალური უფლებები არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომელსაც ქმნის სსფ და ათავსებს წევრ ქვეყნებში, რათა ჩაანაცვლოს არსებული ოფიციალური რეზერვები.

სხვაობა ერთეულის მთლიანი აქტივების(ფინანსური და არაფინანსური) მარაგსა და მისი ვალდებულებების მარაგს შორის განისაზღვრება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალის გაზომვისას ანალიტიკოსები კორპორაციის აქციებსა და კაპიტალის სხვა ვალდებულებებს შეიტანენ ვალდებულებათა მარაგებში. ამიტომ, წმინდა საკუთარი საშუალებები განსხვავებულია კომერციულ ბურალტერიაში გამოყენებული წმინდა კაპიტალისა და აქციისმფლობელთა ფონდების ცნებებისაგან.

ნაკადები

მარაგებისაგან განსხვავებით, ნაკადები არის ეკონომიკური სიდიდეები, რომელიც იზომება დროის რაღაც პერიოდისათვის. მათი ორი სახე არსებობს- ტრანსაქციები (შემდგომში გამოსახული გაცვლა-გამოცვლაში ან ტრანსფერებში) და სხვა ეკონომიკური ნაკადები(შემდგომში გამოსახული მოგება/ზარალიში და აქტივების სიდიდის ცვლილებაში).ნაკადები სრულად ასახავენ საანგარიშო პერიოდში აქტივების ან ვალდებულებების მარაგების სიდიდეში მომხდარ ცვლილებებს. კომპილატორები ნაკადების ამ ორ ტიპს ზომავენ საბაზრო ფასებში დროის იმ პერიოდისათვის, როცა ტრანსაქციას ან სხვა ეკონომიკურ ნაკადს ჰქონდა ადგილი.

ტრანსაქცია არის ინსტიტუციონალურ ერთეულებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ინტერაქცია. ის შეიძლება იყოს ორი სახის:გაცვლა/გამოცვლა და ტრანსფერები.

პირველ შემთხვევაში ერთი მხარე მიაწვდის მეორეს საქონელს, მომსახურებას, შრომას ან აქტივებს და სანაცვლოდ იღებს ანაზღაურებას. მეორეში კი ერთი მხარე მიაწვდის მეორეს საქონელს, მომსახურებას, შრომას ან აქტივებს და სანაცვლოდ არაფერს არ იღებს. მაგალითი, ერთი მთავრობა მიაწვდის მეორეს საკვებსა და მედიკამენტებს ბუნებრივი კატაკლიზმების დროს. ტრანსფერია ასევე გადასახადები, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გამომხდელმა შეიძლება სარგებელი მიიღოს სახელმწიფოს მიერ მიწოდებული კოლექტიური მომსახურებიდან, რომელიც ფინანსდება საგადასახადო შემოსავლებიდან. ეს იმის გამოა, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი გადახდილ გადასახადსა და მიღებულ სარგებელს შორის.

ნაკადების მეორე სახეა სხვა ეკონომიკური ნაკადები, რაც არის აქტივების (ან ვალდებულებების) მარაგებში მომხდარი ყველა სხვა სახისცვლილებები, რაც არ უკავშირდება ტრანსაქციებს. ეს ორი სახეა მოგება-ზარალის მიღება ან აქტივების სიდიდის ცვლილება.

პირველი წარმოიშვება, მაშინ, როცა აქტივების ფასები იცვლება პერიოდის განმავლობაში. იმ აქტივების ღირებულებებში ცვლილებების ჩათვლით, რომლებიც დენომირებულია უცხოურ ვალუტაში, როცა ვალუტის გაცვლითი კურსი იცვლება. მეორე სახე ფარავს მოვლენების ფართე წრეს. მაგალითად, მას მიეკუთვნება: ახალი ბუნებრივი რესურსების აღმოჩენა; აქტივების განადგურება ბუნებრივი კატაკლიზმების დროს; ვალდების ჩამოწერა და სხვა.

მარაგებისა და ნაკადების ინტეგრაცია

მარაგები (პერიოდის ბოლოს)=მარაგები (პერიოდის დასაწყისში)+ტრანსაქციები+ სხვა ეკონომიკური ნაკადები.

ბუღალტერიის წესები

მაკროეკონომიკური სტატისტიკის მეოთხე საერთო თვისებაა ბუღალტერიის წესები. მაკროეკონომიკური სტატისტიკის ყველა სისტემა ემყარება ორმაგი ჩაწერის საბუღალტრო სისტემას, სადაც ბუღალტერი თითოეულ ნაკადს ატარებს ორმაგი ჩანაწერით-როგორც სადებეტო და საკრედიტო ჩანაწერს. საბუღალტრო კონცეფცია ასევე, ემყარება დარიცხვის და საკასო მეთოდებს.

სადებეტო ჩანაწერი ეხება ერთეულის აქტივების ზრდას, ვალდებულებების შემცირებას, ან წმინდა ღირებულების (საკუთარი საშუალებების)(მაგალითად,ფასის) შემცირებას. საკრედიტო ჩანაწერი ეხება საპირისპიროდ ვალდებულების ზრდას, აქტივების შემცირებას ან ერთეულის ფასის(ღირებულების) ზრდას.

სახელმძღვანელოს მომდევნო თავები ეხება დეტალურად თითოეულ მთავარ მაკროეკონომიკურ ანგარიშს-ეროვნულ ანგარიშებს, საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო სავალუტო პოზიციას, მონეტარულ და საფინანსო სტატისტიკასა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკას-და მათ შორის არსებულ კავშირებს, რომლებიც ასახავენ სისტემებს შორის არსებულ საერთო ნიშნებს.

ტესტები

1. მაკროეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის სფეროებია:

- ა. ეროვნული ანგარიშები; საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა; მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა.
- ბ. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.
- გ. ეროვნული ანგარიშები; მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.
- დ. ეროვნული ანგარიშები; საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა; მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.
- ე. ეროვნული ანგარიშები; საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა; მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა; სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.

2. ეროვნული ანგარიშების, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მომზადების სტანდარტები შესაბამისობასია:

- ა. 1968 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან.
- ბ. 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან.
- გ. 2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან.
- დ. სრულად არც ერთი ზემოთაღნიშნულ სისტემასთან.

4. 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ორ მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს, რაც გულისხმობს:

- ა. მარაგებისა და ნაკადების სრულ ინტეგრაციას.
- ბ. მარაგებისა და ნაკადების სრულ ინტეგრაციას და ანგარიშების სრულ ნაკრებს.
- გ. ანგარიშების სრულ ნაკრებს, რომლებიც ფარავენ მხოლოდ წარმოებას.

დ. ანგარიშების სრულ ნაკრებს, რომლებიც ფარავენ მხოლოდ წარმოებასა და მოხმარებას.

5. ინსტიტუციური ერთეული განისაზღვრება, როგორც:

ა. ეკონომიკური ერთეული;

ბ. ეკონომიკური ერთეული, რომელსაც გააჩნია აქტივების ფლობის უფლება.

გ. ეკონომიკური ერთეული, რომელსაც გააჩნია აქტივების ფლობის, ვალდებულებების აღების, სხვა ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვის უფლება.

დ. ეკონომიკური ერთეული, რომელსაც გააჩნია აქტივების ფლობის, ვალდებულებების აღების, სხვა ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვის და სხვა ერთეულებთან ტრანსაქციების განხორციელების საკუთარი უფლებები.

6. გამოიყოფა ინსტიტუციური ერთეულები:

ა. სამი სახე;

ბ. ოთხი სახე;

გ. ხუთი სახე;

დ. ორი სახე.

7. ინსტიტუციური ერთეულები იყოფა:

ა. ორ ინსტიტუციურ სექტორად;

ბ. სამ ინსტიტუციურ სექტორად;

გ. ოთხ ინსტიტუციურ სექტორად;

დ. ხუთ ინსტიტუციურ სექტორად.

8. ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორებია:

ა. არასაფინანსო კორპორაციების სექტორი და ფინანსური კორპორაციების სექტორი;

ბ. ცენტრალური სახელმწიფო სექტორი და შინამეურნეობების სექტორი;

გ. ცენტრალური სახელმწიფო სექტორი; შინამეურნეობების სექტორი; არასაფინანსო კორპორაციების სექტორი, ფინანსური კორპორაციების სექტორი;

დ. არასაფინანსო კორპორაციების სექტორი, ფინანსური კორპორაციების სექტორი, ცენტრალური სახელმწიფო სექტორი, შინამეურნეობების მომსახურე არამომგებიანი ინსტიტუტები, შინამეურნეობების სექტორი.

9. კორპორაციების სექტორი აერთანებს:

ა. კორპორაციებსა და კვაზი კორპორაციებს.

ბ. კორპორაციებს, კვაზიკორპორაციებსა და შინამეურნეობების მომსახურე არამომგებიან ინსტიტუტებს.

გ. მხოლოდ კორპორაციებს.

10. რეზიდენტობა ეფუძვნება:

ა. მხოლოდ ეროვნულობას;

ბ. ეროვნულობასა და დენომინაციის ვალუტას.

გ. იმას, თუ სადაა ამ ერთეულის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი.

დ. ეროვნულობას, დენომინაციის ვალუტას და იმას, თუ სადაა ამ ერთეულის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი.

11. რეზიდენტებს არ მიეკუთვნება:

ა. ტურისტები, მივლინებაში მყოფი პირები;

ბ. სეზონური მუშები და მესაზღვრეები;

- გ. სტუდენტები, ვინც სწავლობენ საზღვარგარეთ;
- დ. ერთ წელზე მეტი ხნით ქვეყნიდან წასული პირები.

12. მარაგები იზომება:

- ა. დროის მოცემული პერიოდისათვის;
- ბ. დროის რაღაც პერიოდისათვის.

13. ნაკადები იზომება:

- ა. დროის მოცემული პერიოდისათვის;
- ბ. დროის რაღაც პერიოდისათვის.

თავი II

ეროვნული ანგარიშები

მეთოდოლოგიური საფუძვლები

საქართველოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (1993 SNA) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს ლოგიკურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ მაკროეკონომიკურ ანგარიშთა სისტემას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ კლასიფიკაციებსა და აღრიცხვის წესებს.

საქართველოში შემდეგი სახის ანგარიშებისა და საბალანსო ცხრილების შედგენასორციელდება:

1. წარმოების ანგარიში;
2. საქონლისა და მომსახურების ანგარიში;
3. შემოსავლების ფორმირების ანგარიში;
4. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში;
5. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში;
6. განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში;
7. კაპიტალის ანგარიში.

გარდა ამისა, მაკროეკონომიკური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიში (თუმცა, დღეისათვის საქართველოში მისი შედგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება).

ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადადორი განყოფილებისაგან შედგება.ესენია:

1. რესურსები
- 2.გამოყენება.

განვიხილოთ თითოეული ანგარიში დეტალურად.

1. წარმოების ანგარიში

წარმოების ანგარიში ასახავს ეას-ით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია დღგ, რომელიც ახასიათებს ინდივიდუალური მწარმოებლის, დარგის ან სექტორის წილს მშპ-ში.

წარმოების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება	გამომშვება საბაზისი ფასებში
მშპ- საბაზრო ფასებში	გადასახადები პროდუქციაზე
	(-) სუბსიდიები პროდუქციაზე
სულ	სულ

საქონლისა და მომსახურების ანგარიში

საქონლისა და მომსახურების ანგარიში გეიჩვენებს მთლიან რესურსებს-გამოშვებისა და იმპორტოს სახითდა საქონლისა და მომსახურების გამოყენებას: შუალედური მოხმარების, საბოლოო მოხმარების, მთლიანი კაპიტალის ფორმირებისა და ექსპორტის სახით, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე, პროდუქტების ჯგუფების მიხედვით

საქონლისა და მომსახურების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება	გამოშვება-საბაზისო ფასებში
დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე	საქონლისა და მომსახურების იმპორტი
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	გადასახადები პროდუქციაზე
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	(-)სუბსიდიები პროდუქციაზე
სტატისტიკური განსხვავება	
სულ	სულ

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

შემოსავლების ფორმირების ანგარიშიგეიჩვენებს პირველადი შემოსავლების სახეებს, მათი წარმოშობის წყაროების მიხედვით.

შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება	მშპ
ხელფასები	(-)ძირითადი კაპიტალის მოხმარება
სოციალური ანარიცხები	= წმინდა შიდა პროდუქტს
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	
გადასახადები პროდუქციაზე	
დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადები	
გადასახადი იმპორტზე დღგ-სა და აქციზის გარდა	
სხვა გადასახადები წარმოებაზე	
(-) სუბსიდიები	
მთლიანი საოპერაციო მოგება	
მთლიანი შერეული შემოსავალი	
წმინდა საოპერაციო მოგება	
(-) დარიცხული ცვეთა შინამეურნეობების სექტორში	
წმინდა შერეული შემოსავალი	

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშირეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებსა და სექტორებს წარმოადგენს, როგორც პირველადი შემოსავლების მიმღებებს. ეს ანგარიში ასახავს როგორც პირველად, ასევე, საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებს. ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია ეროვნული შემოსავალი.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“	მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	შრომის ანაზღაურება
	გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
	(-) სუბსიდიები
	შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“
სულ	სულ

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება ეროვნული შემოსავალი განკარგავად შემოსავლად.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
მიმდინარე ტრანსფერტები გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“	მთლიანი ეროვნული შემოსავალი
მთლიანი განკარგავალი შემოსავალი	მიმდინარე ტრანსფერტები, მიღებული „დანარჩენი მსოფლიოსაგან“
სულ	სულ

განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში

განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება განკარგვადი შემოსავალი საბოლოო მოხმარებად და დანაზოვად.

განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	მთლიანი განკარგვადი შემოსავალი
მათ შორის:	
შინამეურნეობები	
შმაკო	
სახელმწიფო მართვის ორგანოები	
მთლიანი დანაზოვი	
სულ	სულ

კაპიტალის ანგარიში

კაპიტალის ანგარიშიასახავს არაფინანსური აქტივების შექმნასა და გაყიდვას და წმინდა ღირებულების ცვლილებას, დანაზოვებისა და კაპიტალური ტრანსფერების მეშვეობით.

კაპიტალის ოპერაციების ანგარიში

ცვლილებები აქტივებში	ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	მთლიანი დანაზოვი
მარაგების ცვლილება	კაპიტალური ტრანსფერტების მიღება „დანარჩენი მსოფლიოსაგან“
=წმინდა დაკრედიტება(+)/ წმინდა სესხები(-) და სტატისტიკური განსხვავება	კაპიტალური ტრანსფერტების გაცემა დანარჩენ მსოფლიოზე(-)
სულ	სულ

ეას–ში ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში, დარიცხვის მეთოდით. საქონლისა და მომსახურების გამოშვების შეფასება ხდება საბაზისო ფასებში, შუალედური მოხმარებისა კი- მყიდველის ფასებში.

საბაზისო ფასი არის თანხა, რომელსაც მწარმოებელი იღებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ, მის წარმოებასა ან გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის გამოკლებითა და სუბსიდიების დამატებით.

მყიდველის ფასი არის ის თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი(გამოსაქვითი დღგ-სა ან ყველა სხვა სახის გამოსაქვითი გადასახადის გამოკლებით) მოცემულ დროსა და ადგილზე საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ეს ფასი მოიცავს მწარმოებლის მიერ დამატებით ტრანსპორტირებისა ან სხვა სახის მომსახურების ხარჯებს.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ხდება სამი მეთოდით:

1. წარმოების მეთოდით
2. შემოსავლების მეთოდით
3. საბოლოო მოხმარების მეთოდით.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია საქართველოში

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-93) სისტემის სტანდარტიზებული მეთოდოლოგია.

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ეროვნული ანგარიშების წარმოებისას იყენებს 1993 წლის მეთოდოლოგიას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წელს დასრულდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების სისტემის ახალ 2008 წლის ვერსიაზე და 2011 წლიდან დაიწყო SNA 2008 მეთოდოლოგიაზე ეტაპობრივად გადასვლის სამუშაოები. SNA 2008-ის მეთოდოლოგია ბევრ საკითხში იდენტურია SNA-93-ის პრინციპების და მხოლოდ რამოდენიმე საკითხში, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშის ნაწილში, შეტანილია გარკვეული ცვლილებები. განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე, ცვლილებები შევიდა კაპიტალის ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიაში. ძირითადად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, რაც SNA-93-ის მიხედვით განიხილებოდა როგორც მიმდინარე ხარჯები. ასევე, ცალკე იქნა გამოყოფილი

ინტელექტუალური საკუთრების ცნება და დაიხვეწამის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურმაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა.

მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისო დანიშნულების სამი სხვადასხვა მეთოდით:

წარმოების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკურის საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

გაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში

-
საქონელისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება

=
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში

+
გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე

-
სუბსიდიები პროდუქტებზე

=
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

გაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

+
შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება

+

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

შემოსავლების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

გაანგარიშების სქემა:

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე

დარიცხული გადასახადების ჩათვლით)

+ +

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგან მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება აისახება სტრუქტურით “სტატისტიკური განსხვავება”.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სეკ 001-2004), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 ბაზაზე. საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

ეროვნულ ანგარიშთა (SNA-93) სისტემით რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. ამასთან, რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე. მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ჯერ-ჯერობით ხდება მხოლოდ წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ორმაგი დეფლირების გზით, რაც ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

საერთაშორისო მეთოდოლოგია, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას, ითვალისწინებს დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვას.

დაუკვირვებადი ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

- ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები. მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვებები 45 სახის საქმიანობის მიხედვით დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;
- შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები. ოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით.
- ფასების სტატისტიკის მონაცემები მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების შესახებ დეფლირების განხორციელების მიზნით;

- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამმართველოს კვარტალური და წლიურიგამოკვლევის მონაცემები სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილიდამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად;
- ეროვნული ბანკის მონაცემები:
 - კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება კომერციული ბანკების გამოშვება.
 - ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება ეროვნული ბანკის გამოშვება.
 - აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით იანგარიშება ფინანსური შუამავლობისმომსახურების არაპირდაპირი შეფასების მაჩვენებელიც.
 - ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის მონაცემები;
- სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები, რის საფუძველზეც იანგარიშება სადაზღვევო კომპანიების გამოშვება. ეროვნული და კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების გამოშვებების შეჯამებით მიიღება საფინანსო შუამავლობის სექტორის გამოშვება.
- ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები (ნაერთი, სახელმწიფო დათვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების (გადასახადისსახეების მიხედვით) და გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკურიკლასიფიკაციის მიხედვით)), რომელთა დამუშავებით მიიღება სახელმწიფომმართველობის სექტორის მთლიანი გამოშვება; აგრეთვე გადასახადებიპროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).

(წყარო: საქსტატის მასალები).

დანართი 1. ინფორმაცია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*	I 2017*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	33921.6	8318.0
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მლნ. ლარი	20743.4	22241.4	23653.8	24454.9	25585.6	26322.5	27044.8	6015.1
მშპ-ის ნეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.7	5.1
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	8.6	9.5	1.0	-0.8	3.8	5.9	4.0	5.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი**	4675.7	5447.1	5818.1	5987.6	6491.6	8550.9	9117.7	2237.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი**	2623.0	3230.7	3523.4	3599.6	3676.2	3766.6	3852.5	859.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. აშშ დოლარი	11636.5	14438.5	15846.8	16139.9	16507.8	13988.1	14332.8	3195.7

(წყარო: საქსტატის მასალები)

ტესტები

1. საქართველოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს:

ა. ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (1993 შ) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

ბ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (1993 SNA) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

გ. ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის სტანდარტული მეთოდოლოგია.

დ. ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული მეთოდოლოგია.

2. საქართველოში ხორციელდება შემდეგი ანგარიშების შედგენა:

ა. წარმოების ანგარიშის, საქონლისა და მომსახურების ანგარიშის, შემოსავლების ფორმირების ანგარიშის, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშისა და განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის;

ბ. წარმოების ანგარიშის, საქონლისა და მომსახურების ანგარიშის, შემოსავლების ფორმირების ანგარიშის, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის, განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის და კაპიტალის ანგარიშის;

გ. წარმოების ანგარიშის, საქონლისა და მომსახურების ანგარიშის, შემოსავლების ფორმირების ანგარიშის, პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშის, განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის და კაპიტალის ანგარიშის შედგენა.

დ. წარმოების ანგარიშის, საქონლისა და მომსახურების ანგარიშის, შემოსავლების ფორმირების ანგარიშის, პირველადი შემოსავლების

განაწილების ანგარიშის, განკარგავდი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშისა და ფინანსური ამგარიშის შედგენა.

3. ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ორი განყოფილებისაგან შედგება. ესენია:

- ა. რესურსები და განაწილება;
- ბ. რესურსები და გამოყენება;
- გ. დანახარჯები /გამოშვება.
- დ. არცერთი არაა ზუსტი

3. მონიშნეთ წარმოების ანგარიშის მაჩვენებელი:

- ა.შუალედური მოხმარება;
- ბ.მთლიანი მოგება;
- გ.მთლიანი დაგროვება;
- დ.მთლიანი დაზოგვა.

4. მთლიანი დამატებული ღირებულება გამოიანგარიშების წესია:

- ა. გამოშვება მინუს შუალედური მოხმარება;
- ბ.გამოშვება + გადასახადები პროდუქციაზე - სუბსიდიები პროდუქციაზე;
- გ. გამოშვება + გადასახადები პროდუქციაზე - სუბსიდიები პროდუქციაზე-შუალედური მოხმარება;
- დ. გამოშვება + გადასახადები პროდუქციაზე-შუალედური მოხმარება;

5. მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც არის წარმოების ანგარიში რესურსების მხარეს:

- ა.საქონლისა და მომსახურების გამოშვება ძირითად ფასებში;
- ბ.საქონლისა და მომსახურების გამოშვება საბაზისო ფასებში;
- გ.შუალედური მოხმარება
- დ.მთლიანი დამატებული ღირებულება.

6. რომელი მაჩვენებელი აკავშირებს "წარმოებისა" და "შემოსავლების ფორმირების" ანგარიშებს?

ა. მთლიანი დამატებული ღირებულება;
ბ. მთლიანი მოგება
გ. ეროვნული შემოსავალი;
დ. მთლიანი ეროვნული განკარგავდი შემოსავალი.

7. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის რესურსების მუხლია:

ა. მშპ საბაზრო ფასებში;
ბ. მთლიანი მოგება;
გ. მთლიანი დაგროვება;
დ. შრომის ანაზღაურება.

8. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მუხლია:

ა. მშპ საბაზრო ფასებში;
ბ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
გ. გადასახადები პროდუქციაზე;
დ. მთლიანი მოგება.

9. რომელი არ არის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მუხლი:

ა. შრომის ანაზღაურება;
ბ. ხელფასები;
გ. სოციალური ანარიცხები;
დ. გადასახადები ექსპორტზე.

10. რომელი არის შემოსავლების განაწილების ანგარიშის გამოყენების მუხლი:

ა. მთლიანი მოგება;
ბ. მთლიანი შერეული შემოსავლები;
გ. შრომის ანაზღაურება;
დ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი.

12. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

ა. მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
ბ. მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული "დანარჩენი მსოფლიოდან";
გ. მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული "დანარჩენი მსოფლიოსათვის";

გ. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი.

11. კაპიტალის ანგარიში შედგება შემდეგი ორი განყოფილებისაგან:

- ა. რესურსებისა და გამოყენების;
- ბ. ცვლილებები ვალდებულებებში და ცვლილებები აქტივებში;
- გ. ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში და ცვლილებები აქტივებში;
- დ. ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში.

12. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

- ა. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი;
- ბ. მთლიანი დანაზოგი;
- გ. მარაგების ცვლილება;
- დ. წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხები და სტატისტიკური განსხვავება.

13. რომელი მაჩვენებელი აკავშირებს "შემოსავლების მეორადი განაწილებისა" და "განკარგვადი შემოსავლების გამოყენების" ანგარიშებს?

- ა. მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
- ბ. მთლიანი განკარგვადი შემოსავალი;
- გ. მთლიანი დანაზოგი;
- დ. მშპ.

14. მშპ საქართველოში გამოითვლება:

- ა. მხოლოდ წარმოების მეთოდით;
- ბ. მხოლოდ შემოსავლების მეთოდით;
- გ. მხოლოდ საბოლოო მოხმარების მეთოდით;
- დ. წარმოების, შემოსავლებისა და საბოლოო მოხმარების მეთოდებით.

15. სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მშპ მოცულობები:

- ა. ყოველთვის ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს;
- ბ. შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.
- გ. შეიძლება არსებითად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს;
- დ. არც ერთი პასუხი არ არის ზუსტი.

16. წარმოების ანგარიშის მუხლი არ არის:

- ა. გამოშვება
- ბ. შუალედური მოხმარება
- გ. მშპ
- დ. მთლიანი კაპიტალის მოხმარება

17. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მუხლი არ არის:

- ა. მშპ;
- ბ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
- გ. წმინდა შიდა პროდუქტი;
- დ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი.

18. პირველადი შემოსავლების განაწილების მუხლი არ არის:

- ა. მთლიანი მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები;
- ბ. შრომის ანაზღაურება;
- გ. გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე;
- ა. მთლიანი განკარგვადი შემოსავლები.

19. შემოსავლების მეორადი განაწილების მუხლი არ არის:

- ა. მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
- ბ. მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული დანარჩენი მსოფლიოდან;

გ. მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული დანარჩენი მსოფლიოსათვის;

დ. შრომის ანაზღაურება

20. კაპიტალის ოპერაციების ანგარიში შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:

ა. რესურსები და გამოყვება;

ბ. ცვლილებები ვალდებულებებსა და ცვლილებები აქტივებში;

გ. ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში;

დ. ცვლილებები ვალდებულებებსა და კაპიტალის წმინდა ღირებულებებში და ცვლილებები აქტივებში.

თავი III

საგადასახდელი ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა

1993 წლის წლიური საგადასახდელი ბალანსი (BPM5; IMF, 1993) ისევე, როგორც საერთაშორისო საგადასახდელი ფონდის მიერ გამოცემული 1948, 1950, 1961 და 1977 წლის საგადასახდელი ბალანსები, არის საერთაშორისო სტანდარტი, საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის განმსაზღვრელი ჩარჩო. ეს ჩარჩო ეხმარება სტატისტიკოსებს ქვეყნების მიხედვით ამ სფეროების შესახებ სტატისტიკის შეგროვებასა და ორგანიზებაში, ასევე ქვეყნების მიხედვით შედარებითი ანალიზის განხორციელებაში.

BPM5 –ის შემუშავების დროს ავტორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს SNA 1993-თან მის ჰარმონიზაციას. კერძოდ, ისევე, როგორც ეს განხორციელდა ეროვნული ანგარიშების შემთხვევაში, მათ გააფართოვეს საგადასახდელი ბალანსის ჩარჩოები, და მასში გაითვალისწინეს საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ტრანსაქციები, სხვა სახის ეკონომიკური ნაკადები და მარაგები(IIP).

საერთაშორისო საფინანსო კრიზისებმა ხაზი გაუსვა საიმედო და დროული სტატისტიკების- განსაკუთრებით მარაგების შესახებ მონაცემების,

როგორც დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ქვეყნის მგრძობიარობის შეფასების კრიტიკული ელემენტის მნიშვნელობას.

საგადამხდელო ბალანსი

ამ თავში განვიხილავთ საგადამხდელო ბალანსის ანგარიშების სამ ტიპს: მიმდინარე ანგარიშს, რომელშიც მოცემულია არარეზიდენტებთან საქონლისა და მომსახურების, შემოსავლისა და მიმდინარე ტრანსფერების შესახებ ტრანსაქციები. კაპიტალის ანგარიშში, სადაც ასახულია კაპიტალურ ტრანსფერებსა და არაკვლავწარმოებად, არაფინანსურ აქტივებზე ტრანსაქციები; და ფინანსური ანგარიშში, სადაც ასახულია საგარეო ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში განხორციელებული ტრანსაქციები. აქ ასევე განხილულია სიჭარბისა და დეფიციტის საკითხები. და ბოლოს, მოცემულია საგადამხდელო ბალანსის წარმოდგენის ორი ფორმა: სტანდარტული და ანალიტიკური.

საგადამხდელო ბალანსსა და IIP-ს შორის არსებული კავშირების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით განვიხილოთ ცხრილი.

ცხრილი . საგადამხდელო ბალანსი და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (IIP) ჩარჩოები

<p>მიმდინარე ანგარიში (საქონელი, მომსახურება შემოსავალი და მიმდინარე ტრანსფერები</p>
--

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

კაპიტალის ანგარიში

მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი

IIP	ფინანსური ანგარიში	სხვა	
IIP			
წლის დასაწყისში ბოლოს	ფინანსური აქტივები/ ვალდებულებები	ეკონომიკური ნაკადები	წლის

ИП აერთიანებს საგარეო ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მარაგებს წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, ტრანსაქციების, რევალვაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების გათვალისწინებით.

ცხრილი. მიმდინარე ანგარიში: სტანდარტული კომპონენტები

საქონელი და მომსახურება

საქონელი

მომსახურება

ტრანსპორტირება

მგზავრობა

საკომუნიკაციო სექტორი

მშენებლობის მომსახურება

სადაზღვევო მომსახურება

ფინანსური მომსახურება, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება

როიალტები და სალიცენზიო მოსაკრებლები

სხვა ბიზნეს მომსახურებები

პერსონალური, კულტურული და სარეკრეაციო მომსახურება

სახელმწიფო მომსახურება (რომელიც სხვაგან არ არის არსად ასახული)

შემოსავალი

ხელფასები

საინვესტიციო შემოსავალი

პირდაპირი ინვესტიციები

პორტფელური ინვესტიციები

სხვა ინვესტიციები

გ. მიმდინარე ტრანსფერები

1. ცენტრალური ხელისუფლება

- 2. სხვა სექტორები
 - 2.1. ფულადი გზავნილები
 - 2.2. სხვა ტრანსფერები

ცხრილი. კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები: სტანდარტული კომპონენტები.

კაპიტალის ანგარიში

- 1. კაპიტალური ტრანსფერები
 - 1.1. ცენტრალური ხელისუფლება
 - 1.2. სხვა სექტორები

- 2. არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა

ბ. ფინანსური ანგარიშები

- 1. პირდაპირი ინვესტიციები
 - 1.1. საზღვარგარეთ
 - 1.2. მოცემულ ქვეყანაში
- 2. პორტფელური ინვესტიციები
 - 2.1. აქტივები
 - 2.1.1. კაპიტალის ფასიანი ქაღალდები
 - 2.1.2. ვალის ფასიანი ქაღალდები
 - 2.2. ვალდებულებები
 - 2.2.1. კაპიტალის ფასიანი ქაღალდები
 - 2.2.2. ვალის ფასიანი ქაღალდები
- 3. ფინანსური დერივატივები
 - 3.1. აქტივები
 - 3.2. ვალდებულებები
- 4. სხვა ინვესტიციები
 - 4.1 აქტივები
 - 4.1.1. სავაჭრო კრედიტები
 - 4.1. 2. სესხები
 - 4.1.3. ვალუტა და დეპოზიტები

- 4.1.4. სხვა აქტივები
- 4.2. ვალდებულებები
 - 4.2.1. სავაჭრო კრედიტები
 - 4.2. 2. სესხები
 - 4.2.3. ვალუტა და დეპოზიტები
 - 4.2.4. სხვა აქტივები
- 5. სარეზერვო აქტივები
 - 5.1. მონეტარული ოქრო
 - 5.2. ნასესხობის სპეციალური უფლებები
 - 5.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდში სარეზერვო პოზიცია
 - 5.4. უცხოური ვალუტები
 - 5.5. სხვა მოთხოვნები

ცხრილი. საგადასდელო ბალანსის სტანდარტული წარმოდგენა

	კრედიტი	დებეტი
მიმდინარე ანგარიში	619	578
საქონელი და მომსახურება	540	499
საქონელი	462	392
მომსახურება	78	107
შემოსავალი	69	40
მიმდინარე ტრანსფერები	10	39
კაპიტალის და ფინანსური ანგარიში		
კაპიტალის ანგარიში	1	4
ფინანსური ანგარიში	50	88
პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ	0	3
პირდაპირი ინვესტიციები მოცემულ ქვეყანაში	2	0
პორტფელური საინვესტიციო აქტივები	0	20

პორტფელური საინვესტიციო ვალდებულებები	5	0
ფინანსური წარმოებულების აქტივები	0	0
ფინანსური წარმოებულების ვალდებულებები	0	0
სხვა საინვესტიციო აქტივები	0	64
სხვა საინვესტიციო ვალდებულებები	43	0
სარეზერვო აქტივები	0	1

ცხრილი. საგადამხდელი ბალანსი- ანალიზური წარმოდგენა

21. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი(*)	41
საქონელი: ექსპორტი (ფრანკო ვაგონი)	462
საქონელი: იმპორტი (ფრანკო ვაგონი)	-392
ბალანსი საქონელი	70
მომსახურება: კრედიტი	78
მომსახურება: დებეტი	-107
ბალანსი საქონელსა და მომსახურებაზე	41
შემოსავალი: კრედიტი	69
შემოსავალი: დებეტი	-40
ბალანსი საქონელი, მომსახურება, შემოსავალი	70
მიმდინარე ტრანსფერები: კრედიტი	10
მიმდინარე ტრანსფერები: დებეტი	-39
22. კაპიტალის ანგარიში ბალანსი(*)	-3

კაპიტალის ანგარიში: კრედიტი	1
კაპიტალის ანგარიში: დებეტი	-4
სულ ა)+ბ).	38
გ. ფინანსური ანგარიშის ბალანსი(*)	-37
პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ	-3
პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში	2
პორტფელური საინვესტიციო აქტივები	-20
პორტფელური საინვესტიციო ვალდებულებები	5
საფინანსო წარმოებულების აქტივები	0
საფინანსო წარმოებულების ვალდებულებები	0
სხვა საინვესტიციო აქტივები	-64
სხვა საინვესტიციო ვალდებულებები	43
სულ ა)+ბ)+გ)	1
დ.შეცდომები და გამოტოვებები	0
სულ: ა)-დან დ)-მდე	1
ე. რეზერვები და მასთან დაკავშირებული მუხლების ბალანსი	-1
სარეზერვო აქტივები	-1
IMF-ის კრედიტებისა და სესხების გამოყენება	0
გამონაკლისის სახის დაფინანსებები	0

*- არ მოიცავს იმ კომპონენტებს, რომლებიც შედის ე) ჯგუფში.

ცხრილი. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია

	პოზიცია წლის დასაწყის ში	ტრანსაქ ციები	ფასებისა და გაცვლითი კურსის ცვლილებ ები	სხვა შესწო რე- ბები	პოზიცი ა წლის ბოლოს
აქტივები	573	50	7	0	630
პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ	113	2	3	0	118
პორტფელური ინვესტიციები	125	5	4	0	134
ფინანსური წარმოებულები	0	0	0	0	0
სხვა ინვესტიციები	335	42	0	0	377
სარეზერვო აქტივები	0	1	0	0	1
ვალდებულებე ბი	297	88	3	0	388
პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში	3	3	0	0	6
პორტფელური ინვესტიციები	77	20	2	0	99
ფინანსური წარმოებულები	0	0	0	0	0
სხვა ინვესტიციები	217	65	0	0	283

საქართველოს საგადასხდელო ბალანსის შედგენის მეთოდოლოგია

საქართველოს საგადასხდელო ბალანსის კომპილაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში 2007 წლიდან წარმოებს.

საქართველოს საგადასხდელო ბალანსი, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და საგარეო ვალი დგება კვარტალური და წლიური პერიოდულობით და გამოისახება ათას აშშ დოლარებში. აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საგარეო ეკონომიკური ოპერაციების შესახებ.

საქართველოს საგადასხდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და საგარეო ვალის გადახედვა რეგულარულად წარმოებს და შეიძლება შეეხოს ნებისმიერ პერიოდს. ამ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია 2001 წლის 31 აგვისტოსათვის არსებული ყველა შესწორება.

საგადამხდელო ბალანსის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საგადამხდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანსაქციებს. ინფორმაციის კლასიფიკაცია და კომპილაცია ხდება საერთაშორისო სტანდარტების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელოს (მეხუთე გამოცემა) შესაბამისად.

განმარტებები და ძირითადი პრინციპები

სტრუქტურულად საგადამხდელო ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიში მოიცავს: საქონელს, მომსახურებას, შემოსავალსა და მიმდინარე ტრანსფერტებს. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში კი-კაპიტალურ ტრანსფერტებს, პირდაპირ ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.

საგადამხდელო ბალანსი ასახავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ოპერაციებს.

ეკონომიკური ერთეული ითვლება რეზიდენტად, თუ მისი ეკონომიკური ინტერესის ცენტრი და მუდმივი ადგილმდებარეობა არის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მოქალაქეობა მხედველობაში არ მიიღება.

ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია შედგება მისი მთავრობის მიერ ადმინისტრირებული გეოგრაფიული ტერიტორიისაგან, სადაც ადამიანები, საქონელი და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობს და ემორჩილება ერთიან ფისკალურ და მონეტარულ ხელისუფლებას. ეკონომიკური ტერიტორია ასევე მოიცავს: საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, ტერიტორიებს საერთაშორისო წყლებში, სადაც ქვეყანა სარგებლობს ექსკლუზიური უფლებებით, ტერიტორიულ ანკლავებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, თავისუფალი ზონები და ა. შ. თავის მხრივ, მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიად არ ჩაითვლება სხვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები, რომლებიც აღნიშნული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ითვლება, რომ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს ეკონომიკური ინტერესის ცენტრი ამა თუ იმ ქვეყანაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებობს მისი საცხოვრებელი ადგილი, წარმოების ადგილი ან სხვა უძრავი ქონება, რომელსაც აღნიშნული პირი იკავებს, ან განზრახული აქვს დაიკავოს, განუსაზღვრელი ვადით ან ხანგრძლივი პერიოდით (ერთი ან მეტი წლით).

ძირითადი პრინციპი, რომელიც მიიღება ტრანსაქციების შეფასებისას მხედველობაში, არის საბაზრო ფასი, რომელიც განისაზღვრება, როგორც თანხა, რომელსაც მყიდველი თავისი ნებით იხდის რაიმეს შესაძენად გამყიდველის სურვილის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე არის დამოუკიდებელი და

აღნიშნული ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ კომერციული შეხედულებებიდან გამომდინარე.

ტრანსაქციის აღრიცხვის დროდმიინწევა რეალური დრო, ან ხდება იმ მიახლოებული დროის შეფასება, როცა მოხდა საკუთრებაზე უფლების ცვლილება. ეს არის დრო, როდესაც მოხდა ფინანსური ოპერაციის რეგისტრაცია ბანკის ან საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში.

საგადამხდელო ბალანსი არ გულისხმობს “გადასახდელებს” ამ სიტყვის ზოგადი გაგებით, არამედ ის მოიცავს ტრანსაქციებს, რადგან ზოგიერთი საერთაშორისო ტრანსაქცია არ გულისხმობს ფულის გადახდას(მაგალითად, ბარტერი), ზოგი კი საერთოდ არ მოითხოვს რაიმე სახით გადახდას(მაგალითად მემკვიდრეობა).

ეკონომიკის სექტორები

საგადამხდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტები – პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები და სხვა ინვესტიციები-თავის მხრივ, იყოფა ოპერაციის მონაწილე რეზიდენტების ეკონომიკური სექტორების მიხედვით. გამოიყოფა ოთხი სექტორი:

- მონეტარული ხელისუფლება-საქართველოს ეროვნული ბანკი;
- სამთავრობო სექტორი, რომელიც მოიცავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს;
- საბანკო სექტორი-საქართველოს კომერციული ბანკები;
- სხვა სექტორები, რომელშიც შედის: ინდუსტრიული და კომერციული საწარმოები, სადაზღვევო კომპანიები, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები, შინამეურნეობები და სხვა.

ტრანსაქციის ტიპები:

-გაცვლითი ტრანსაქციები-საგადამხდელო ბალანსში ასახული ტრანსაქციების უმეტესობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც გაცვლითი ტრანსაქციები, როდესაც ტრანსაქციის ერთი მხარე მიაწვდის რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას მეორე მხარეს და მისგან სანაცვლოდ იღებს ექვივალენტურ ღირებულებას.

-ტრანსფერტები-ეს არის ტრანსაქციები, როდესაც ერთი მხარე მიაწვდის მეორე მხარეს რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ მისგან არ იღებს არანაირ ღირებულებას.

-მიგრაცია- ფიზიკური პირის მიგრაციას ერთი ქვეყნიდან მეორეში თან ხდევს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მიგრაციაც.

ტრანსაქციების უკანასკნელი ორი ფორმა ცალმხრივი ტრანსაქციების ტიპს განეკუთვნება. ამიტომ, ორმაგი ჩაწერის პრინციპი საგადამხდელო ბალანსში მოითხოვს საპასუხო ჩანაწერის გაკეთებას საპირისპირო ნიშნით.

-პირობითი ტრანსაქციები-ეს არის საგადამხდელო ბალანსში განხორციელებული ჩანაწერები, როდესაც ფაქტიურად ფულადი ნაკადების მოძრაობა არ მომხდარა, მაგალითად უცხოელი ინვესტორების მოვების რეინვესტიცია.

-მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია და რევალვაცია-საგადამხდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ეს მუხლები გამოხატავს კრედიტორის ან დებეტორის მოტივაციას. პერიოდულად, მოტივაციის ცვლილებასთან ერთად, ხდება ფინანსური ანგარიშის მუხლების რეკლასიფიკაციაც.

ზემოთ ჩამოთვლილი ტრანსაქციები(გარდა რეკლასიფიკაციისა და რევალვაციისა, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში გვხვდება) აისახება საგამსამხდელო ბალანსის სხვადასხვა მუხლებში. ამ მუხლების სტრუქტურა შემდეგია:

საქონელი- მოიცავს ტრანსაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტ/იმპორტთან, და გამოხატავს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების ცვლილებას (ზოგადი ვაჭრობა, პორტებში შექმნილი საქონელი და არამონეტარული ოქრო), ან არ მოიცავს საკუთრების ცვლილებას (საქონელი გადამუშავებისათვის, საქონლის რემონტი).

მომსახურება მოიცავს ყველა სახის მომსახურებას, რასაც უწევენ რეზიდენტები არარეზიდენტებს ან პირიქით.

-სატრანსპორტო მომსახურებაში შედის საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურება, აგრეთვე მილსადენით ტრანსპორტირება. მგზავრების, ტვირთის (ფრახტის) ტრანსპორტირება და სხვა სახის სატრანსპორტო მომსახურება(ტვირთის მოვლა, შენახვა, სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და სხვა) კლასიფიცირდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, გარდა მილსადენით ტრანსპორტირებისა.

- ტურისტული მომსახურება- აღნიშნული მუხლი კრედიტის მხარეს აღრიცხავს საქართველოში ყოფნისას არარეზიდენტი მგზავრების სამოგზაურო დანახარჯებს, როგორც ბიზნესის, ასევე, პირადი მიზნებისათვის. რეზიდენტი ტურისტებისსამოგზაურო ხარჯები უცხო ქვეყანებში აღრიცხება ტურისტული ხარჯების დებეტის მხარეს.

-საკომუნიკაციო მომსახურება გულისხმობს საერთაშორისო საკომუნიკაციო ტრანსაქციებს-საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ინფორმაციის გადაცემას და ა. შ.

-ფინანსური მომსახურება მოიცავს საფინანსო შუამავლობასა და დამხმარე მომსახურებას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

-სხვა მომსახურება ასახავს ისეთი ტიპის მომსახურებას, როგორცაა სამშენებლო, სადაზღვევო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, როიალტი და ლიცენზიის გადასახადი, სხვა ბიზნესს მომსახურება, პირადი, კულტურული და სარეკრეაციო მომსახურება, სამთავრობო მომსახურება და სხვა.

-შემოსავალი მოიცავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ორი ტიპის ფულად ნაკადს.

-მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხელფასისა თუ სხვა სარგებლის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით, გადახდილი დამქირავებლის მიერ დაქირავებულზე, როცა მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან. ეს ანაზღაურება ასევე, მოიცავს გადასახადებს, რომელთაც იხდის დაქირავებული მასპინძელ ქვეყანაში, რაც აღირიცხება როგორც საპირისპირო ჩანაწერი მიმდინარე ტრანზაქციების მუხლში. დაქირავებულის დანახარჯები მასპინძელ ქვეყანაში აღირიცხება, როგორც საკორესპონდენტო ჩანაწერი ტურისტული მომსახურების მუხლში.

-საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს რეზიდენტის საგარეო ფინანსური აქტივების ფლობიდან მისაღებ შემოსავალს ან გადასახდელებს არარეზიდენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე. საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს შემოსავალს პირდაპირი ინვესტიციებიდან, პორტფელის ინვესტიციებიდან, სხვა ინვესტიციებიდან და სარეზერვო აქტივებიდან.

ტრანსფერტები განისაზღვრება, როგორც დამაბალანსებელი ჩანაწერი რეალური ან ფინანსური აქტივებისერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაზე ცალმხრივად გადაცემის დროს. ის იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებად. რაც, თავის მხრივ, შედგება სამთავრობო და სხვა სექტორის ტრანსფერებისაგან. მიმდინარე ტრანსფერტების ყველაზე გავრცელებული სახეა ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, ხოლო კაპიტალური ტრანსფერტებისა-კრედიტორის მიერ ვალის ჩამოწერა, მიგრანტების ტრანსფერტები.

პირდაპირი ინვესტიცია არის საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორია. ის გულისხმობა ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში(პირდაპირი ინვესტორის საწარმო). საწარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს(კორპორაციული საწარმოს შემთხვევაში) ან ექვივალენტურ ძალაუფლებას (არაკორპორაციული საწარმოს შემთხვევაში). “პირდაპირი ინვესტირების” განსაზღვრება ვრცელდება ასევე, ფულად ან/და ნატურალურ ინვესტიციებზეურთიერთდაკავშირებულ საწარმოებს შორის, ანუ კაპიტალურ ინვესტიციებზე ფილიალებსა და მათ სათავო ოფისებს შორის. პირდაპირი ინვესტიცია მოიცავს სააქციო კაპიტალს და სხვა კაპიტალს. პირდაპირი ინვესტიციები კლასიფიცირდება ინვესტიციების მიმართულების მიხედვით (საზღვარგარეთ ან საქართველოში), ხოლო ამ კატეგორიებში სააქციო კაპიტალისა და სხვა კაპიტალის დაყოფა ხდება აქტივებად და ვალდებულებებად.

პორტფელის ინვესტიცია შეიძლება იყოს:

-აქციების სახით (როცა ინვესტორი ფლობს აქციების 10%-ზე ნაკლებს).

-სავალო ფასიანი ქაღალდების სახით, რაც თავის მხრივ იყოფა ობლიგაციებად და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებად.

ფინანსური წარმოებულები-ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივებზე, ინდიკატორზე ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა საფინანსო ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანსაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვა და აღირიცხება წმინდა სახით.

სხვა ინვესტიციის პირველადი დაყოფა ხდება აქტივებად(მოთხოვნები არარეზიდენტებისადმი) და ვალდებულებებად(არარეზიდენტების მიმართ). აქტივები და ვალდებულებები, თავის მხრივ, კლასიფიცირდება სავაჭრო კრედიტებად, ნაღდ ფულად და დეპოზიტებად, სესხებად და სხვა აქტივ/ვალდებულებებად.

-სავაჭრო კრედიტები წარმოადგენს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის უშუალო ურთიერთობისას- როდესაც თანხის გადახდის დრო არ ემთხვევა საკუთრების ცვლილების დროს. სავაჭრო კრედიტი არ გულისხმობს სავალლო ფასიანი ქაღალდის გამოშვებას ან რაიმე დოკუმენტის შექმნას. საქართველოს საგადაამხდლო ბალანსის ამ მუხლში აღირიცხება პროდუქციით ვაჭრობის დროს წინასწარ გადახდა/მიწოდებები.

-სხვადასხვა ვალდებულებები აღირიცხება “სხვა ვალდებულებების მუხლში”. ეს მუხლი ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს საგარეო ვალის მომსახურებაზე და SDR-ის განაწილებით წარმოქმნილ ვალდებულებას.

სარეზერვო აქტივები მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, ეროვნული ვალუტის კურსის მხარდასაჭერად და საგადაამხდლო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად(სავალუტო ბირჟაზე ჩარევის გზით ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასარეგულირებლად).

ფინანსური ანგარიშის კლასიფიკაცია ხდება შემდეგი სექტორების მიხედვით: მონეტარული ხელისუფლება, სამთავრობო სექტორი, ბანკები, სხვა სექტორები; პორტფელის ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები კლასიფიცირდება გრძელვადიან და მოკლევადიან ინვესტიციებად.

ინფორმაციის რეგისტრაცია

საგადაამხდლო ბალანსში ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ორმაგი ჩაწერის საბუღალტრო პრინციპის საფუძველზე. თითოეული ტრანსაქცია აღირიცხება ორი(ან მეტი) თანაბარი სიდიდის ჩანაწერით. ერთ-ერთი ჩანაწერი კეთდება კრედიტის მხარეს, დადებითი ნიშნით, ხოლო მეორე-დებეტის მხარეს, უარყოფითი ნიშნით. მაგალითად, საქონლის ექსპორტი საგადაამხდლო ბალანსში აისახება, როგორც ჩანაწერი ექსპორტის კრედიტის მუხლში და იმავე სიდიდის ჩანაწერი დებეტის მხარეს აქტივის მუხლში-“ნაღდი ფული და დეპოზიტები”. ყველა დებეტისა და კრედიტის ჯამი ერთმანეთის ტოლი უნდა

იყოს, ანუ ყველა ჩანაწერის ჯამი საგადამხდელო ბალანსში ნულს უნდა უდრიდეს. თუმცა, ხშირად პრაქტიკაში საგადამხდელო ბალანსის ანგარიშები არ ბალანსდება. საგადამხდელო ბალანსის სხვადასხვა მუხლების შეფასება ხდება სხვადასხვა ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით. შედეგად, ყველა კრედიტისა და დებეტის ჯამი ერთმანეთს არ უდრის და საჭიროა დამაბალანსებელი ჩანაწერის გაკეთება შესაბამის მუხლში (წმინდა შეცდომები და გამოტოვებები).

კრედიტის ჩანაწერი კეთდება შემდეგ შემთხვევებში:

-რეალური აქტივების ექსპორტის დროს;

-ფინანსური მუხლებისათვის უცხოური აქტივების შემცირებისა და უცხოური ვალდებულებების გაზრდისას;

დებეტის ჩანაწერი კეთდება:

-რეალური აქტივების იმპორტის დროს;

-ფინანსური მუხლებისათვის უცხოური აქტივების გაზრდისა და უცხოური ვალდებულებების შემცირებისდროს;

ტრანსფერტები აღირიცხება კრედიტში, თუ ჩანაწერები, რომელთა დამაბალანსებელი ჩანაწერიც არის ტრანსფერტი, აღირიცხება დებეტში და პირიქით.

ინფორმაციის წყარო:

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის კომპილაციის ძირითადი წყაროებია; საქსტატის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, საწარმოთა გამოკვლევა, შინამეურნეობების გამოკვლევა, სპეციალური კვლევები; საბანკო დაწესებულებები; ფინანსთა სამინისტრო;სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები საქართველოში; სხვა ქვეყნების საელჩოები.

გარდა ამისა, 2009 წლიდან დაინერგა “საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშების სისტემა“, რაც გულისხმობს საგადამხდელო ბალანსის ოპერაციების ჭრილში მონაცემების შეგროვებას საბანკო სისტემის მეშვეობით.

საქონლის ექსპორტი/იმპორტი

-სასაგადამხდელო ბალანსში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღირიცხება FOB (Free on board) ფასებში.

-საიმპორტო საქონლის ფასები CIF ფასებიდან გადაიყვანებაFOB (Free on board) ფასებში. აღნიშნული შესწორებისათვის გამოიყენება სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯების შეფასება საიმპორტო საქონლის CIF ფასის 10 პროცენტის ოდენობით.

-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებულ ოფიციალურ ინფორმაციას ემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული შეფასებები სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების ექსპორტი/იმპორტის შესახებ.

მომსახურება

სატრანსპორტო მომსახურება

სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების შესწორება ხდება საიმპორტო საქონლის ფასების CIF ფასებიდან FOB ფასში გადაყვანით და დაიყოფა ტრანსპორტის სახეების მიხედვით.

-გარდა ამისა, ხდება მონაცემების მოპოვება სხვა წყაროებიდან. ესენია: შპს “საქართველოს რკონიზა”, შპს “საქაერონავიგაცია”, საქართველოში არსებული პორტები და აეროპორტები. ამასთან, საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოებს ირიბი შეფასება სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტ/იმპორტის შესახებ.

ტურიზმი

-ტურიზმის შესახებ მონაცემები დგება შინამეურნეობების რეგულარული კვლევის მასალების მიხედვით. საქმიანი ტურიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღება სახელმწიფო სტრუქტურებიდან და საბანკო სექტორიდან.

-ირიბი შეფასებისათვის გამოიყენება საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაცია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული მოქალაქეების შესახებ. გარდა ამისა, ფასდება საქონლის საექსპორტო/საიმპორტო ოპერაციებით დაკავებულ პირთა დანახარჯები საზღვარგარეთ და ერთ წელზე ნაკლები დროით საზღვარგარეთ მომუშავეთა დანახარჯები.

სხვა მომსახურება

-მონაცემები სხვა მომსახურებაზე, როგორცაა საკონსულტაციო, სამშენებლო, ფინანსური და ა. შ. მოიპოვება იმ საწარმოებიდან, რომლებიც იყენებენ ამ ტიპის მომსახურებას, შემდეგ ხდება მომსახურების მოცულობის კორექტირება.

ინფორმაცია უცხოური საელჩოების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დანახარჯებზე ფასდება ირიბი მეთოდებით. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების დანახარჯებზე მონაცემები მიიღება საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ინფორმაცია ფინანსური მომსახურების შესახებ მოიპოვება კომერციული ბანკებიდან წარმოდგენილი ანგარიშგებიდან. დაზღვევის მომსახურების შესახებ კი-დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურიდან.

შემოსავალი

-მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე შეფასებები ძირითადად ემყარება შინამეურნეობების კვლევის მასალებს. გამოიყენება ასევე, საბანკო ინფორმაცია სწრაფი ფულადი გზავნილების შესახებ, აგრეთვე, ფასდება საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ რეზიდენტთა შემოსავლები.

-საინვესტიციო შემოსავალი გამოითვლება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: ფინანსთა სამინისტროს ანგარიში სახელმწიფო ან სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალის პროცენტის გადახდაზე; კომერციული ბანკების ანგარიში საბანკო სექტორში ვალების პროცენტების გადახდაზე.

მიმდინარე ტრანსფერტები

-მუშაკთა გზავნილების შესაფასებლად გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მუშაკთა შრომის ანაზღაურების შემთხვევაში.

-ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებიდან და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონებიდან, რომელთაც თავიანთი ოფისები აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე, მიიღება ინფორმაცია საგარეო სექტორიდან საქართველოში შემოსული ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების შესახებ;

-გარდა ამისა, გამოიყენება საბაუო დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაცია ჰუმანიტარული ტვირთების მოძრაობის შესახებ;

-საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში საწევრო შენატანების შესახებ;

-ქართველი სტუდენტების მიერ განათლებაზე გაწეული გრანტების ღირებულება ფასდება განათლების სამინისტროდან და შინამეურნეობების კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კაპიტალის ანგარიში

-კაპიტალური ტრანსფერტები გამოიანგარიშება ფინანსთა სამინისტროს ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის ინფორმაციის ბაზაზე დაყრდნობით და სხვა წყაროების გამოყენებით.

-მიგრანტთა ტრანსფერტები გამოითვლება სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებული შერჩევითი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. შეფასებისათვის კი გამოიყენება საზღვრის დაცვის სამსახურის ინფორმაცია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული მოქალაქეების შესახებ.

ფინანსური ანგარიში

პირდაპირი ინვესტიციები

-მონაცემები პირდაპირი ინვესტიციების შესახებ ფასდება საწარმოთა გამოკვლევიდან, საბანკო სექტორის შესახებ კომერციული ბანკების ანგარიშგებიდან, სადაზღვევო სფეროს შესახებ კი-სადაზღვევო კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით.

-რაც შეეხება საქართველოს პირდაპირ ინვესტიციებს, საზღვარგარეთ ის მცირე მოცულობისაა.

პორტფელის ინვესტიციები

-ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში განვითარების საწყის სტადიაზეა. მონაცემები პორტფელური ინვესტიციების შესახებ მიიღება საწარმოთა გამოკვლევიდან, კომერციული ბანკების ანგარიშგებიდან და სადაზღვევო კომპანიების მონაცემებიდან.

სხვა ინვესტიციები

-სავაჭრო კრედიტების შესახებ მონაცემები ფასდება საწარმოთა გამოკვლევებიდან მიღებული ინფორმაციის ბაზაზე;

-მონაცემები სესხებზე, გარდა სხვა სექტორებისა, გამოიანგარიშება ფინანსთა სამინისტროსა და კომერციული ბანკების ანგარიშებიდან. სესხები სხვა სექტორებში ფასდება საწარმოთა გამოკვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სარეზერვო აქტივები

-სარეზერვო აქტივების მონაცემთა წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.

საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია გამოითვლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელოს(მესუთე გამოცემა) რეკომენდაციებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია აჩვენებს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციააერთანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგ სექტორებში: მონეტარულ ხელისუფლებაში, სამთავრობო, საბანკო და სხვა სექტორებში. სსპ-ის ძირითადი მუხლებისსაგადამხდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სავაჭრო კრედიტები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სხვა აქტივ/ვალდებულებები) და სარეზერვო აქტივებს.

სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამგვარად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული ან წმინდა დებეტური.

სსპ მუშავდება ცხრილის სახით, რომელიც შეიცავს შემდეგ დეტალებს:

	პოზიცია პერიოდის დასაწყისში	ოპერაციული ცვლილება	ფასის ცვლილება	გაცვლითი კურსის ცვლილება	სხვა ცვლილება	პოზიცია პერიოდის ბოლოს
წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია						
აქტივები						
ვალდებულებები						

ამრიგად, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს გამოითვლება, როგორც: ნაშთი პერიოდის დასაწყისში პლიუს პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, გაცვლითი კურსის, ფასისა და სხვა ცვლილება.

ოპერაციული ცვლილება ასახავს საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანსაქციებს. სხვა ცვლილებები მოიცავს შესწორებებს, რეკლასიფიკაციას და სსპ-ს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ სხვა ცვლილებებს.

სსპ-ის კომპილაციისათვის გამოიყენება საგადასახდელო ბალანსისათვის იდენტური საინფორმაციო წყაროები.

საგარეო სექტორის სტატისტიკა **მეთოდოლოგიური განმარტებები**

მეთოდოლოგიური განმარტებები

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც ასახავს დროის გარკვეული პერიოდში (ჩვენს შემთხვევაში ყოველკვარტალურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება 2 ძირითადი ანგარიშისგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიშში ასახულია მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები, მიღებული და გაცემული ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. ისინი იყოფა როგორც: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ცენტრალური ბანკი (ჩვენს შემთხვევაში ეროვნული ბანკი), დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვა სექტორები. სსპ-ის ძირითადი მუხლები საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებს (სხვა სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და

სტანდარტული საგარანტიო სქემები სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მოთხოვნები/ვალდებულები) და სარეზერვო აქტივებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, მოცულობის სხვა ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ოპერაციული ცვლილება შეესაბამება საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამდენად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული ან წმინდა დებეტური.

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ქვეყნის ფინანსური ვალდებულებების შესახებ უცხოელების მიმართ. ე.ი. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის არის ფაქტიური, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელი თანხა, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი დროის რომელიმე მომენტში. ანუ ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, შედის ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში.

საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის საანგარიშო ერთეულია აშშ დოლარი.

საგადასახდელო ბალანსი (ცხრილი BOP)

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველკვარტალური და სხვადასხვა პერიოდულობის შერჩევითი კვლევები; სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა; შპს „საქართველოს ელექტროსისტემის“ ყოველკვარტალური ინფორმაცია იმპორტირებული, ექსპორტირებული და ტრანზიტით გატარებული ელექტროენერჯის შესახებ; გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ინფორმაცია იმპორტირებული და ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირის შესახებ; ძირითადი პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემები; შპს „საქართველოს რკინიგზა“, საქართველოში არსებული პორტები და აეროპორტები, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვა), პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

მეთოდოლოგია: საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“ მე-6 გამოცემასთან („Balance of Payments and International Investment Position Manual Sixth Edition (BPM6)“. International Monetary Fund. Washington, 2009), ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის სხვა გამოცემებთან, რომლებიც კავშირშია საგადასახდელო ბალანსთან ან მის კომპონენტებთან.

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ჩვენს შემთხვევაში კვარტალურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება 2 ძირითადი ანგარიშისგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს **საქონელსა და მომსახურებას, პირველად შემოსავალსა და მეორად შემოსავალს.**

საქონლის ანგარიში მოიცავს საქონლის ექსპორტ-იმპორტს და მისი ინფორმაციული ბაზა, დეკლარირებული მონაცემების გარდა, ეყრდნობა შეფასებებს, რომლებიც გაკეთებულია ძირითადი პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე დაყრდნობით, და ასევე სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

მომსახურების ანგარიში მოიცავს მომსახურებას, რომელიც გაუწიეს საქართველოს რეზიდენტებმა სხვა ქვეყნის რეზიდენტებს და პირიქით. აქ გამოიყოფა: მანუფაქტურული მომსახურება, საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება, სატრანსპორტო, საფოსტო და კურიერული მომსახურება, ტურიზმი, მშენებლობა, სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება, ფინანსური მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა, სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, სხვა საქმიანი მომსახურება, პირადი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება, სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი.

პირველადი შემოსავლის ანგარიში გვიჩვენებს პირველადი შემოსავლის ნაკადებს რეზიდენტ და არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის. ის მოიცავს: შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს. **შრომის ანაზღაურება** მოიცავს საზღვარგარეთ მომუშავე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებულ რეზიდენტ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; ასევე ქვეყანაში მომუშავე და საზღვარგარეთის ქვეყნებში ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებული არარეზიდენტების შრომის ანაზღაურებას.

საინვესტიციო შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებიდან. კრედიტში აისახება საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო დებეტში პირიქით – არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი.

მეორადი შემოსავლის ანგარიში გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერი წარმოადგენს ცალმხრივი ხასიათის ოპერაციას და არის მოკორესპონდენტო ჩანაწერი, საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივის ან სხვა არაწარმოებული აქტივების ერთი ინსტიტუციური ერთეულის სხვა ინსტიტუციონალური ერთეულზე გადაცემისა, რომელსაც არ ახლავს შესაბამისი ეკონომიკური ღირებულების გადაცემა. საერთაშორისო ანგარიშები კლასიფიცირდება შემდეგი სახის მიმდინარე ტრანსფერებად: მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ.; სოციალური მოსაკრებლები; სოციალური სარგებელი; მიმდინარე საერთაშორისო თანამშრომლობა; წმინდა სადაზღვევო პრემია სიცოცხლის დაზღვევის გარდა; სადაზღვევო მოთხოვნები სიცოცხლის დაზღვევის გარდა; პირადი გადარიცხვები; და სხვა მიმდინარე ტრანსფერები.)

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს ორ ანგარიშს. ესენია: *კაპიტალის ანგარიში* და *ფინანსური ანგარიში*.

კაპიტალის ანგარიში იყოფა ორ ნაწილად: კაპიტალური ტრანსფერები და არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შეძენა–გადაცემა. კაპიტალურ ტრანსფერს მიეკუთვნება ასევე ვალის პატიება. კაპიტალური ტრანსფერი იყოფა სამთავრობო სექტორისა და სხვა სექტორების ტრანსფერებად.

ფინანსური ანგარიში მოიცავს: *პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს*.

პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს: სააქციო კაპიტალს და საინვესტიციო ფონდის აქციებს, რეინვესტირებულ შემოსავლებს და სავალო ინსტრუმენტებს. აქვე აისახება საქართველოს პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, ინფორმაციის მოპოვება ხდება საწარმოთა პირდაპირი გამოკვლევიდან, რომელსაც საქსტატი აწარმოებს, კომერციული ბანკების ანგარიშებიდან, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა ხდება ინტერნეტიდან და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან.

პორტფელის ინვესტიციები მოიცავს: ისეთ დაბანდებას საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10%-ზე ნაკლებს. პორტფელის ინვესტორებს მიეკუთვნებიან ასევე ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ არარეზიდენტი საწარმოს მიერ გამოშვებულ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას.

ფინანსური წარმოებულები, რომელიც ადრე შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტენსიურად განვითარების გამო, ჩამოყალიბდა როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტი. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ისეთ ფასიან ქაღალდებს, როგორცაა ოპციონები, ფიუჭერსები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და სხვა. საქართველოში უკვე რამდენიმე ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ინფორმაციის წყარო ფინანსური წარმოებულების შესახებ არის საწარმოთა გამოკვლევა, კომერციული ბანკების და ეროვნული ბანკის ანგარიშგება.

სხვა ინვესტიციები მოიცავს ფინანსური ანგარიშის ყველა მოკლე და გრძელვადიან გატარებას, გარდა პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციებისა, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და სარეზერვო აქტივებისა. ესენია: სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები და სხვა აქტივები და ვალდებულებები. სავაჭრო კრედიტები და ავანსები ეს არის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა საგარეო სავაჭრო (საქონლით ან მომსახურებით) ურთიერთობების შედეგად. როგორც წესი, ასეთი აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიანია, თუმცა საგადასახდელო ბალანსი ითვალისწინებს მათ დაყოფას გრძელ და მოკლევადიანად. სხვა ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სესხები. საგადასახდელო ბალანსში მათი კლასიფიცირება ხდება ვადიანობის მიხედვით (გამოიყოფა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები) და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. სხვა ინვესტიციების სხვა ვალდებულებები და აქტივები შედგება ვადაგადაცილებული დავალიანებისაგან და, გარდა ამისა, ყველა იმ პოზიციისგან, რომელიც არ მოხვდა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

სარეზერვო აქტივები: წარმოადგენს მაღალლიკვიდურ უცხოურ აქტივებს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი და რომლის გამოყენება საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან რაიმე სხვა მიზნით შესაძლებელია დაუყონებლივ. სარეზერვო აქტივები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლება, სავალუტო პოზიცია ფონდში, სხვა სარეზერვო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ სარეზერვო აქტივების მოთხოვნებს და არ მოხვდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში. სხვა სარეზერვო აქტივები შედგება ნაღდი უცხოური ვალუტისაგან, არარეზიდენტ საფინანსო ორგანიზაციებში განთავსებული დეპოზიტებისგან და მაღალლიკვიდური

ფასიანი ქაღალდებისგან. ამასთან, სარეზერვო აქტივი უცხოურ ვალუტაში აუცილებლად უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი. მონაცემთა წყაროა ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (ცხრილი IIP)

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალისა და მისი მომსახურების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ.

მეთოდოლოგია: საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის: „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“ მე-6 გამოცემასთან („Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6)“. International Monetary Fund. Washington, 2009).

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს, ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები გარდა ეროვნული ბანკისა, სამთავრობო და სხვა სექტორები. სსპ-ის ძირითადი მუხლები საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სხვა სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები, სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მოთხოვნები/ვალდებულებები) და სარეზერვო აქტივებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, სხვა მოცულობითი ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა

ცვლილება. ოპერაციული ცვლილება ასახავს საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს.

სხვაობა ეკონომიკის უცხოურ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. ამდენად, სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+) ან წმინდა დებეტური (-).

შენიშვნა: ამ ცხრილში გამოქვეყნებული უცხოური აქტივები და ვალდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებში მოცემულ ანალოგიური მონაცემებისაგან, სავალუტო კურსების დამრგვალების გამო.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში მოცემული საბანკო სექტორის წმინდა უცხოური აქტივები და უცხოური ვალდებულებები განსხვავდება აგრეთვე მონეტარული სტატისტიკის სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვაში მოცემული შესაბამისი მონაცემებისგან. განსხვავების მიზეზი არის ის, რომ მონეტარული სტატისტიკის მონაცემებში არ არის ასახული ვალდებულებები უცხოელი პირდაპირი და პორტფელის ინვესტორების მიმართ.

საგარეო ვალის სტატისტიკა (ცხრილი ED და ცხრილი EDS)

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

მეთოდოლოგია: მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოსთან “საგარეო ვალის სტატისტიკა“ („External Debt Statistics, Guide for Compilers and Users“. International Monetary Fund. Washington, 2013).

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური ვალდებულებების შესახებ არარეზიდენტების მიმართ. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ცნება, საგარეო ვალის სახელმძღვანელოს მიხედვით, შემდეგნაირად ყალიბდება: „ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელ თანხას, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში“. საგარეო ვალის ეს განმარტება საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი

ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, ჩართული უნდა იყოს ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში. საანგარიშო ერთეულად, ისე როგორც საგადასახდელო ბალანსის შემთხვევაში, გამოყენებულია აშშ დოლარი.

ინფორმაცია მთლიან საგარეო ვალზე მოცემულია ორ ფაილში.

პირველ ფაილში (**ცხრილი ED**) ოთხი ცხრილია: პირველ – მთავარ ცხრილში მოცემულია საგარეო ვალის განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მეორეში – ვალუტების მიხედვით (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), მესამეში – საგარეო ვალის ნაშთების გარდა, მოცემულია საანგარიშო პერიოდში ვალის ცვლილების დეტალები, ხოლო მეოთხეში მოცემულია წმინდა საგარეო ვალი. პირველი სამი ცხრილი ითვალისწინებს ვალის კლასიფიცირებას ვადიანობის მიხედვით.

მეორე ფაილში (**ცხრილი ED-grf**) ორი ცხრილია. ცხრილში „სახელმწიფო ვალი“ მოცემულია სახელმწიფო და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო ვალის მომსახურების გრაფიკი. მეორეში, „მთლიანი საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი“, მოცემულია საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

გადახდის გრაფიკი მოიცავს ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდის ვადებს. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი ვალები მოცემულია კვარტალური ინტერვალით; ერთიდან ორ წლამდე – ექვსთვიანი ინტერვალით; სამიდან ხუთ წლამდე – წლიური ინტერვალით; ხუთიდან თხუთმეტ წლამდე – ხუთწლიანი ინტერვალით; ხოლო 15 წლის შემდგომ გადასახდელი ვალები გაერთიანებულია. ცხრილში „მთლიანი საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი“, მოცემულია საგარეო ვალის გადახდის გრაფიკი სექტორების მიხედვით. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი ვალები მოცემულია კვარტალური ინტერვალით; ერთიდან ორ წლამდე – ექვსთვიანი ინტერვალით; ხოლო ორი წლის შემდგომ გადასახდელი ვალები გაერთიანებულია.

საგარეო ვალის სტატისტიკა, ისევე როგორც საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, წარმოებს დარიცხვის მეთოდით.

შენიშვნა: სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალის მონაცემების ძირითადი წყაროა ფინანსთა სამინისტროს მონაცემები სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის შესახებ. ეროვნული ბანკი, ამ მონაცემების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ახორციელებს შემდეგ ცვლილებებს, რაც არის ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა შორის განსხვავებების მიზეზი:

1. ეროვნული ბანკი ვადაგადაცილებულ ძირითად ვალს იღებს მიმდინარე სესხებიდან და აღრიცხავს როგორც ვადაგადაცილებულ დავალიანებას;
2. ვადაგადაცილებული პროცენტის და დარიცხული ჯარიმის დავალიანება, რომელიც არ შედის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში, ეროვნულ ბანკში აღირიცხება როგორც ვადაგადაცილებული დავალიანება;
3. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში არ არის დარიცხული პროცენტები, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, ეროვნული ბანკი ანგარიშობს მათ და ამატებს მთლიან საგარეო ვალს;
4. სახელმწიფო ევროობლიგაციები ფინანსთა სამინისტროს მონაცემებში ასახულია ნომინალური ღირებულებით, ხოლო ეროვნული ბანკის მონაცემებში საბაზრო ფასით;
5. ზოგიერთ შემთხვევაში, უმნიშვნელო განსხვავების მიზეზი შეიძლება იყოს სავალუტო კურსების დამრგვალება ფინანსთა სამინისტროს მიერ.

ოფიციალური სარეზერვო აქტივები (ცხრილი OIR)

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველთვიური ბალანსი.

მეთოდოლოგია: ოფიციალური სარეზერვო აქტივების სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაბამის მეთოდოლოგიასთან: International Reserves and Foreign Currency Liquidity. Guidelines for a Data Template. IMF. 2013.

ოფიციალურ სარეზერვო აქტივებს მიეკუთვნება ქვეყნის საგარეო აქტივები, რომლებსაც აკონტროლებენ მონეტარული რეგულირების ორგანოები და ნებისმიერ დროს შესაძლებელია მათი გამოყენება საგადასახდელი ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად პირდაპირ ან არაპირდაპირ – ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედების მიზნით სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების გზით და სხვა მიზნებისათვის. ასეთ აქტივებს მიეკუთვნება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლებები, სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში, უცხოური ვალუტა (რომელიც მოიცავს ისეთ ლიკვიდურ აქტივებს, როგორებიცაა უცხოური ვალუტა, დეპოზიტები და ფასიანი ქაღალდები) და სხვა მოთხოვნები.

სარეზერვო აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების მხოლოდ ნაწილს. ესენია:

- *მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლებები და სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, რომლებსაც ფლობენ მონეტარული რეგულირების ორგანოები (საქართველოს ეროვნული ბანკი) და ნებისმიერ დროს შეიძლება მათი გამოყენება ამ ორგანოების მიერ, ყოველგვარი პირობის გარეშე.*
 - *მონეტარული ოქრო* მოიცავს მხოლოდ იმ ოქროს, რომელსაც ინახავენ ცენტრალური ბანკი ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (ან სხვა სუბიექტები, რომლებსაც აკონტროლებენ ცენტრალური ბანკი ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები) და რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალური რეზერვების ნაწილს. ოქროს მარაგი, რომელიც არ შედის ოფიციალური რეზერვების შემადგენლობაში, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივი.
 - *სესხის სპეციალური უფლებები* არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივები, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ-ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით. სესხის სპეციალური უფლებები შეიძლება იყოს მხოლოდ წევრი ქვეყნების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების იმ შეზღუდული რაოდენობის აქტივები, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ფლობდნენ სესხის სპეციალურ უფლებებს. სესხის სპეციალური უფლებების ავუარები წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნებისაგან უცხოური ვალუტის ან სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უპირობო უფლებას.
 - *სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში* წარმოადგენს წევრი ქვეყნის გარკვეულ რესურსებს სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: სარეზერვო წილის ფარგლებში შექმნილი ვალუტისა და სსფ-ს დავალიანებისაგან მოცემული ქვეყნის მიმართ (საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში), რომელიც შეიძლება დაიფაროს ნებისმიერ მომენტში.
- *აქტივები უცხოური ვალუტით* მოიცავს მონეტარული რეგულირების ორგანოების მოთხოვნებს არარეზიდენტების მიმართ უცხოური ვალუტის, საბანკო დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდების სახით.
 - *უცხოური ვალუტა* მოიცავს უცხოურ ბანკნოტებსა და მონეტებს, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და ემიტირებულია არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების ან მთავრობების მიერ. სამახსოვრო ან ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტები, რომლებიც არ მიმოიქცევა როგორც გადახდის საშუალება, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივები და არ მიეკუთვნება სარეზერვო აქტივებს.

- ⇒ იქიდან გამომდინარე, რომ ბევრ ქვეყანაში უცხოური ვალუტა ხშირად არ წარმოადგენს სარეზერვო აქტივების ძირითად კომპონენტს, „საერთაშორისო რეზერვებისა და უცხოური ვალუტის ლიკვიდობის შედგენის სახელმძღვანელოს“ (International Reserves and Foreign Currency Liquidity. Guidelines for a Data Template) მიხედვით რეკომენდებული ფორმატით უცხოური ვალუტა ცალკე არ გამოიყოფა და ჩართულია ცენტრალური ბანკის დეპოზიტების მოცულობაში.
- *დეპოზიტები*, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოთხოვნისთანავე. ლიკვიდობის კონცეფციიდან გამომდინარე, ასეთ დეპოზიტებს მიეკუთვნება მოთხოვნამდე დეპოზიტები. თუმცა, ისეთი ვადიანი დეპოზიტები, რომელთა განაღდება ხდება მოთხოვნისთანავე, ჩაირთვება ამ კატეგორიაში. სარეზერვო აქტივებში ჩართვას ექვემდებარება დეპოზიტები, რომლებიც განთავსებულია უცხოურ ცენტრალურ ბანკებში, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკსა და სხვა ბანკებში.
- ⇒ სსფ-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, მონეტარული რეგულირების ორგანოების მიერ არარეზიდენტი ცენტრალური ბანკებისათვის და დეპოზიტური დაწესებულებებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები ძალიან ჰგავს დეპოზიტებს და პრაქტიკაში ძნელია მათ შორის განსხვავების დადგენა. ამდენად, სარეზერვო აქტივების შემადგენლობაში ჩართულ დეპოზიტებში უნდა შევიდეს მოთხოვნისთანავე დაფარვადი ასეთი მოკლევადიანი სესხებიც უცხოური ვალუტით.
- *ფასიანი ქაღალდები* მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე რეალიზებად მაღალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალში მონაწილეობას და სავალო ფასიან ქაღალდებს. ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა კოტირება არ ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ამ კატეგორიაში არ ჩაირთვება, რადგან ისინი მიჩნეულია არასაკმარისად ლიკვიდურად.
- *სხვა სარეზერვო აქტივებს* მიეკუთვნება ისეთი მოთხოვნები არარეზიდენტების მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნება ვალუტის, დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდების კატეგორიებს. აქ შედის სარეზერვო აქტივების მართვასთან დაკავშირებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, არარეზიდენტი არასაბანკო დაწესებულებებისათვის მიცემული სესხები და სხვა აქტივები.

უცხოური ვალდებულებები მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენებას და სხვა უცხოურ ვალდებულებებს არარეზიდენტების მიმართ.

შენიშვნა: ამ ცხრილში გამოქვეყნებული უცხოური აქტივები და ვალდებულებები განსხვავდება IIP ცხრილში გამოქვეყნებული მონაცემებისაგან, რაც განპირობებულია, პირველ რიგში იმით, რომ პირველ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ეროვნული ბანკის ბალანსი, ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვადასხვა წყაროები. კერძოდ:

1. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის საჭიროებისათვის გამოიყენება მონაცემები ორიგინალურ ვალუტაში, გადაანგარიშებული აშშ დოლარებში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსების შესაბამისად, ხოლო ამ ცხრილში ოფიციალური სარეზერვო აქტივების აშშ დოლარებში გადაანგარიშება ხდება ლარის ეკვივალენტიდან;
2. ამ ცხრილში მოცემული ოფიციალური სარეზერვო აქტივები მოიცავს რუსულ რუბლებში არსებულ აქტივებსაც, მაშინ როცა IIP ცხრილის შედგენის კონცეფცია რუსულ რუბლს არ განიხილავს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტად და შესაბამისად, რუსულ რუბლში არსებულ აქტივებს მიაკუთვნებს არა სარეზერვო აქტივებს, არამედ ფულად-საკრედიტო ორგანოების (ეროვნული ბანკის) უცხოურ აქტივებს ნაღდი ფულის და დეპოზიტების სახით (თუმცა, დღეისათვის ეს განსხვავება უმნიშვნელოა).
3. სესხის სპეციალური უფლებების (SDRs –ის) შესახებ მონაცემებში განსხვავება აიხსნება იმით, რომ ამ ცხრილში ეს მაჩვენებელი შეესაბამება ეროვნული ბანკის ბალანსის შესაბამის მონაცემს, ხოლო საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ბალანსისთვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებ-გვერდი. განსხვავების მიზეზია, ჯერ ერთი, SDRs-ის კურსი: ეროვნული ბანკის ბალანსი, როგორც წესი, იყენებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს წინა დღის კურსს, ხოლო საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია – ბოლო დღის კურსს. მეორე, საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს განხორციელებული ოპერაციები, დროში განსხვავების გამო, აისახება მოგვიანებით ეროვნული ბანკის ბალანსში და შესაბამისად ოფიციალურ სარეზერვო აქტივებში (რადგანაც ორივე მათგანის გაანგარიშება ხდება ყოველთვიურად, თვის დამთავრებისთანავე), ხოლო საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის გაანგარიშება ხდება კვარტალურად და მასში სრულად აისახება კვარტლის განმავლობაში SDRs-ში განხორციელებული ყველა ოპერაცია.

საგარეო ვაჭრობა (ცხრილი FT)

ახასიათებს საქონლის ექსპორტის, იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და ბალანსის მონაცემებს თვეების მიხედვით. ეს მონაცემები არ მოიცავს არარეგისტრირებულ ვაჭრობას. თუმცა, კორექტირებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ისეთი საქონლის მოცულობით, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ რეგისტრირდება ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საბაჟო სამსახურის მიერ (მაგალითად, ბუნებრივი აირი და ელექტროენერჯია) ან რეგისტრირდება, მაგრამ მიეკუთვნება არა საქონლის კატეგორიას, არამედ ფინანსურ აქტივებს, მომსახურებას ან სხვა კატეგორიას. ექსპორტი აღრიცხულია FOB-ფასებში, ხოლო იმპორტი – CIF-ფასებში.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელიც ეყრდნობა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემებს.

შენიშვნა: საგარეო ვაჭრობა და საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია და ეყრდნობიან განსხვავებულ კონცეფციებს. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. არის რიგი პოზიციებისა, რომელიც განეკუთვნება საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობას და არ განეკუთვნება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB ფასებში, ხოლო იმპორტი CIF ფასებში, მაშინ როცა საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი ისე იმპორტი მოცემულია FOB ფასებში.

ფულადი გზავნილები (ცხრილები REMC, REMM, REMSY)

ასახავს საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებებით (Western Union, Money Gram, Anelik, Unistream და სხვა) საზღვარგარეთიდან საქართველოში და პირიქით ფულადი გზავნილების მოცულობას.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით), აგრეთვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

საგადასახდლო ბალანსისა და საინვესტიციო პოზიციის მონაცემთა გადასინჯვა

საგარეო სექტორის სტატისტიკაზე მუშაობა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდს უკავშირდება და თავდაპირველად (2007 წლამდე) ეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პრეროგატივა იყო. შესაბამისად, დასაწყისისათვის მისი ინფორმაციული წყაროები მწირი იყო და ძირითადად საგარეო ვაჭრობის მონაცემებით შემოიფარგლებოდა.

პირველი საგადასახდელო ბალანსი 1994 წლის მონაცემების მიხედვით 1995 წელს შემუშავდა. დღეისათვის, ეროვნული ბანკის საიტზე ხელმისაწვდომია საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 1995 წლიდან. მოგვიანებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისიის მიერ რეკომენდირებულ იქნა დაწყებულიყო 2000–2001 წლების საგადასახდელო ბალანსების გადასინჯვა, შესაბამისი მეთოდოლოგიის მეხუთე რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. 2000 წელი შეირჩა იმ მოსაზრებით, რომ ამ პერიოდიდან შესაძლებელია მეტ-ნაკლებად საიმედო ინფორმაციის მოპოვება.

საგადასახდელო ბალანსის გადასინჯვისა და ინფორმაციის წყაროების გაუმჯობესების პროცესი რამდენიმე ეტაპად წარიმართა;

პირველ რიგში, მოწესრიგდა სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალის აღრიცხვა. შეიქმნა მონაცემთა მწკრივი 1999 წლის 31 დეკემბრიდან დაწყებული, სადაც საგარეო ვალის სტატისტიკის მოთხოვნების შესაბამისად, მოცემულია ოპერაციული, საკურსო, ფასის და სხვა ცვლილებები. ძირითად ვალთან ერთად წარმოებს დარიცხული პროცენტების აღრიცხვა, თითოეული ვალი აღიწერება როგორც ორიგინალური ვალუტით, ისე დოლარის ეკვივალენტში.

მეორე ეტაპზე მოძიებულ იქნა ინფორმაცია საბანკო სექტორის მიერ განხორციელებული ოპერაციებს შესახებ, მათ შორის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაცია. მოზიდული მასალების გაანალიზების შედეგად შემუშავებულ იქნა საბანკო სექტორის საინვესტიციო მდგომარეობა. მონაცემთა მწკრივი ამ შემთხვევაშიც იწყება 1999 წლის 31 დეკემბრიდან.

2000 – 2001 წლების საგადასახდელო ბალანსის ისეთი უმთავრესი მუხლები, როგორცაა: საქონელი, მომსახურებიდან - ტრანსპორტი და ტურიზმი, შეფასებულ იქნა მომდევნო წლებში აპრობირებული მეთოდით. რაც შეეხება წვრილ მუხლებს, რომლებიც არ ფიგურირებდა 2000 – 2001 წლების მონაცემებში, შეფასებულ იქნა მომდევნო წლების ტენდენციების შესაბამისად.

საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის წარმოების პასუხისმგებლობის ეროვნულ ბანკში გადასვლამ შესაძლებელი გახადა სარეზერვო აქტივებისა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახდელო ბალანსში უფრო დეტალური ასახვა. ჩვენს მიერ შემუშავებულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია ყოველდღიური ოპერაციები ორიგინალური ვალუტით, ხოლო ამ ოპერაციების გადაყვანა აშშ დოლარის ეკვივალენტში ხდება ოპერაციის დღის კურსით. ეს საშუალებას გვაძლევს ზუსტად ვიანგარიშოთ ოპერაციული და საკურსო ცვლილებები. 2000–2001 წლების საგადასახდელო ბალანსის სარეზერვო აქტივების მონაცემები, რომლებიდანაც არ იყო გამოყოფილი საკურსო ცვლილებები, შეიცვალა ახალი მონაცემებით. ცვლილებამ ზოგიერთ კვარტალში 50% შეადგინა, ძირითადად კი, 20–36 პროცენტის ფარგლებში იყო. ამასთან, სტრიქონი „უცხოური ვალუტა“, დაიყო ქვეკომპონენტებად: ნაღდი ფული და დეპოზიტები ცენტრალურ ბანკებში,

ნადი ფული და დეპოზიტები სხვა ბანკებში და ფასიანი ქაღალდები. მოპოვებულ იქნა მონაცემები არარეზიდენტების მიერ სახაზინო ვალდებულებების ფლობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებში, რამაც ასახვა ჰპოვა საგადასახდელო ბალანსში. 2000-2001 წლებში საქართველოს ეკონომიკისათვის განსაკუთრებული იყო კომპანია BP-ს როლი. მათთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი ინფორმაცია 2000-2001 წლებში განხორციელებული ოპერაციების შესახებ, მათ შორის ნავთობსადენებით გატარებული ნავთობის მოცულობისა და მისი გატარების ხარჯების შესახებ. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა განახლებულ საგადასახდელო ბალანსში.

როგორც წესი, საგარეო სექტორის სტატისტიკა ეფუძნება საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის და საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკას. 2000 წლიდან ეროვნულ ბანკში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკის წარმოების დაწყების მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი, მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად, ყოველი წლის 30 სექტემბერს აქვეყნებს გასული წლის საგარეო სექტორის სტატისტიკის განახლებულ წლიურ მონაცემებს. საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის და საგარეო ვალის მონაცემები, როგორც წესი, განიცდის ცვლილებებს, გამომდინარე იქიდან, რომ ხდება წინასწარი კვარტალური მონაცემების დაზუსტება წლიური მონაცემებით.

მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხდება არასაფინანსო კორპორაციების სექტორის მონაცემები, რაც ძირითადად გამოწვეულია საქსტატის წინასწარი მონაცემების დაზუსტებული მონაცემებით შეცვლით. საქსტატი საწარმოების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის მიზნით ატარებს სამეწარმეო სექტორის ყოველკვარტალურ კვლევებს, და ასევე, წლის დამთავრებიდან 5 თვის გასვლის შემდეგ, წლიურ გამოკვლევას. კვარტალური კვლევების საფუძველზე დგინდება წინასწარი მონაცემები, ხოლო წლიური გამოკვლევის საფუძველზე, რომლის შედეგები აგვისტოში ქვეყნდება, დგინდება საბოლოო, დაზუსტებული მონაცემები. ეს განსაკუთრებით ეხება მონაცემებს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ.

განსხვავება საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-5 და მე-6 რედაქციებს შორის

საქართველოს ეროვნული ბანკი დაწყებული 2014 წლის პირველი კვარტალიდან, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკის წარმოებას ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ 2009 წელს გამოშვებული „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (BPM6) მე-6 გამოცემის შესაბამისად. შესაბამისად, 2014 წლის საგარეო სექტორის სტატისტიკის მონაცემები გამოქვეყნდება ორივე ფორმატში: მე-5 („საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო“, 1993 წლის გამოცემა) და მე-6 რედაქციების

(„საგადასახდელი ბალანსისა და საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“, 2009 წლის გამოცემა) შესაბამისად; ხოლო 2015 წლიდან მხოლოდ მე-6 რედაქციით. ამასთან, გადაისინჯა დინამიკური მწკრივებიც 2000 წლიდან და 2014 წელს მათი გამოქვეყნდებაც ორივე მეთოდოლოგიის შესაბამისად მოხდება.

საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკის მეთოდოლოგიის ცვლილება უკავშირდება ცვლილებებს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ძირითად მეთოდოლოგიაში - „ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში“, რომლის მე-4 რედაქცია გამოიცა 2008 წელს. საგადასახდელი ბალანსის მე-6 რედაქციაში, მე-5 რედაქციასთან შედარებით კონცეპტუალური საკითხები დარჩა უცვლელი, ამასთან შეიცვალა ზოგიერთი მუხლის დასახელება, პრეზენტაციისა და ფორმირების წესი.

საგადასახდელი ბალანსის მე-5 და მე-6 რედაქციებს შორის განხორციელებული ძირითადი ცვლილებების მოკლე მიმოხილვა:

1. აღრიცხვის პრინციპი

- მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშში ოპერაციები კრედიტისა და დებეტის მხარეს იწერება „+“ ნიშნით (გამონაკლისია: პირდაპირი ინვესტიციიდან შემოსავალი და საქონლის გადაყიდვა, რომელიც შეიძლება იყოს უარყოფითი). წმინდა დაკრედიტება/წმინდა სესხება (მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი) წარმოადგენს ამ ანგარიშების კრედიტებისა და დებეტების სხვაობას.
- ფინანსურ ანგარიშში გამოიყენება ტერმინი „ფინანსური აქტივების შეძენა, წმინდა“ და „ვალდებულებების აღება, წმინდა“ ადრე გამოყენებული ტერმინების „კრედიტი“ და „დებეტის“ ნაცვლად. აქტივების წმინდა შეძენა ტოლია აქტივების ზრდას გამოკლებული აქტივების შემცირება. ვალდებულებების წმინდა აღება ტოლია ვალდებულებების ზრდას მინუს ვალდებულებების კლება.
- ცვლილება პლუს ნიშნით აღნიშნავს აქტივების ან ვალდებულებების ზრდას, ხოლო მინუს ნიშნით - აქტივის ან ვალდებულების შემცირებას. მე-5 რედაქციის თანახმად, აქტივის ზრდა იწერებოდა „მინუს“ ნიშნით, ხოლო აქტივის შემცირება - „პლუს“ ნიშნით.
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება, რომელიც ეფუძნება ფიზიკური პირების რეზიდენტობის ცვლილებას, განიხილება როგორც აქტივების მოცულობის სხვა ცვლილება (კლასიფიკაციის ცვლილება) და არა როგორც ოპერაცია. ამდენად, კაპიტალური ტრანსფერები დაკავშირებული მიგრაციასთან საგადასახდელი ბალანსში აღარ აისახება.

2. ინსტიტუციური სექტორები

- შემოდებულ იქნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მსგავსი ინსტიტუციური სექტორების კლასიფიკაცია. „ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოს“ სექტორის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი - „ეროვნული ბანკი“, „საბანკო სექტორის“ ნაცვლად - „დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა“.
- სხვა სექტორები გაიყო ორ ნაწილად: სხვა ფინანსური კორპორაციები და არასაფინანსო კორპორაციები, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).

3. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

- განაწილებული სესხის სპეციალური უფლება (SDR) წარმოადგენს ვალდებულებას (მაშინ, როცა მეთოდოლოგიის მე-5 რედაქციის მიხედვით ის მონეტარული ოქროს მსგავსად აღირიცხებოდა როგორც მხოლოდ აქტივი) და აისახება სხვა ინვესტიციაში ცალკე მუხლად.
- ტერმინი „სავაჭრო კრედიტები“ შეიცვალა ტერმინით „სავაჭრო კრედიტები და ავანსები“.
- ვადაგადაცილებული დავალიანება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი სავალო ინსტრუმენტი და არა როგორც ახალი მოკლევადიანი სავალო ინსტრუმენტი.

4. მიმდინარე ანგარიში

- პორტებში შექმნილი საქონელი იწერება საქონლის ექსპორტ/იმპორტში და აღარ იწერება ცალკე პუნქტად.
- მიგრანტთა პირადი ნივთები არ აისახება როგორც საქონლის ექსპორტ/იმპორტში, ასევე კაპიტალის ანგარიშში.
- საქონლის გადამუშავება, როცა მატერიალურ რესურსი სხვისი საკუთრებაა, აღირიცხება როგორც მომსახურება. მეთოდოლოგიის მე-5 რედაქციის თანახმად მომსახურების ღირებულება ემატებოდა გადასამუშავებელი საქონლის ღირებულებას, თუ საქონელი უბრუნდებოდა მფლობელს (აღირიცხებოდა საქონლის მუხლში), ხოლო თუ საქონელი თავის მფლობელს არ ეგზავნებოდა, მაშინ ის აღირიცხებოდა როგორც „სხვა საქმიანი, პროფესიული და ტექნიკური მომსახურება“.
- რემონტი საქონლის ნაცვლად აისახება მომსახურებაში.
- „სატრანსპორტო მომსახურებას“ ეწოდა „ტრანსპორტი“.
- საფოსტო და კურიერული მომსახურება შევიდა „ტრანსპორტის“ მუხლში.
- „სამშენებლო მომსახურებას“ ეწოდა „მშენებლობა“ და იყოფა ორ ნაწილად: „მშენებლობა საზღვარგარეთ“ და „მშენებლობა საქართველოში“.
- სავალო ინსტრუმენტებზე დარიცხული შემოსავალი გაიყო ორ ნაწილად: ირიბად შეფასებული ფინანსური მომსახურება და შემოსავალი წმინდა სახით.
- „როიალტი და სალიცენზიო გადასახადი“ იწოდება „გადასახადი ინტელექტუალური საკუთრებისათვის მიკუთვნებული სხვა კატეგორიისადმი“.
- შემოდებულია ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ტელეკომუნიკაციურ, კომპიუტერულ და ინფორმაციულ მომსახურებებს, რომლებიც ადრე აღირიცხებოდა ცალ-ცალკე.
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები (როგორცაა პატენტები, საავტორო უფლებები, ტექნოლოგიური პროცესები) განიხილება როგორც წარმოებული აქტივები და მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი სახის მომსახურებას. ადრე ისინი განიხილებოდნენ როგორც არაწარმოებული აქტივები და აისახებოდნენ კაპიტალის ანგარიშში.
- „სამთავრობო მომსახურებას“ ეწოდა „სახელმწიფო საქონელი და მომსახურება სხვა კატეგორიებში ჩაურთველი“.
- შემოსავლების და ტრანსფერების ანგარიშების დასახელება შეიცვალა ტერმინებით: „პირველადი შემოსავალი“ და „მეორადი შემოსავალი“.
- სხვა ინვესტიციის შემოსავლიდან გამოიყო სარეზერვო აქტივებიდან მიღებული შემოსავალი და ნაჩვენებია ცალკე პუნქტად.
- მიმდინარე ტრანსფერების კლასიფიკაცია გახდა უფრო დეტალური.

- შემოღებული იქნა ცნება პირადი ტრანსფერები, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე ადრე გამოყენებული „მუშაკთა გზავნილები“.
- მემკვიდრეობით მიღებული ქონება განიხილება როგორც კაპიტალური ტრანსფერი, ადრე მიღებული მიმდინარე ტრანსფერის ნაცვლად.

საგარეო ვალის მეთოდოლოგიური სტანდარტები

საქართველოს საგარეო ვალის შედგენა წარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოს(საგარეო ვალის სტატისტიკა)რეკომენდაციების შესაბამისად.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის არსებულ ნაშთს ყველა იმ მიმდინარე და არასავარაუდო ვალდებულებაზე, რომელიც დებეტორს ავალდებულებს ძირითადი თანხის ან საპროცენტო განაკვეთის გადახდას მომავალში, დროის გარკვეულ მომენტში და წარმოადგენს რეზიდენტის უპირობო ვალდებულებას არარეზიდენტის მიმართ.

საგარეო ვალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- სავალო ვალდებულებები;
- სესხები;
- სავაჭრო კრედიტები;
- ნაღდი ფული და დეპოზიტები;
- სხვა სასესხო ვალდებულებები;
- პირდაპირი ინვესტიციის კომპანიათაშორისი სესხები.

სავალო ვალდებულებები მოიცავს საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებულ სავალო ვალდებულებებს, რომელთაც ფლობენ არარეზიდენტები. სავალო ვალდებულებები კლასიფიცირდება სექტორების (გამოშვების სექტორი) და ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით.

სავალო ვალდებულებებზე ნაშთი დროის გარკვეული მომენტისათვის არის: არარეზიდენტების საკუთრებაში არსებული და საქართველოს რეზიდენტების მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებების ჯამს მინუს გადაგადაცილებული ვალდებულებები, პლიუს საანგარიშო პერიოდში დარიცხული პროცენტი(თუ პროცენტის გადახდა გრაფიკით განსაზღვრულია მომავალ პერიოდში).

სესხების სტრუქტურაში შედის:

-საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხები-საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან.

-სახელმწიფო სესხები-სახელმწიფოს მიერ მიღებული სესხები;

სესხები სახელმწიფო გარანტიით-კერძო სექტორის მიერ მიღებული საგარეო სესხები(გარდა პირდაპირი ინვესტორისაგან მიღებული სესხებისა);

სესხებზე ნაშთი, დროის გარკვეული მომენტისათვის, შედგება საქართველოს რეზიდენტების მიერ მიღებული საგარეო სესხების ჯამს მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები და მინუს ფაქტიურად განხორციელებული წინასწარი გადახდები.

სავაჭრო კრედიტები შედგება იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების უშუალოდ მიწოდების დროს. ესაა:

-ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული წინასწარი გადახდა;

-იმპორტირებულ საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთა დაფარვა არ მოხდა ვადაში.

ნაღდი ფული და დეპოზიტები მოიცავს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ არარეზიდენტების დეპოზიტებს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

-საგარეო სესხებსა და სავალო ვალდებულებებზე ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით არსებულ ვადაგადაცილებულ დავალიანებას.

პირდაპირი ინვესტიციების კომპანიათაშორისი სესხები მოიცავს:

-სესხებს, მიღებულს არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორისაგან ან საზღვარგარეთ არსებული ფილიალებისა და წარმომადგენლობებისაგან;

ვადაგადაცილებებს ამ სესხებზე, ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

კომპანიათაშორის სესხებზე არსებული დავალიანება შედგება დროის გარკვეული მომენტისათვის არსებული საგარეო სესხების ნარჩენი დავალიანებისაგან, რომელიც საქართველოს საწარმოებმა ან პირდაპირმა ინვესტორებმა მიიღეს შესაბამისად არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის ან შვილობილი კომპანიებისაგან, მინუს საანგარიშო პერიოდში გრაფიკით განსაზღვრული ძირითადი თანხის გადახდები, მინუს ფაქტიურად განხორციელებული წინასწარი გადახდები.

საგარეო ვალი. საგადამხდელო ბალანსის მსგავსად, კლასიფიცირდება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით: მონეტარული ხელისუფლება, სამთავრობო სექტორი, საბანკო სექტორი და სხვა სექტორები. გარანტიის ქვეშ მყოფი საგარეო ვალდებულებები კი კლასიფიცირდება მსესხებლის სექტორის შესაბამისად. გარანტორის მიხედვით რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ გარანტიის ამოქმედების შემთხვევაში.

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, საგარეო ვალი კლასიფიცირდება ვაღიანობის მიხედვით- მოკლევადიანად და გრძელვადიანად, საწყისი ვაღიანობიდან გამომდინარე.

საგარეო ვალის კომპილაციისათვის გამოიყენება საგადამხდლო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის იდენტური საინფორმაციო წყარო.

საქართველოს საგადასახდლო ბალანსი	(მლნ აშშ დოლარი)									
	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
	სულ 2008	სულ 2009	სულ 2010	სულ 2011	სულ 2012	სულ 2013	სულ 2014	სულ 2015	სულ 2016	სულ 2017
მეორადი შემოსავალი	1 060,36	967,50	1 098,47	1 328,67	1 407,59	1 465,64	1 433,89	1 119,55	1 126,17	
კაპიტალის ანგარიში	106,62	177,61	198,28	145,82	131,60	132,54	107,94	61,57	56,02	
წმინდა დაკრედიტება(+) / წმინდა სესხება(-)										
(მიმდინარე ანგარიშის და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი)	-2 703,69	-962,66	-999,65	-1 696,42	-1 721,36	-802,15	-1 655,68	-1 622,73	-1 878,87	
ფინანსური ანგარიში	-2 763,56	-934,50	-1 032,67	-1 681,35	-1 774,72	-844,77	-1 734,76	-1 716,12	-1 893,57	
პირდაპირი ინვესტიციები	-1 417,70	-677,42	-678,69	-901,62	-614,33	-830,01	-1 356,39	-1 266,82	-1 414,71	
პორტფელის ინვესტიციები	-623,19	-10,54	-250,50	-133,36	-848,26	36,60	-209,37	153,57	312,75	
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	-7,78	-0,57	-0,79	-5,13	-5,40	2,44	-8,17	1,76	3,99	
სხვა ინვესტიციები	-845,60	-862,40	-310,65	-1 213,67	-344,90	-8,56	-127,47	-505,20	-1 040,38	
სარეზერვო აქტივები	130,71	616,43	207,97	572,41	38,17	-45,22	-33,36	-99,44	244,78	
წმინდა შედომები და გამოტოვებები	-59,87	28,15	-33,02	15,06	-53,36	-42,61	-79,08	-93,39	-14,70	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მასალები.

ტესტები

1. საგადასახდელო ბალანსი განიხილავს:
 - ა. ანგარიშების ორ ტიპს;
 - ბ. ანგარიშების სამ ტიპს;
 - ც. ანგარიშების ოთხ ტიპს;
 - დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. საგადასახდელო ბალანსის ანგარიშებია:
 - ა. მიმდინარე ანგარიში და კაპიტალის ანგარიში;
 - ბ. მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში;
 - ც. არც ერთი პასუხი არ არის სრული.

3. მიმდინარე ანგარიშის სტანდარტული კომპონენტებია:
 - ა. საქონელი და მომსახურება
 - ბ. საქონელი და მომსახურება; შემოსავალი;
 - ც. საქონელი და მომსახურება; შემოსავალი და მიმდინარე ტრანსფერები.
 - დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. კაპიტალური და ფინანსური ანგარიშების სტანდარტული კომპონენტებია:
 - ა. კაპიტალური ტრანსფერები და პირდაპირი ინვესტიციები;
 - ბ. კაპიტალური ტრანსფერები, არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა, პირდაპირი ინვესტიციები.
 - ც. კაპიტალური ტრანსფერები, არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა, პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები.
 - დ. კაპიტალური ტრანსფერები, არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა, პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები, ფინანსური დერივატივები.
 - ე. არც ერთი პასუხი არ არის სრული.

5. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია განისაზღვრება როგორც:

- ა. პოზიცია წლის დასაწყისში პლიუს ტრანსაქციები
 - ბ. პოზიცია წლის დასაწყისში პლიუს ტრანსაქციები პლიუს ფასებისა და გაცვლითი კურსის ცვლილება
 - გ. პოზიცია წლის დასაწყისში პლიუს ტრანსაქციები პლიუს ფასებისა და გაცვლითი კურსის ცვლილება პლიუს სხვა შესწორებები
 - დ. პოზიცია წლის დასაწყისში პლიუს ტრანსაქციები პლიუს ფასებისა და გაცვლითი კურსის ცვლილება პლიუს სხვა შესწორებები პლიუს პოზიცია წლის ბოლოს.
6. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მუხლებია:
- ა. პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, პორტფელური ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები.
 - ბ. პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, პორტფელური ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები, სარეზერვო აქტივები.
 - გ. პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, პორტფელური ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები, სარეზერვო აქტივები, პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში.
 - დ. არც ერთი პასუხი არ არის სრული.
7. საქართველოს საგადასხდელო ბალანსის შედგენა ეროვნულ ბანკში წარმოებს:
- ა. 2004 წლიდან.
 - ბ. 2006 წლიდან.
 - გ. 2007 წლიდან
 - დ. 2012 წლიდან.
8. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ასახავს:
- ა. დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანსაქციებს.
 - ბ. დროის ფიქსირებული პერიოდისათვის მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანსაქციებს.
 - გ. არც ერთი პასუხი არ არის ზუსტი.
9. ეკონომიკის სექტორებია:
- ა. საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები;
 - ბ. საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და სამთავრობო სექტორი;
 - გ. საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, სამთავრობო სექტორი და სხვა სექტორები;
 - დ. არც ერთი პასუხი არ არის სრული.

10. ტრანსფერები არის:

- ა. ტრანსაქცია, როდესაც ერთი მხარე მიაწვდის მეორეს რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ არ იღებს მისგან არანაირ ღირებულებას.
- ბ. ტრანსაქცია, როდესაც ერთი მხარე მიაწვდის მეორეს რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ იღებს მისგან ექვივალენტურ ღირებულებას.

11. გაცვლითი ტრანსაქცია არის:

- ა. ტრანსაქცია, როდესაც ერთი მხარე მიაწვდის მეორეს რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ არ იღებს მისგან არანაირ ღირებულებას.
- ბ. ტრანსაქცია, როდესაც ერთი მხარე მიაწვდის მეორეს რაიმე ეკონომიკურ ღირებულებას და სანაცვლოდ იღებს მისგან ექვივალენტურ ღირებულებას.

12. პორტფელური ინვესტია არის:

- ა. მხოლოდ აქციების სახით;
- ბ. მხოლოდ სავალო ფასიანი ქაღალდების სახით;
- ც. როგორც აქციების, ასევე სავალო ფასიანი ქაღალდების სახით;
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სრული.

13. ფინანსური წარმოებულები მოიცავს:

- ა. ტრანსაქციებს სვოპებით;
- ბ. ტრანსაქციებს სვოპებით და ოფციონებით.
- ც. ტრანსაქციებს სვოპებით, ოფციონებით და სადეპოზიტო გარანტიებით.
- დ. ტრანსაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვა.

14. საქონლისა და მომსახურების საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების დამაბალანსებელი მიუხლია:

- ა. საგარეო-ეკონომიკური სავაჭრო ბალანსი;
- ბ. საგარეო ოპერაციების მიმდინარე სალდო;
- ც. დამატებული ღირებულება.

15. საქონლისა და მომსახურების ექსპორტს მიეკუთვნება:

- ა. არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;
- ბ. რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება;

გ. რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;

დ. არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება.

15. საქონლისა და მომსახურების იმპორტს მიეკუთვნება:

ა. არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;

ბ. რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება;

გ. რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება;

დ. არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისათვის მიყიდული საქონელი და მომსახურება.

16. მონიშნეთ მაჩვენებლები, რომლებიც ასახულია საგარეო ფინანსურ ანგარიშში:

ა. ნაღდი ფული;

ბ. საკუთარი კაპიტალის ღირებულება;

ც. გრძელვადიანი ობლიგაციები;

დ. აქციები.

17. დანარჩენი მსოფლიოს კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

ა. მიმდინარე საგარეო ოპერაციების სალდო;

ბ. საკუთარი კაპიტალის ღირებულების ცვლილება;

ც. ერის წმინდა სესხები ან კრედიტები;

დ. აქტივებისა და პასივების ბალანსი წლის ბოლოსათვის.

თავი IV

მონეტარული და საფინანსო სტატისტიკა

საქართველოში მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი.

ეროვნული ბანკის სტრუქტურა და ორგანიზება

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელიც ირჩევა 7 წლით, პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ეროვნულ ბანკთან იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

ეროვნულ ბანკში არსებობს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი. ასევე, საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტი, საფინანსო სექტორის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და რეგულირების უზრუნველსაყოფად და ეროვნული ბანკის შიდა აუდიტორული სამსახური.

ეროვნული ბანკის ამოცანებია:

1. ინფლაციის დაჭერა და სამომხმარებლო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
2. საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
3. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.
4. საფინანსო სექტორის ზედამხედველობა.
5. ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა
6. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა.
7. საქართველოს მთავრობის ბანკირისა და ფისკალური აგენტის ფუნქციის შესრულება.
8. საგადასახადო სისტემის უსაფრთხოება, მდგრადი და ეფექტური განკარგვის უზრუნველყოფა.
9. ფულადი და ფასიანი ქაღალდების ემისიის უზრუნველყოფა.
10. ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკის წარმოება.
11. უკანონო შემოსავლების ლეგალიზება და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთა.
12. სხვა ფუნქციები.

ეროვნული ბანკის დამოკიდებულება პრეზიდენტთან, პარლამენტთან და მთავრობასთან

ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობა ორგანული კანონით "ეროვნული ბანკის შესახებ".

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

ეროვნული ბანკი პარლამენტს წარუდგენს:

-1 ოქტომბრამდე ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს.

-1 მაისამდე-გასული წლის საქმიანობის ანგარიშა.

-იძლევა დასკვნებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე.

-ეროვნული ბანკის წარმომადგენელი ითვლება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს წევრად.

-ეროვნული ბანკის აუდიტს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული აუდიტორული ფირმა და დასკვნა პარლამენტს წარედგინება არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა.

-ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების პროექტში უნდა აღინიშნოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი.

მონეტარული სტატისტიკა

მონეტარული და საბანკო სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოთი“ (Monetary and Financial Statistics Manual. International Monetary Fund. Washington, 2000) და „მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის შედგენის სახელმძღვანელოთი“ (Monetary and Financial Statistics Compilation Guide. International Monetary Fund. Washington, 2008) განსაზღვრულ კონცეფციებთან, განმარტებებთან და კლასიფიკაციებთან; მონაცემები წარმოდგენილია ათას ლარებში.

მონეტარული სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების მარაგებისა და ნაკადების შესახებ. ორგანიზაციულად იგი ეფუძნება იერარქიულ მიდგომას, რომელიც ემყარება მონაცემთა ორ ძირითად მასივს – ***სექტორალურ ბალანსებს*** და ***მიმოხილვებს***.

სექტორალური ბალანსები მოიცავს დეტალურ მონაცემებს ფინანსური სექტორის ცალკეული ქვესექტორის აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კატეგორიის ნაკადებისა და ნაშთების შესახებ.

მიმოხილვებში სექტორალური ბალანსების მონაცემები გაერთიანებულია აქტივებისა და ვალდებულებების უფრო განზოგადებულ კატეგორიებად, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული ანალიტიკური დატვირთვა.

მიმოხილვები მოიცავს:

- სამ მიმოხილვას ფინანსური სექტორის ქვესექტორების მიხედვით: ცენტრალური ბანკის მიმოხილვას, სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვას და სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვას;
- დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვას, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვების გაერთიანების შედეგს;
- ფინანსური კორპორაციების მიმოხილვას, რომელიც წარმოადგენს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვისა და სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვის გაერთიანების შედეგს (სხვა ფინანსური კორპორაციების საერთო აქტივების სიმცირის გამო, საქართველოში დღეისათვის სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა არ იწარმოება).

ცხრილის დასახელება	ცხრილის ინდექსი	მეთოდოლოგიური განმარტება
<u>ცენტრალური ბანკის მიმოხილვა</u>	M2.4	ცხრილი მოიცავს მოიცავს ფულადი ბაზის ყველა კომპონენტს, რაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებებს და საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკის ფულად აგრეგატებს.

ზოგადი განმარტებები:

წმინდა უცხოური აქტივები – სხვაობა ეროვნული ბანკის უცხოურ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის.

უცხოური აქტივები – მოიცავს მონეტარულ ოქროს, სესხის სპეციალურ უფლებებს (SDR-s), უცხოურ ვალუტას.

მონეტარული ოქრო – მოიცავს მხოლოდ იმ ოქროს, რომელსაც ინახავს ცენტრალური ბანკი და რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალური რეზერვების ნაწილს. ოქროს მარაგი, რომელიც არ შედის ოფიციალური რეზერვების შემადგენლობაში, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივი.

სესხის სპეციალური უფლებები – არის საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ნაწილი, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ-ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით. წევრ-ქვეყნებს, რომლებიც იღებენ სესხის სპეციალურ

უფლებებს, არ უჩნდებათ რეალური ვალდებულება მათთვის გამოყოფილი ნასესხობის სპეციალური უფლებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. სესხის სპეციალური უფლებები შეიძლება იყოს მხოლოდ წვერი ქვეყნების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების იმ შეზღუდული რაოდენობის აქტივები, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ფლობდნენ სესხის სპეციალურ უფლებებს. სესხის სპეციალური უფლებების ავუარები წარმოადგენს სხვა წვერი ქვეყნებისაგან უცხოური ვალუტის ან სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უპირობო უფლებას.

აქტივები უცხოური ვალუტით – მოიცავს ცენტრალური ბანკის მოთხოვნებს არარეზიდენტების მიმართ უცხოური ვალუტის, საბანკო დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდების სახით.

უცხოური ვალუტა – მოიცავს უცხოურ ბანკნოტებსა და მონეტებს, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და ემიტირებულია არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების ან მთავრობების მიერ. სამახსოვრო ან ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტები, რომლებიც არ მიმოიქცევა როგორც გადახდის საშუალება, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივები და არ მიეკუთვნება უცხოურ აქტივებს.

საბანკო დეპოზიტები – მოიცავს დეპოზიტებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მოთხოვნისთანავე. ლიკვიდობის კონცეფციიდან გამომდინარე, ასეთ დეპოზიტებს მიეკუთვნება მოთხოვნამდე დეპოზიტები. თუმცა, ისეთი ვადიანი დეპოზიტები, რომელთა განაღდება ხდება მოთხოვნისთანავე, ჩაირთვება ამ კატეგორიაში.

ფასიანი ქაღალდები – მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე რეალიზებად მაღალილიკვიდურ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალში მონაწილეობას და სავალო ფასიან ქაღალდებს. ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა კოტირება არ ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ამ კატეგორიაში არ ჩაირთვება, რადგან ისინი მიჩნეულია არასაკმარისად ლიკვიდურად.

უცხოური ვალდებულებები მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენებას და სხვა უცხოურ ვალდებულებებს არარეზიდენტების მიმართ.

წმინდა საშინაო აქტივები – წმინდა მოთხოვნები ცენტრალური მთავრობისა და სხვა რეზიდენტი სექტორების მიმართ.

შენიშვნა: ცენტრალური მთავრობისადმი წმინდა მოთხოვნები განსხვავდება ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მონაცემებისაგან, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეროვნული ბანკი მთავრობის წმინდა დეპოზიტებში რთავს ხაზინის ერთიანი ანგარიშისა და ერთიანი სავალუტო ანგარიშის თანხებს, მაშინ როცა ფინანსთა სამინისტრო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გამოყოფს და ცალკე ასახავს სუბანგარიშებს, დაკავშირებულს ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსავლების დასაბრუნებელ თანხებთან (შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშზე რიცხული თანხები), სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გადაფასებასთან და ხაზინის ერთიანი ანგარიშის სხვა ქვეანგარიშებზე არსებული თანხების ცვლილებასთან, რაც აუცილებელია სახელმწიფო ხაზინის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

სარეზერვო ფული – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ნაღდი ფული (ეროვნული ბანკის სალაროში სახსრების ნაშთის გარეშე), საქართველოს კომერციული ბანკების (ლიცენზიაგამოთხოვილი ბანკების სახსრების ჩათვლით) მიერ ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ანგარიშებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული, იმ ფულის გამოკლებით, რაც იმყოფება ეროვნული ბანკის სალაროში.

ბანკების დეპოზიტები – შედგება სავალდებულო რეზერვების, ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთებისა და სხვა დეპოზიტებისაგან.

სავალდებულო რეზერვები (მინიმალური) - კომერციული ბანკების საერთო აქტივების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას, უზრუნველყოფს მომხმარებლების ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ზღუდავს კრედიტების გაცემას; იგი ამავე დროს წარმოადგენს კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვების ნაწილს, გაანგარიშებულს მოზიდული სახსრების მიმართ დადგენილი ნორმის შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში - კომერციული ბანკების სახსრების ნაშთები ეროვნულ ბანკში, რომელიც გამოიყენება კლიენტთა სახელით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ნაერთი ბალანსი.

სხვა დეპოზიტური M2.5
კორპორაციების
მიმოხილვა

ცხრილი იძლევა ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ვალდებულებების შესახებ.

ზოგადი განმარტებები:

წმინდა უცხოური აქტივები – სხვაობა სხვა დეპოზიტური კორპორაციების (კომერციული ბანკების) უცხოურ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის.

უცხოური ვალუტის რეზერვები – მოიცავს სხვა დეპოზიტური კორპორაციების მოთხოვნებს არარეზიდენტების მიმართ უცხოური ვალუტის, საბანკო დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდების სახით.

უცხოური ვალუტა – მოიცავს უცხოურ ბანკნოტებსა და მონეტებს, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და ემიტირებულია არარეზიდენტი ცენტრალური ბანკების ან მთავრობების მიერ. სამახსოვრო ან ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტები, რომლებიც არ მიმოიქცევა როგორც გადახდის საშუალება, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივები და არ მიეკუთვნება უცხოურ აქტივებს.

საბანკო დეპოზიტები – მოიცავს არარეზიდენტ ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო და ვადიანი დეპოზიტების ანგარიშების ნაშთებს.

ფასიანი ქაღალდები – მოიცავს არარეზიდენტების სავალო ფასიან ქაღალდებს საბაზრო ღირებულებით.

უცხოური ვალდებულებები მოიცავს საბანკო სექტორის უცხოურ ვალდებულებებს არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ.

წმინდა საშინაო აქტივები – წმინდა მოთხოვნები ცენტრალური მთავრობისა და სხვა რეზიდენტი სექტორების მიმართ.

სადეპოზიტო ვალდებულებები – მოიცავს რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების (საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარდა) მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებულ ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ნაშთებს; შედგება ვადიანი დეპოზიტების (სპეციალურ დანიშნულების დეპოზიტების ჩათვლით), მიმდინარე ანგარიშებისა და გადასახდელი პროცენტებისაგან.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ნაერთი ბალანსი და სტატისტიკური ანგარიშგება.

**დეპოზიტური
კორპორაციების**

M2.6

ცხრილი მოიცავს მონაცემებს დეპოზიტური კორპორაციების ყველა ვალდებულების მიხედვით,

მიმოხილვა

რომლებიც შედის ფართო ფულის ეროვნულ მაჩვენებელში; იგი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკისა (ცხრილი **M2.4**) და სხვა დეპოზიტური კორპორაციების (ცხრილი **M2.5**) მიმოხილვების გაერთიანებას.

ზოგადი განმარტებები:

ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) – ფულადი აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილი; მოიცავს მიმოქცევაში არსებულ ეროვნულ ვალუტას, კომერციული ბანკების სალაროებში ნაშთების გარეშე.

M1 აგრეგატი (ვიწრო ფული) – მოიცავს ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს (**M0**) და რეზიდენტი სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების მოთხოვნამდე დეპოზიტებს ეროვნული ვალუტით, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

M2 აგრეგატი (ფართო ფული უცხოური ვალუტით დეპოზიტების გარეშე) – ვიწრო ფულისა (**M1**) და საბანკო სექტორში რეზიდენტი სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვადიანი და შემნახველი დეპოზიტების ერთობლიობა, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

M3 აგრეგატი (ფართო ფული) – **M2** აგრეგატისა და საბანკო სექტორში რეზიდენტი სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საერთო თანხა, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე

მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი და სტატისტიკური ანგარიშგება.

დეპოზიტური M2.6
კორპორაციების
მიმოხილვა

ფულის მასის M2.1
აგრეგატები და
მონეტარული
კლასიფიკაციები

ცხრილის მიზანია ფულის მასის შეფარდებითი აგრეგატების შესწავლა.

დოლარიზაციის მაჩვენებელი (ფართო ფულში შემავალი დეპოზიტების მიხედვით) – საბანკო სექტორში განთავსებული უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობის შეფარდება სადეპოზიტო ვალდებულებების (ეროვნული და უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების) საერთო მოცულობასთან.

დოლარიზაციის მაჩვენებელი (მთლიანი არასაბანკო დეპოზიტების მიხედვით) - საბანკო სექტორში განთავსებული უცხოური ვალუტით დენომინირებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობის შეფარდება არასაბანკო დეპოზიტების მთლიან მოცულობასთან.

ფულის მულტიპლიკატორი – ფართო ფულის შეფარდება სარეზერვო ფულთან. გაიანგარიშება როგორც M2-ის, ისე M3-ის მიხედვით.

ფულის ბრუნვის სიჩქარე – უჩვენებს დროის მოცემულ მონაკვეთში საშუალოდ რამდენჯერ გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის ფულის თითოეული ერთეული და გაიანგარიშება ფორმულით:

$$V = \frac{PY}{M}, \text{ სადაც } V \text{ არის ფულის ბრუნვის სიჩქარე, } Y - \text{ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, } P$$

- მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, M – ფულის მოცულობა (M2/M3).

მოცემულ ცხრილში ფულის ბრუნვის სიჩქარე გაანგარიშებულია მოცემული პერიოდისათვის (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წელი) არსებული ფართო ფულის საშუალო მოცულობასთან მიმართებაში. თუმცა, ამ მაჩვენებლის გაანგარიშება შეიძლება მოცემული პერიოდის ბოლოსათვის არსებული ფართო ფულის

მოცულობასთან მიმართებაშიც (იხ. „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“, ცხრილი 2.1).

მონეტიზაციის კოეფიციენტი – წარმოადგენს ფულის ბრუნვის სიჩქარის შეზღუდვებულ სიდიდეს; გაიანგარიშება როგორც M2–ის, ისე M3–ის მიხედვით.

ინფორმაციის წყარო: დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემები.

ფინანსური FSI
სტაბილურობის
ინდიკატორები

ცხრილის მიზანია ქვეყნის საბანკო სექტორის ფინანსური სიჯანსაღისა და სტაბილურობის შესწავლა.

ზოგადი განმარტებები.

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი – არასაიმედო სესხების სარეზერვო ანარიცხები, რომლებზეც შესაძლოა წარმოიქმნას გადაუხდელობის რისკი. ასეთი რეზერვების შექმნა, გამოყენება და წარმოება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი დებულებით.

შემოსავალი – კომერციული ბანკის პროცენტული და არაპროცენტული შემოსავლების ჯამი.

წმინდა მოგება – სხვაობა მთლიან შემოსავალსა და მთლიან ხარჯებს შორის, გაუთვალისწინებელი შემოსავლების/ხარჯების და ბიუჯეტში გადასახადების გადახდის შემდეგ.

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

პირველადი კაპიტალი – კაპიტალის საბაზო მარკვენებელი; მოიცავს გამოსყიდულ და ჩვეულებრივ აქციებსა და გაცხადებულ რეზერვებს, შექმნილს ან გაზრდილს გაუნაწილებელი ან სხვა მოგების ასიგნების გზით.

საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების, ზარალის განეიტრალებისა და საკრედიტო, საპროცენტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკებისაგან დასაცავად.

უმოქმედო სესხები – არასტანდარტული, უიმედო და საექვო სესხების ერთობლიობა.

უმოქმედო სესხების რეზერვი – სესხების შესაძლო დანაკარგების დაფარვის მიზნით შექმნილი რეზერვი, რომელიც წარმოადგენს დეპოზიტური დაწესებულებების მიერ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, განხორციელებულ გადარიცხვებს არასტანდარტული, უიმედო და საექვო სესხების ანგარიშზე, შესაძლო დანაკარგების საკუთარი შეფასებიდან გამომდინარე. უმოქმედო სესხების შექმნის, გამოყენებისა და წარმართვის პროცესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით.

საბალანსო ღია სავალუტო პოზიცია – სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც სხვადასხვა უცხოური ვალუტით ბანკის აქტივების თანხა არ ემთხვევა მის ვალდებულებებს იმავე ვალუტებით.

კრებსითი ღია სავალუტო პოზიცია – საბალანსო და ბალანსგარეშე ღია სავალუტო პოზიციების ერთობლიობა.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი – საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის მთავარი ბერკეტი; გაიანგარიშება, როგორც საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან.

უკუგება, აქტივების მიხედვით (ROA) – გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე.

უკუგება, სააქციო კაპიტალის მიხედვით (ROE) – გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით იმავე პერიოდის სააქციო კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე.

პერიოდულობა – ყოველთვიური.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი და საზედამხედველო ანგარიშგების ნაერთი მონაცემები.

კომერციული M3.3

ბანკების კრებსითი

აქტივები და

პასივები

ცხრილი იძლევა ინფორმაციას კომერციული ბანკების კრებსითი აქტივებისა და პასივების ნაშთების შესახებ.

ზოგადი განმარტებები.

აქტივები

ნაღდი ფულადი სახსრები – ფულადი სახსრები ეროვნული და უცხოური ვალუტით, განთავსებული ბანკების სალაროებში, ფულადი სახსრები გზაში, კვანძგარეთა საოპერაციო სალაროებში, ბანკომატებში.

ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე – ნაშთები რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში „ნოსტრო“ ანგარიშებზე ეროვნული და უცხოური ვალუტით, სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები, თანხების ნაშთები სავალდებულო რეზერვებისა და საბროკერო კომპანიების ანგარიშებზე.

ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის – აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, განკუთვნილი მეორად ბაზარზე შემდგომი რეალიზაციისათვის.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – დაბანდებები ეროვნული და უცხოური ვალუტით სახელმწიფო და კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებში, სახსრების პირველად ბაზარზე ინვესტირების მიზნით.

წმინდა სესხები – რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო დავალიანება (ვადიანი და ვადაგადაცილებული სესხები) ეროვნული და უცხოური ვალუტით, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გარეშე.

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი – არასაიმედო სესხების სარეზერვო ანარიცხები, რომლებზედაც შესაძლოა წარმოიქმნას გადაუხდელობის რისკი. ასეთი რეზერვების შექმნა, გამოყენება და წარმოება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი დებულებით.

დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები – ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემულ ყველა სახის სესხზე, სახელმწიფო და კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებზე დარიცხული მისაღები პროცენტები, საწარმოთა საწესდებო კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებზე მისაღები დივიდენდები და მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით.

ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში – კომერციული ბანკების დაბანდებები შვილეულ და სხვა საწარმოებში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები – ძირითადი საშუალებების, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების დანახარჯები, ოპერაციული ლიზინგისა და არამატერიალური აქტივების ანგარიშების ნაშთები, ამორტიზაციის თანხების გარეშე.

სხვა წმინდა აქტივები – დანარჩენი წმინდა აქტივების ნაშთები, სავალუტო პოზიციისა და ერთი ბანკის დაწესებულებებს შორის ანგარიშსწორების ნაშთების გარეშე.

ვალდებულებები

ბანკების დეპოზიტები – რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკების „ლორო“–ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთები ეროვნული და უცხოური ვალუტით და სხვა ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები.

არასაბანკო დეპოზიტები – რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების (ბანკების გარდა) მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები, ეროვნული და უცხოური ვალუტით.

დარიცხული და გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები – დარიცხული პროცენტები და დივიდენდები ყველა სახის მოზიდულ სახსრებზე და სხვა ვალდებულებებზე, ეროვნული და უცხოური ვალუტით.

ნასესხები სახსრები – რეზიდენტი და არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან და სამთავრობო ორგანოებიდან მიღებული სახსრები, ცენტრალური და კომერციული ბანკების სესხები, ოვერდრაფტები „ნოსტრო“–ანგარიშებზე (ვადიანი და ვადაგადაცილებული), ეროვნული და უცხოური ვალუტით.

სხვა ვალდებულებები – სხვა საბანკო ვალდებულებები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

განადღებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის, ანუ აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.

კაპიტალის რეზერვები – აქტივების (ოქროს, სავალუტო სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ძირითადი საშუალებებისა და დანარჩენი აქტივების) გადაფასების რეზერვები, რომელთა ფორმირებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

გაუნაწილებელი მოგება – წინა წლის გაუნაწილებელი და მიმდინარე წლის მოგება–ზარალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების სალდო.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი.

კომერციული M3.4
ბანკების
საქმიანობის
ფინანსური
მაჩვენებლები

ცხრილი იძლევა ინფორმაციას კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი.

არასაბანკო NonBAP
დეპოზიტური
დაწესებულებების
აქტივები და
პასივები

ცხრილის მიზანია შესწავლილ იქნეს არასაბანკო დეპოზიტური დაწესებულებების აქტივებისა და პასივების მოცულობა და დინამიკა.

პერიოდულობა: კვარტალური.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი არასაბანკო დეპოზიტური დაწესებულებების კვარტალური საზედამხედველო ანგარიშგების ნაერთი მონაცემები.

მიკროსაფინანსო MisoAP
ორგანიზაციების
აქტივები და
პასივები

ცხრილის მიზანია შესწავლილ იქნეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივებისა და პასივების მოცულობა და დინამიკა.

პერიოდულობა: კვარტალური.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური საზედამხედველო ანგარიშგების ნაერთი მონაცემები.

მონეტარული და საფინანსო სტატისტიკის შესახებ მონაცემები მუშავდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. შესაბამისად, "მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი" წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ გამოცემას. ის გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და ქვეყნდება ვებგვერდზე: www.nbg.ge. მისი მომხმარებლები არიან ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, აკადემიური წრეები და ფიზიკური პირები, საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურები.

მონეტარული სტატისტიკის ინფორმაციის წყაროა ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ფილიალების ჩათვლით) მიერ წარმოდგენილი მონაცემები. ამასთან, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

ბიულეტენში მონეტარული და საფინანსო სტატისტიკები ცხრილების სახითაა მოცემული.

ცხრილის "მონეტარული კოეფიციენტების დინამიკა"-ძირითადი მაჩვენებლებია:

სავალდებულო რეზერვები-კომერციული ბანკების საერთო აქტივების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას, უზრუნველყოფს მომხმარებლების ყოველდღიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ზღუდავს კრედიტების გაცემას; იგი ამავე დროს წარმოადგენს კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვების ნაწილს, გაანგარიშებულს მოზიდული სახსრების მიმართ დადგენილი ნორმების შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში-კომერციული ბანკების სახსრების ნაშთები ეროვნულ ბანკში, რომლებიც გამოიყენება კლიენტთა სახელით ბანკტაშორისი ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

ნაღდი ფული კომერციულ ბანკებში- მოიცავს საღაროში ეროვნული ვალუტით განთავსებულ ნაღდ ფულად სახსრებს.

კომერციული ბანკების რეზერვების საერთო თანხა-მოიცავს ბანკების დეპოზიტებისა (სავალდებულო რეზერვებისა და საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშტების ჯამისა) და კომერციული ბანკების საღაროებში არსებული ეროვნული ვალუტის ნასთების საერთო თანხას.

კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებები-მოიცავს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების(საბანკო და სამთავრობო სექტორების გარდა) მიერ კომერციულ კომერციულ ბანკებში განთავსებულ ეროვნული და უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ნასტებს; შედგება ვადიანი დეპოზიტების, მიმდინარე ანგარიშებისა და მათზე გადასახდელი პროცენტებისაგან.

დოლარიზაციის კოეფიციენტი-კომერციულ ბანკებში განთავსებული უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობის შეფარდება სადეპოზიტო ვალდებულებების საერთო მოცულობასთან.

ფულის მულტიპლიკატორი- ფართო ფულის შეფარდება სარეზერვო ფულთან. გაიანგარიშება M2-ის და M3-ის მიხედვით.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე ასახავს, თუ დროის მოცემულ მონაკვეთში საშუალოდ რამდენჯერ გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის ფულის თითოეული ერთეული, გაიანგარიშება ფორმულით:

$V=PY/M$,

სადაც,

V- ფულის მიმოქცევის სიჩქარე,

Y- რეალური მშპ,

P- ფასების საერთო დონე,

M- ფულის მოცულობა ($M2/M3$).

ცხრილის "სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა" ძირითადი მაჩვენებლებია:

სარეზერვო ფული- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ნაღდი ფული (ეროვნული ბანკის სალაროში სახსრების ნაშთის გარეშე), საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკსი დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ანგარიშებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშტები, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებების (ლიცენზია გამოთხოვილი ბანკების სახსრების ჩათვლით) სხვა სახსრების ნაშთები ეროვნულ ბანკში.

ნაღდი ფული მიმოქცევაში- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული, იმ ფულის გამოკლებით, რაც იმყოფება ეროვნული ბანკის სალაროში.

თანხები კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე.

სავალდებულო რეზერვები.

ცხრილის " ფულის მასის აგრეგატების დინამიკა" ძირითადი მაჩვენებლებია:

ფართო ფული(M3)- M2 აგრეგატისა და კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საერთო თანხა, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

ფართო ფული უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე (M2)- ვიწრო ფულისა და კომერციულ ბანკებში ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვადიანი და შემნახველი დეპოზიტების ერთობლიობა, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

ვიწრო ფული(M1)- მოიცავს ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ეროვნული ვალუტით, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე.

ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული(M0)- ფულადი აქტივების ყველაზე ლიკვიდური ნაწილი. მოიცავს: მიმოქცევაში არსებულ ეროვნულ ვალუტას, კომერციული ბანკების სალაროებში არსებული ნაშთების გარეშე.

დეპოზიტები ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში- ეროვნული/ უცხოური ვალუტით დენომინირებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში; მოიცავს რეზიდენტი და

არარეზიდენტი შინამეურნეობებისა და იურიდიული პირების დეპოზიტებს; შედგება ვადიანი დეპოზიტებისა და მიმდინარე ანგარიშებისაგან.

ცხრილი " ეროვნული ბანკის მიმოხილვა" მოიცავს მონაცემებს ეროვნული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთების შესახებ. მისი ძირითადი მაჩვენებლებია:

წმინდა უცხოური აქტივები-სხვაობა საქართველოს ეროვნული ბანკის უცხოურ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის.

უცხოური აქტივები- მოიცავს მონეტარულ ოქროს, ნასესხობის სპეციალურ უფლებებს, უცხოურ ვალუტას.

მონეტარული ოქრო, ნასესხობის სპეციალური უფლებები-წარმოადგენს მთლიანი სარეზერვო აქტივების ნაწილს, რომლებსაც აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

უცხოური ვალდებულებები მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენებას და სხვა უცხოურ ვალდებულებებს არარეზიდენტების მიმართ.

ცხრილი "სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა" მოიცავს მონაცემებს საქართველოს კომერციული ბანკების აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთების შესახებ.

ცხრილი " დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა" წარმოადგენს ეროვნული ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის გაერთანებას.

კომერციული ბანკები

ცხრილი "ფინანსური სექტორის ინსტიტუტები" ახასიათებს საქართველოს ფინანსური სექტორის რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკას. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: კომერციული ბანკები და მათი ფილიალები (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით), არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის უწყებრივი სალიცენზიო რეესტრი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი; დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ძირითადი მაჩვენებლებია:

კომერციული ბანკების განცხადებული საწესდებო კაპიტალი-აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი.

სააქციო კაპიტალი-კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

ცხრილი"კომერციული ბანკების დაჯგუფება განადღებული საწესდებო კაპიტალის მიხედვით".

განადღებული საწესდებო კაპიტალი- განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილია.

ინფორმაციის წყაროსაქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი;

ცხრილი " კომერციული ბანკების კრებსითი აქტივებისა და პასივების დინამიკა".

ინფორმაციის წყაროსაქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი;

ძირითადი მაჩვენებლებია:

აქტივები

ნაღდი ფულადი სახსრები-ფულადი სახსრები ეროვნული და უცხოური ვალუტით, განთავსებული ბანკების საღაროებში ი, ფულადი სახსრები გზაში, კვანძგარეთა საოპერაციო საღაროებში, ბანკომატებში.

ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე- ნაშთები რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში " ნოსტრო"-ანგარიშ ბზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები, თანხების ნაშთები სავალდებულო რეზერვებისა დაბროკერო კომპანიების ანგარიშებზე.

ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის- აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, განკუთვნილი მეორად ბაზარზე შენდგომი რეალიზაციისათვის.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები- დაბანდებები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სახელმწიფო და კორპორაციულ სავალდებულო ფასიან ქაღალდებში, სახსრების პირველად ბაზარზე ინვესტირების მიზნით.

წმინდა სესხები- რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო დავალიანება(ვადიანი და ვადაგადაცილებული სესხები)ეროვნული და უცხოური ვალუტით, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გარეშე.

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი-არასაიმედო სესხების სარეზერვო ანარიცხები, რომლებზედაც სესაძლოა წარმოიქმნას გადაუხდელობის რისკი. ასეთი რეზერვების შექმნა, გამოყენება და წარმოება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი დებულებით.

დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები-ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გაცემულ ყველა სახის სესხზე, სახელმწიფო და კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებზე დარიცხული მისარები პროცენტები, საწარმოთა საწესდებო კაპიტალში ინვესტიციებზე მისაღები დივიდენდები და მისაღები პროცენტები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით.

ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში- კომერციული ბანკების დაბანდებები შვილეულ და სხვა საწარმოებში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები- ძირითადი საშუალებების, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების დანახარჯები, ოპერაციული ღირებულება და არამატერიალური აქტივების ანგარიშების ნაშთები, ამორტიზაციის თანხების გარეშე.

სხვა წმინდა აქტივები- დანარჩენი წმინდა აქტივების ნაშთები სავალუტო პოზიციისა და ერთი ბანკის დაწესებულებებს შორის ანგარიშსწორების ნაშთების გარეშე.

ვალდებულებები.

ბანკების დეპოზიტები-რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკების "ლორო" ანგარიშებზე არსებული სახსრების ნაშთები ეროვნული და უცხოური ვალუტით და სხვა ბანკებისაგან მიღებული დეპოზიტები.

არასაბანკო დეპოზიტები-რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული(ბანკების გარდა) პირების მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები, ეროვნული და უცხოური ვალუტით.

დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები-დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები ყველა სახის მოზიდულ სახსრებზე და სხვა ვალდებულებებზე, ეროვნული და უცხოური ვალუტით.

ნასესხები სახსრები- რეზიდენტი და არარეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტებიდან და სამტავრობო ორგანოებიდან მიღებული სახსრები, ცენტრალური და კომერციული ბანკების სესხები, ოვერდრაფტები "ნოსტრო" ანგარიშებზე (ვადიანი და ვადაგადაცილებული), ეროვნული და უცხოური ვალუტით.

სხვა ვალდებულებები- სხვა საბანკო ვალდებულებები, რომელიც არ ს დის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

კაპიტალის რეზერვები- აქტივების გადაფასებისა(ოქროს, სავალუტო სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ძირითადი საშუალებებისა და დანარჩენი აქტივების) რეზერვები, ბ რომელთა ფორმირებისა და გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

გაუნაწილებელი მოგება- წინა წლის გაუნაწილებელი და მიმდინარე წლის მოგება-ზარალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების სალდო.

კომერციული ბანკებისსაქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები ასახავს კომერციული ბანკების მიმდინარე წლის მოგება ზარალის სტრუქტურას. გაიანგარიშება ნაზრდი ჯამით წლის დასაწყისიდან.

ინფორმაციის წყაროს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური ნაერთი ბალანსი;

"კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების დავალიანებების მოცულობა და სტრუქტურა".

ინფორმაციის წყარო საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ძირითადი მაჩვენებლებია:

მოკლევადიანი სესხები ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში-ყველა სახის სესხი, რომლის დაფარვის პირველადი ვადა არის 1 წელი და ნაკლები.

გრძელვადიანი სესხები ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში-სესხები, რომელთა დაფარვის პირველადი ვადა 1 წელზე მეტს შეადგენს.

ვადაგადაცილებული სესხები ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში-კლიენტებზე გაცემული სესხების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხები, რომლებიც არ არის დაფარული საკრედიტო ხელშეკრულებით გატვალისწინებულ ვადებში.

დარიცხული და მისაღები პროცენტები ეროვნული/უცხოური ვალუტი-კლიენტებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების თანხები.

"კომერციული ბანკების მიერ გაცემული ვადიანი სესხებით დავალიანების მოცულობა დებიტორების კატეგორიების მიხედვით" მოიცავს მონაცემებს მოცემული საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე ეროვნულ/უცხოური ვალუტებით, ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული იმ სესხების მოცულობისა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების შესახებ, რომელთა დაფარვის ვადა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ხელშეკრულებით, ჯერ არ დამდგარა.

ინფორმაციის წყარო საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ძირითადი მაჩვენებლებია;

ბანკთაშორისი სესხები- მოიცავს როგორც რეზიდენტ, ასევე, არარეზიდენტ ბანკებზე ბანკთაშორისი აუქციონის გვერდის ავლით გაცემულ სესხებს.

სხვა კლიენტებზე გაცემული სესხები- მოიცავს ბანკების გარდა, ნებისმიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ ეკონომიკურ სუბიექტებზე გაცემულ სესხებს (სამეწარმეო და სამტავრობო სექტორები, სხვა ფინანსური დაწესებულებები, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, ფიზიკური პირები).

საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები დებიტორების კატეგორიებისა და ვალუტების მიხედვით გაიანგარიშება ფორმულით:

$$P_{საშ} = \frac{\sum pv}{\sum v}$$

სადაც,

$P_{საშ}$ -სესხების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთია,

P - შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი,

v - სესხის მოცულობა ხელშეკრულების მიხედვით.

ცხრილი" კომერციული ბანკების მიერ საანგარიშო პერიოდში გაცემული ვადიანი სესხები დებიტორების კატეგორიების მიხედვით" მოიცავს მონაცემებს საანგარიშო პერიოდის(თვის) განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე ეროვნული/ უცხოური ვალუტით ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხების მოცულობისა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი" კომერციული ბანკების მიერ ეროვნული/ უცხოური ვალუტით გაცემული ვადიანი სესხებით დავალიანების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები" მოიცავს ეროვნული/ უცხოური ვალუტით გაცემული ყველა სახეობის სესხით (გარდა ბანკთაშორისი სესხებისა) დავალიანების მოცულობას მოცემული თარიღისათვის და შესაბამის საშუალო წლიურ შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები

ცხრილი" კომერციული ბანკების მიერ ეროვნული/ უცხოური ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები" მოიცავს ეროვნული/ უცხოური ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებით დავალიანების მოცულობას, შესაბამის საშუალო წლიურ შეწონილ საპროცენტო განაკვეთებთან ერთად.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი" კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება საქმიანობის სახეების მიხედვით".

ცხრილში მოცემული სესხების საქმიანობის სახეების მიხედვით დაყოფა შეესაბამება საქართველოსი მოქმედ და ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის მიერ რეკომენდებულ ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორს(NACE, ვერსია3).

ცხრილი " კომერციული ბანკების მიერ საანგარიშოპერიოდში რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები საქმიანობის სახეების მიხედვით" მოიცავს მონაცემებს მოცემული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე ეროვნული/უცხოური ვალუტით ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხების მოცულობისა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი " კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება ეკონომიკს სექტორების მიხედვით".

ეროვნული ეკონომიკს სექტორებად დაყოფაშეესაბამება ეას(1993 SNA) და შესაბამისად სსფ-ის მიერ გამოცემულ "მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს" კლასიფიკაციას.

ცხრილი "კომერციული ბანკების სასესხო და მისაღები პროცენტებით დავალიანების ბრუნვები" ასახავს კომერციული ბანკების სასესხო ოპერაციებს ეროვნული და უცხოური ვალუტით, ვადიანობის მიხედვით.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

სადებეტო ბრუნვები ასახავს კომერციული ბანკების აქტიური საბალანსო ანგარიშებისზრდას კრედიტების გაცემის, ვადაში დაუფარავი კრედიტების და ვადიან და ვადაგადაცილებულ სასესხო დავალიანებაზე დარიცხული პროცენტების ს დეგად.

საკრედიტო ბრუნვები ასახავს კომერციული ბანკების აქტიური საბალანსო ანგარიშების შემცირებას ვადიანი სესხების დაფარვის, ვადაგადაცილებული სესხების შესაბამის საბალანსო ანგარიშზე გადატანის და მათი დაფარვის ან ჩამოწერის, ასევე, მოცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტების დაფარვის ან ჩამოწერის შედეგად.

უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები ეროვნულ ვალუტაზე გადაყვანილია სკვ-ის მიერ საანგარიშო თვის ბოლოს დადგენილი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსრბის შესაბამისად.

ცხრილი"კომერციული ბანკების მიერ გაცემული სამომხმარებლო სესხებთ დავალიანების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები"

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ძირითადი მაჩვენებლებია:

მიმდინარე ანგარიშები-საბანკო ანგარიშები, რომლებშიც განტავსებულია კლიენტთა თავისუფალი ფულადი სახსრები და საიდანაც თანხის მოხსნა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, კლიენტის მოთხოვნისთანავე; ამ ანგარიშების დანიშნულებაა კლიენტთა ფინანსური ოპერაციების განხორციელება, მათი დავალებით.

იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები-რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტებზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული ვადა და ერიცხებათ გარკვეული პროცენტი ხელშეკრულების შესაბამისად.

ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები-რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტებზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული ვადა და ერიცხებათ გარკვეული პროცენტი ხელშეკრულების შესაბამისად.

ცხრილი" კომერციული ბანკების მიერ ეროვნული/ უცხოური ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა და საშუალოწლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები".

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილში მოცემულია იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული ყველა სახის დეპოზიტის მოცულობა. ძირითადი საკლასიფიკაციო ჯგუფებია: დეპოზიტები მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები.

დეპოზიტები მოთხოვნამდე, გარდა ხელშეკრულების მიხედვით მოთხოვნამდე ვადის მქონე დეპოზიტებისა, მოიცავს სხვა ლიკვიდურ დეპოზიტებსაც. ესენია: დეპოზიტები გარანტიების მიხედვით, ანგარიშები ჩეკის წიგნაკების, საბანკო პლასტიკური ბარათების, აკრედიტივებისა და სხვა საგადასახადო საბუთების მიხედვით. აქ არ შედის იურიდიული და ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც ზოგადად, ასევე განიხილება, როგორც მოთხოვნამდე დეპოზიტები.

ვადიანი დეპოზიტები, ჩვეულებრივ მოიცავს იმ დეპოზიტებს, რომლებსაც ხელშეკრულების მიხედვით აქვთ განსაზღვრული ვადა და ერიცხებათ გარკვეული პროცენტი.

საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მოზიდულ დეპოზიტებზე შესაბამისი ვადების მიხედვით გაიანგარიშება ფორმულით:

$$P_{საშ} = \sum pv / \sum v$$

სადაც,

$P_{საშ}$ -დეპოზიტების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთია,

P - შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი,

v - დეპოზიტის მოცულობა ხელშეკრულების მიხედვით.

ცხრილი"კომერციული ბანკებში საანგარიშო პერიოდის განთავსებული ვადიანი დეპოზიტები ეროვნული ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასახავს კომერციულ ბანკებში მიმდინარე პერიოდში(თვეში) განთავსებული დეპოზიტების მოცულობასა და საბაზრო საშუალო წლიურ შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა ურთიერთგადამკვეთ ჭრილში: ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რეზიდენტებისა და არარეზიდენტების, ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები

ცხრილის სახითაა წარმოდგენილი "კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები".

წყარო:საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი"კომერციულ ბანკებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განთავსებული დეპოზიტების განაწილება მათი მოცულობების მიხედვით გვიჩვენებს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კომერციულ ბანკების კვარტალების მიხედვით ეროვნულ და უცხოურ ვალუტასიგანთავსებული ვადიანი დეპოზიტების მოცულობებს, რანჟირებულს ამ უკანასკნელტა სიდიდის მიხედვით.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები

ცხრილი მოიცავს ყველა სახის ვადიან დეპოზიტს, ბანკთაშორისის ჩათვლით.

ცხრილი" კომერციულ ბანკებში საანგარიშო პერიოდში განთავსებული ვადიანი დეპოზიტები მფლობელთა კატეგორიების მიხედვით" ასახავს კომერციულ ბანკებში მიმდინარე პერიოდის(თვის) განმავლობაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობასა და საბაზრო საშუალო წლიურ შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტების მფლობელთა კატეგორიების ჭრილში: იურიდიული და ფიზიკური პირების, ბანკებისა და სხვა კლიენტების, რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიუხედავით.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები

ცხრილი "საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა" გვიჩვენებს კომერციული ბანკების მიერ საანგარიშო პერიოდში გაცემულ ვადიან სესხებზე და კომერციულ ბანკებში ამავე პერიოდის განმავლობაში განთავსებულ ვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების დინამიკას, ვალუტებისა და ეკონომიკური სუბიექტების იურიდიული სტატუსის მიხედვით.

ინფორმაციის წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები

ცხრილის მაჩვენებლები არ მოიცავს ბანკთაშორის სესხებს/დეპოზიტებს.

ფინანსური ბაზრების სტატისტიკა

ცხრილები "კომერციული ბანკების მიერ აუქციონის გარეშე სხვა ბანკებზე ეროვნული/ უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით დაგვიანების მოცულობა და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები" მოიცავს მონაცემებს კომერციული ბანკების მიერ აუქციონის გარეშე სხვა რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებზე ეროვნული/უცხოური ვალუტით ხელსეკრულების საფუძველზე გაცემული იმ სესხების მოცულობისა და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთების შესახებ, რომელთა დაფარვის ვადა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ნხელშეკრულებით, ჯერ არ დამდგარა.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ცხრილი "ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების შედეგები" ასახავს მონაცემებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიისა და განთავსების მოცულობებისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის საბაზრო ოპერაციების ჯგუფი.

ძირითადი მაჩვენებლები:

ემისიის მოცულობა- აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური ღირებულება.

მოთხოვნის მოცულობა- სადეპოზიტო სერტიფიკატების ყიდვაზე აუქციონზე წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნული სადეპოზიტოსერტიფიკატების საანგარიშსწორებო ღირებულება.

განთავსება- აუქციონზე დაკმაყოფილებული განცხადებების ჯამური თანხა ნომინალური ღირებულებით.

დისკონტი- სხვაობა სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებასა და მის საანგარიშსწორებო ფასს შორის.

ცხრილები" სავალუტო ბაზარზე აშს დოლარით/ ევროთი განხორციელებული ოპერაციები" მოიცავს მონაცემებს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე(2009 წლის ივნისამდე-თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე) და დანარჩენ სავალუტო ბაზარზე კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი/ გაყიდილი აშშ დოლარის/ევროს მოცულობის შესახებ.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის აუქციონის შედეგები,საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების (არარეზიდენტი ბანკების საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფილიალების ჩათვლით) ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშები.

ბიულეტენში მოცემულია ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ინდექსების დინამიკა აშშ დოლარის, რუსული რუბლის, ევროსა და თურქული ლირის მიმართ.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აშშ შრომის სამინისტროს შრომის სტატისტიკის ბიურო, რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, ევროსტატი, თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი.

რეალური გაცვლითი კურსები გაანგარიშებულია შესაბამისი ნომინალური გაცვლითი კურსების ინდექსების შებრუნებული სიდიდის გამრავლებითსაქართველოსა და შესაბამისი პარტნიორი ქვეყნის სამომხმარებლო ფასების ინდექსების შეფარდებაზე.

"რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის დინამიკა" ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ინდექსის ცვლილებას საქართველოსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში სამომხმარებლო ფასების ინდექსებს შორის თანაფარდობის ცვლილების გათვალისწინებით. იგი გაიანგარიშება როგორც საქართველოსა და მის 12 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, იტალია, ნიდერლანდები,რუსეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, შვეიცარია) რეალური გაცვლითი კურსების შეწონილი საშუალო გეომეტრიული.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსის ზრდა ნიშნავს ეროვნული ვალუტის რეალურ გამყარებას და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, ხოლო შემცირება კი-პირიქით გაუფასურებას.

ინფორმაციის წყარო საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მონაცემები.

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების საშუალო გეომეტრიულს. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს ეროვნული ვალუტის გამყარებას,ხოლო შემცირება -გაუფასურებას.

ინფორმაციის წყარო საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მონაცემები.


დანართი 4. 1. ძირითადი მონეტარული მაჩვენებლებისა და საბანკო სექტორის ანალიტიკური ცხრილები

მონეტარული სტატისტიკა


	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017 I
ფულის მასა (M3). მლნ. ლანი	6199.0	7097.8	7903.7	9836.6	11189.8	13343.9	16045.2	15132.8
შიდა კრედიტები. მლნ. ლანი	6837.1	8147.9	9008.8	11352.7	13987.6	16584.5	20305.9	19898.4
დებოზიტები, სულ. მლნ. ლანი	5488.7	6745.0	7649.9	9664.6	11617.1	14346.8	16991.0	16069.1
კაცვლითი კუნძები								
მშ დოლანი/ლანი (პერიოდის ააშუალო)	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.6029
ევრო/ლანი (პერიოდის ააშუალო)	2.3644	2.3473	2.1232	2.2094	2.3462	2.5204	2.6172	2.7718

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი


ფულის მასის აგრეგატები




შიდაკრედიტების სტრუქტურა



დეპოზიტები პერიოდის ბოლოსათვის



ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან



ტესტები

1. ეროვნული ბანკის საბჭო შედგება:
 - ა. 5 წევრისაგან.
 - ბ. 6 წევრისაგან
 - ც. 7 წევრისაგან
 - დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. ეროვნული ბანკის ამოცანებია:
 - ა. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება.
 - ბ. საფინანსო სისტემის ზედამხედველობა.
 - ც. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფლობა, შენახვა, განკარგვა.
 - დ. ა. ბ. გ. ერთად.

3. ეროვნულ ბანკთან არსებობს:
 - ა. მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი.
 - ბ. მონეტარული პოლიტიკისა და საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტი.
 - ც. მონეტარული პოლიტიკისა და საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტები და ეროვნული ბანკის შიდა აუდიტორული სამსახურები.

4. მონეტარული სტატისტიკის ინფორმაციის წყაროა:
 - ა. ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.
 - ბ. კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი მონაცემები.
 - ც. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი მონაცემები.
 - დ. ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

5. ფულის მულტიპლიკატორი გაიანგარიშება:
 - ა. M1-ის მიხედვით.
 - ბ. M2-ის მიხედვით.
 - ც. M3-ის მიხედვით
 - დ. M2 და M3-ის მიხედვით.

თავი V სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა

მსოფლიო ფინანსური კრიზისების დროს გამოვლენილმა პრობლემებმა აჩვენა, რომ საჯარო ფინანსების მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული სუსტი მხარეების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გატარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მიერ საჯარო ფინანსებში ყველა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით გამოთვლა და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სსფ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულია მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის მონაცემების შესადგენად უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველოში საჯარო ფინანსების სტატისტიკა საერთაშორისო მეთოდოლოგია ინერგება ეტაპობრივად, დღეისათვის ამ სფეროში განხორციელებული თანმიმდევრული რეფორმების შედეგად მიღწეულია ის, რომ საჯარო ფინანსების სტატისტიკა ქვეყანაში ჰარმონიზებულია 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, რაც სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მაკროეკონომიკური სტატისტიკის ჩარჩოებში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა .

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა ფისკალური ანალიზის მნიშვნელოვანი კომპონენტია და დიდ როლს ასრულებს საიმედო ფინანსური პროგრამების (პროექტების) შედგენასა და მათზე მონიტორინგის განხორციელებაში, ასევე, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებაში.

სახელმწიფო ფინანსები ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სახელმწიფო ახდენს ფულადი რესურსების მობილიზებას, რათა ისინი გარკვეული ვალდებულებების და ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენოს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. იგი პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროების დაფინანსებას.

ბიუჯეტი უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. საბიუჯეტო პროცესში კი ძირითადად სახელისუფლო ორგანოები არიან ჩართულნი, შესაბამისად არსებობს რისკი, რომ საბიუჯეტო პოლიტიკა სრულყოფილად ვერ ასახავდეს საზოგადოების პრიორიტეტულ საჭიროებებს. საბიუჯეტო პროცესი და სისტემა ქვეყნის დემოკრატიულობისა და გახსნილობის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის წარმომადგენლებმა იმუშაონ აღნიშნული ფაქტორების გამოვლენის კუთხით და ხელი შეუწყონ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და გავრცელებას საზოგადოებაში. ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმი არის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის საზოგადოებრივი მონიტორინგი.

ფისკალური სტატისტიკის (სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის(სფს)) ძირითადი მიზანია ნებისმიერი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის, განსაკუთრებით სახელმწიფო მმართველობის სექტორის და უფრო ფართო, საჯარო სექტორის საქმიანობის შედეგების განალიზებისა და შეფასებისათვის ყოვლისმომცველი საფუძვლების ჩამოყალიბება. სახელმწიფო მმართველობის სექტორი მოიცავს იმ დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკას ძირითადად არასაბაზრო მომსახურების უზრუნველყოფითა და შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებით ახორციელებენ. ორივე საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა უმთავრესად სხვა სექტორებისათვის დაწესებული სავალდებულო გადასახადებით ხორციელდება.

სახელმწიფო ფინანსების ანალიტიკოსები ფისკალურ სტატისტიკასტრადიციულად იყენებდნენ საჯარო სექტორის მასშტაბის, ერთობლივ მოთხოვნაში, ინვესტიციებსა და დანაზოგში მისი წილის, ეკონომიკაზე, მ.შ. რესურსების გამოყენებაზე, მონეტარულ მდგომარეობასა და სახელმწიფო ვალზე ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის, საგადასახადო ტვირთის და სოციალური დაცვის ანალიზისათვის. დღეისათვის ასევე აქტუალური გახდა სიღარიბის დასაძლევად დახარჯული თანხების ეფექტურობის შეფასება და ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის საკითხებიც.

ქვეყნის ხელისუფლება თავისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს საჭიროებს, რაც საქართველოში განისაზღვრება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი

ტვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. რესურსების მობილიზება ყველა წყაროს მიხედვით აისახება ბიუჯეტის შემოსულობების მთლიან მოცულობაში.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები(1)

ეკონომისტები და სტატისტიკოსები სახელმწიფოს საქმიანობებს გამოყოფენ დანარჩენი ეკონომიკისაგან, რადგან სახელმწიფოს მოტივაცია და ფუნქციები ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებულია. სახელმწიფო კრეფს გადასახადებსა და სხვა სავალდებულო შენატანებს და იღებს კანონებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სხვა ეკონომიკური ერთეულების ქცევაზე. მათი ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად.

საჯარო სექტორი შედგება სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ კონტროლირებადი დაწესებულებებისაგან, რომლებიც საჯარო კორპორაციების-კვაზი კორპორაციების სახეკლითაა ცნობილი.

სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციებია:

1. საზოგადოებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება არასაბაზრო საფუძველზე, ან კოლექტიური მოხმარების (რიგორიცაა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება და სხვა) ან , ინდივიდუალური მოხმარების განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და სხვა) დაკმაყოფილების მიზნით.
2. შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება.

(1)IMF , The system of macroeconomic accounts statistics,An overview. 2007. pp.76-89.

ორივე საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა უმთავრესად სხვა სხვა სექტორებისათვის დაწესებული სავალდებულო გადასახადებით ხორციელდება.

სახელმწიფო სექტორი მოიცავს ასევე, სახელმწიფო, საჯარო კორპორაციებს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ხშირად გამოიყენება ეს ორგანიზაციები, რადგან არსებობს ეკონომიკის გარკვეული სფეროები, სადაც კერძო სექტორი მიაწვდის იმაზე ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას, ვიდრე ეს

საზოგადოებას ესაჭიროება ან საერთოდ არ აწარმოებს მას. ამის მიღწევა ხორციელდება სუბსიდიებით ან სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემის გზით. როგორც შედეგი, სახელმწიფო კორპორაცია მუშაობს უფრო დაბალი მოგების ან დანაკარგების პირობებში. ასეთი სახის სახელმწიფო პოლიტიკის ოპერაციები ცნობილია კვაზი-ფისკალური საქმიანობების სახელით.

ფისკალური სტატისტიკის სახელმძღვანელო ფისკალური სტატისტიკის შედგენისა და წარდგენის სტანდარტების შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ემსახურება სახელმწიფო აღრიცხვიანობისა და ოპერაციების გამჭვირვალობის ზრდას.

სახელმწიფო ფინანსების ანალიტიკოსები ფისკალურ სტატისტიკას ტრადიციულად იყენებდნენ საჯარო სექტორის მასშტაბის, ერთობლივ მოთხოვნაში, ინვესტიციებსა და დანაზოგში მისი წილის განსაზღვრის, ეკონომიკაზე, მათ შორის რესურსების გამოყენებაზე, მონეტარული აგრეგატების და ეროვნული დავალიანების ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის, ასევე საგადასახადო ტვირთის, ტარიფების დაცვისა და სოციალური დაცვისა და დაზღვევის სისტემის ანალიზისათვის. თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სიღარიბის დასაძლევად დახარჯული თანხების ეფექტიანობის, ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის, წმინდა დავალიანებების, სახელმწიფოს მიმართ არსებული პირობითი ვალდებულებების (საპენსიო ვალდებულებების ჩათვლით) შეფასების საკითხები. ამ ანალიტიკური მიზნების მიღწევა მთლიანად საჯარო სექტორის და არა მხოლოდ მმართველობითი სექტორის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას მოითხოვს. როგორც არაფინანსურ, ასევე ფინანსურ საჯარო კორპორაციებს სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის განხორციელება სხვადასხვა გზით შეუძლიათ.

წინამდებარე სახელმძღვანელო ფისკალური ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური მაჩვენებლების შედგენისათვის ძირითადად სსფ-ის 2001 წლის „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს“ ეყრდნობა, რაც სსფ-ის 1986 წლის იმავე სახელმძღვანელოთი დამკვიდრებული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების განახლებული ვარიანტია. იგი ჰარმონიზებულია საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესაბამის სტანდარტებთან, რაც მოიცავს: ეას 1993 წლის ყოვლისმომცველ სისტემას და ორ სხვა სპეციალიზებულ სისტემას, რომლებიც ფოკუსირებული არიან საგადახდელო ბალანსისა და მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკებზე.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მიზანია ისეთი სტატისტიკური მონაცემების შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემმუშავებლებს და ანალიტიკოსებს თანმიმდევრულად და სისტემურად შეისწავლონ ფინანსური ოპერაციების დინამიკა, სახელმწიფო მმართველობისა ან მთლიანად საჯარო სექტორის ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდობა. ერთ-ერთი

მეთოდი ამ მიზნის მისაღწევად ისეთი დამაბალანსებელი მუხლების გამოყენებას ითვალისწინებს, როგორცაა წმინდა საოპერაციო სალდო, წმინდა დაკრედიტება/სესხია ალება და წმინდა ღირებულების ცვლილებაა.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემის სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან ჰარმონიზაცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მმართველობის ან საჯარო სექტორის დანარჩენ ეკონომიკასთან მიმართების შესაფასებლად, სფს-ის მონაცემები შესაძლებელია გაერთიანდეს სხვა სექტორების მონაცემებთან. ასევე, ის საშუალებას იძლევა სფს გამოყენებულ იქნეს ქვეყნებს სორის სახელმწიფო ოპერაციების ანალიზისათვის. მაგალითად, გადასახადები/მშპ-ში ან გადასახდელები/მშპ-ში შეფარდებების შედარების მიზნით.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემაში აღირიცხება ორი სახის ნაკადი: ოპერაციები და სხვა ეკონომიკური ნაკადები.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ოპერაციების ანგარისგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ყველა ოპერაციის შედეგებს ასახავს. ეს ოპერაციები კლასიფიცირებულია როგორც: შემოსულობები, გადასახდელები, არაფინანსური აქტივების წმინდა მიღება, ფინანსური აქტივების წმინდა მიღება, ან ვალდებულებების წმინდა ალება. ის ოპერაციები, რომლითაც შემოსულობები ან გადასახდელები წარმოიქმნება, წმინდა ღირებულების შეცვლას იწვევს. სხვა სახის ოპერაციები აქტივებსა და ვალდებულებებში თანაბარ ცვლილებებს განაპირობებს და არ იწვევს წმინდა ღირებულების შეცვლას.

სხვა ეკონომიკური ნაკადები მიოცავს ფასის ცვლილებებს და სხვა ეკონომიკურ მოვლენებს, რაც გავლენას ახდენს აქტივებსა და ვალდებულებებზე. მაგალითად, ასეთია ვალის ჩამოწერა, სტიქიის შედეგად გამოწვეული დანაკარგები. სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშგებაში იკრიბება აქტივებში, ვალდებულებებსა და წმინდა ღირებულებაში აღნისნული სახის ცვლილებები.

სახელმწიფო მმართველობის ან საჯარო სექტორის ბალანსი წარმოადგენს ანგარიშგებას, რომელშიც მოცემულია სექტორის საკუთრებასი არსებული ფინანსური და არაფინანსური აქტივების მარაგები, სხვა ერთეულების მოთხოვნების მარაგი ამ აქტივების ვალდებულებების სახით მფლობელყა მიმართ და სექტორის წმინდა ღირებულება, რომელიც ყველა აქტივის მთლიან ღირებულებასა და ყველა ვალდებულების მთლიან ღირებულებას შორის სხვაობის ტოლია.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემაში ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების კომპლექსური განხილვა საწყის და საბოლოო ბალანსებს შორის სრული შესაბამისობის დაცვის შესაძლებლობას იძლევა. მოცემული სახის აქტივის თუ ვალდებულების მარაგს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში დამატებული ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შედეგად ამ მარაგებში მომხდარი ცვლილებები უდრის ამავე პერიოდის ბოლოს დარჩენილ მარაგებს. ამგვარი ინტეგრირებული სტატისტიკური სისტემა საშუალებას იძლევა სრულად აღიწეროს და გაანალიზდეს სახელმწიფო პოლიტიკისა და განსაკუთრებული ეკონომიკური მოვლენების შედეგები.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სისტემასი აღრიცხული ნაკადებისა და მარაგების მიმართ სხვადასხვა კლასიფიკაცია გამოიყენებს. მაგალითად, თითოეული შემოსავლის ოპერაცია კლასიფიცირებულია იმის მიხედვით, ის გადასახადია თუ სხვა სახის შემოსავალი. ხარჯების ოპერაციები კლასიფიცირებულია ეკონომიკური და ფუნქციონალური სახეების მიხედვით, ხოლო აქტივები, იმის მიხედვით, ფინანსურია თუ არაფინანსური.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 1993 წლის ეას-თან ჰარმონიზაციის მიუხედავად, ამ ორ სისტემას შორის მაინც არსებობს განსხვავებები. მ. შ. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა ფოკუსირებულია ფინანსურ ოპერაციებზე, დაბეგვრაზე, ხარჯებზე, სესხის აღებასა და დაკრედიტებაზე, მაშინ როდესაც 1993 წლის ეას-ში დიდი ყურადღება ეთმობა საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და მოხმარებასაც.

ხშირად სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის შედგენა ეროვნულ ანგარიშებში სახელმწიფო მმართველობის სექტორის სტატისტიკის შედგენისათვის პირველი ნაბიჯია.

დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან საქართველოში სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა ეტაპობრივად ხორციელდებოდა და რეფორმები ამ სფეროში დღემდე გრძელდება.

ცენტრალური ხელისუფლებისა და სახელმწიფო სექტორის სტატისტიკების შედგენისა და ანალიზის საერთაშორისო მეთოდოლოგია- GFSM 2001;(IMF, 2001)(ჩარჩო)

ეს მეთოდოლოგია საკმაოდ მაღალი ის საკმაოდ მაღალი ხარისხით არის ჰარმონიზებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993-თან.

განვიხილოთ ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების სფერო არსი, ჩანაწერების საფუძვლები, ანალიზური ჩარჩოები და GFSM 2001-ის ძირითადი კლასიფიკაციები.

ისევე, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვა სექტორები, ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების სფეროს სექტორიც ემყარება რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაციას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის არის კერძო სექტორში შემავალი ერთეული.

თუ ერთეული საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ყიდის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად, ის არის საბაზრო მწარმოებელი და კლასიფიკაში მოხვდება, როგორც სახელმწიფო კორპორაცია.

თუ ერთეული არ ყიდის საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად, ის არის თუ ერთეული არ ყიდის საქონელსა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად,

ის არის საქონლისა და მომსახურების არასაბაზრო მწარმოებელი და შედის ცენტრალური ხელისუფლების სექტორის კლასიფიკაციაში.

შედის ცენტრალური ხელისუფლების სექტორიფარავს ყველა ინსტიტუციურ ერთეულს ცენტრალური მთავრობის, შტატის მთავრობისა და ლოკალური მთავრობების დონეზე. ის ასევე ფარავს ადმინისტრაციულ ერთეულებს (საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე) სოციალური დაცვის ფონდებს და არასაბაზრო, არამომგებიან ინსტიტუტებს, რომელსაც აკონტროლებს და ძირითადად აფინანსებს მთავრობა.

ჩანაწერების სახეები

ტრადიციულად, მთავრობები თავიანთ ანგარიშებს ადგენენ საკასო ბაზაზე. ეს აისახა GFSM 1986 –ის წელიწადწელში. მხოლოდ ფულად შემოსავლებსა და ხარჯებზე ყურადღების გამახვილებას ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მთავრობის ყურადღებას ამახვილებს ლიკვიდურობის შეზღუდვაზე. მიუხედავად ამისა, ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად მისი, როგორც ერთადერთი ბაზის განხილვა არასაკმარისია. მხოლოდ ფულადი ტრანსაქციები ადექვატურად ვერ ასახავენ ფისკალური პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო დროსა და განხორციელებული ტრანსაქციების ზემოქმედებას ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე, GFSM 2001 აფართოებს ჩარჩოებს და გულისხმობს მონაცემთა წარმოდგენას დარიცხვის მეთოდით. რაც გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას ოპერაციის განხორციელების დროს, ანუ საბუღალტო ჩანაწერები კეთდება მაშინ. როცა მოხდა ტრანსაქცია, და არა მაშინ, როცა ადგილი აქვს ფულად ნაკადს. ეს იძლევა სახელმწიფო საქმიანობების გაფართოებულ სურათს, ასახავს ისეთ არაფულად ტრანსაქციებს, როგორცაა ბარტერი ან ნატურით დახმარება. ის იძლევა ასევე, შიდა ტრანსაქციების, სხვა ეკონომიკური ნაკადებისა და სხვა დაგროვილი დავალიანებების ჩაწერის შესაძლებლობებს.

GFSM 2001 მოითხოვს შემოსავლებში მხოლოდ იმ გადასახადების ჩაწერას, რის შემოსვლასაც მოველით გონივრულ ფარგლებში.

ანალიტიკური ჩარჩო

GFSM 2001 –ის ანალიტიკური ჩარჩო ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისათვის ითვალისწინებს საბალანსო მიდგომას.

ქვემოთ მოცემულია ამ მიდგომის თავისებურება. ფისკალური მონაცემების ინტეგრირებული ჩარჩოს სახით წარმოდგენა ფისკალური მდგრადობის შეფასების სასუალებას იძლევა, რაც ნიშნავს იმის შეფასებას, თუ როგორ იცვლება საკუთარი კაპიტალი ბალანსების მიხედვით დროში. ურო მეტიც, GFSM 2001 –ის ჩარჩოში მოცემული სახელმწიფო დაზოგვის, ინვესტიციებისა და მოხმარების სიდიდეები მჭიდროდაა ჰარმონიზებული ის ჩარჩოში მოცემული სახელმწიფო დაზოგვის, ეროვნულ ანგარისთა სისტემასთან.

ანალიტიკური ჩარჩო მოიცავს ოთხ ანალიზურ ანგარიშს: სახელმწიფო ოპერაციების ანგარიშს, სხვა ეკონომიკური ოპერაციების ანგარიშს, ბალანსს, ფულის მიღების წყაროებსა და გამოყენებას.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია სისტემის ოთხი ძირითადი ბალანსი:

წმინდა საოპერაციო სალდო,

წმინდა სესხები /კრედიტები,

წმინდა საკუთარი კაპიტალი,

სულის სიჭარბე/ დეფიციტი.

ცხრილი 1. GFSM 2001 –ის ანალიტიკური ჩარჩო

საწყისი ბალანსი

წმინდა აქტივები

=

არაფინანსური აქტივები

+

წმინდა ფინანსური აქტივები

=

ფინანსური აქტივები

-

ვალდებულებები

მარაგები

+

სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების ოპერაციების ანგარიში

შემოსავლები

-

ხარჯები

=

საოპერაციო სალდო-

=

არაფინანსური აქტივები

+

წმინდა სესხები/კრედიტები

=

ფინანსურ აქტივებს

-

ვალდებულებები

ტრანსაქციები

+

სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში

სხვა ეკონომიკური ნაკადებით გამოწვეული წმინდა აქტივების ცვლილება

=

არაფინანსური აქტივები

+

ცვლილებები წმინდა ფინანსურ კაპიტალში OEF

=

ფინანსურ აქტივებს

-

ვალდებულებები-

სხვა ნაკადები

=

<p>საბოლოო ბალანსი</p> <p>წმინდა ღირებულება</p> <p style="text-align: center;">=</p> <p>არაფინანსური აქტივები</p> <p style="text-align: center;">+</p> <p>წმინდა ფინანსური აქტივები</p> <p style="text-align: center;">=</p> <p>ფინანსურ აქტივებს</p> <p style="text-align: center;">-</p> <p>ვალდებულებები</p>
--

- მარაგები

წმინდა საოპერაციო სალდო= წმინდა კაპიტალში ტრანსაქციებით გამოწვეული ცვლილებები.

სისტემის ძირითადი ბალანსების გარდა **GFSM 2001** იძლევა ანალიზისათვის საჭირო სხვა საზომებსაც: სრულ თავდაპირველ ბალანსს მთლიანი ვალის მაჩვენებელს. (ყველა ვალდებულებას, გარდა აქციებისა და სხვა კაპიტალის და ფინანსური წარმოებულებისა).

GFSM 2001 –ის ანალიზური ანგარიშები

GFSM 2001 ანალიზური ჩარჩოს ოთხი ანალიზური ანგარიშიდან სამი ტრანსაქციებისათვის დარიცხვის მეთოდით მიღებულ მონაცემებს, სხვა ეკონომიკურ ნაკადებსა და ბალანსებს, ხოლო მეოთხე-საკასო მეთოდს ემყარება.

სახელმწიფო ოპერაციების ანგარიში აჯამებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ყველა ტრანსაქცია და ითვლის საოპერაციო და მთლიან სალდოებს.

- შემოსავლების შეზღუდვები აწესებს შემოსავლების ქვედა ანზე დაზღვრებს. იგი მიზნად ისახავს გადაჭარბებული საგადასახადო ტვირთის თავიდან აცილებას ან შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

თანამედროვე პრაქტიკაში შეზღუდვების უმეტესობა გამოიყენება დეფიციტის ან ვალის ლიმიტების დასაწესებლად.

ფისკალური შეზღუდვები მოქმედებს საქართველოშიც, კერძოდ, 2011 წლის ივლისში დამტკიცებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ საკანონმდებლო წესით ადგენს ბიუჯეტის დეფიციტის, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მოცულობის და მთლიანი სახელმწიფო ვალის შეზღუდვებს მშპ-ს თან მიმართებაში. „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“-ს თანახმად დადგენილია შემდეგი ფისკალური შეზღუდვები:

- ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არაუმეტეს 30% ;

- ნაერთიბიუჯეტისდეფიციტისშეფარდებამთლიანშიდაპროდუქტთან არაუმეტეს 3% ;
- სახელმწიფოვალისშეფარდებამთლიანშიდაპროდუქტთან არაუმეტეს 60% .

ამეტაპზეფისკალურიშეზღუდვებისუმრავლესობანორმატიულიზაზით, ადგილობრივიკანონმდებლობითადასაერთაშორისოხელშეკრულებებითარისგამყარებულ ი.მაასტრიხტისხელშეკრულებასწორედერთ-ერთიმათგანია. იგიშეთანხმებულიიქნა 1990-91 წლებშიდახელიმოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს. მაასტრიხტისხელშეკრულებისერთ-ერთიყველაზემნიშვნელოვანიდაცნობილიდეზულებაა, რომელიცევროკავშირშიგაწევრიანებისმსურველქვეყნებსუყენებსბიუჯეტისდეფიციტისადავალისრაოდენობრივილიმიტებს.

ევროკავშირისმიერდადგენილიაღნიშნულიფისკალურიშეზღუდვები 1970-1980-იანიწლებისწარუმატებელიფისკალურიპოლიტიკისგამომახილია,რომელსაცთავისდროზე თანახლდა: მაღალიბიუჯეტისდეფიციტი, მზარდისახელმწიფოვალი; პროციკლურიპოლიტიკურიტენდენცია; მზარდისაგადასახადოტვირთი,რომელიცკიდევუფროართულებდასამუშაოადგილებისშექმნას (Butti, 2001).

მაასტრიხტისხელშეკრულებამოითხოვსსტაბილურფისკალურმდგრადობასმისიწევრისახელმწიფოებისაგან, რათამოხდესმათიეკონომიკურდამონეტარულკავშირში(ევროკავშირისწევრიქვეყნებისგაერთიანება, რომელთაცაქვთსაერთოვალუტა – ევრო)გაწევრიანება. ამმოთხოვნასთანშესაბამისობაფასდებაისეთიკრიტიკურიუმეზობით,როგორიცაა: ფასებისსტაბილურობა, მთავრობისფინანსურიმდგრადობა, გაცვლითიკურსისადაგრძელვადიანისაპროცენტოგანაკვეთისსიმყარე. ხელშეკრულებაწევრიქვეყნებსავალდებულებსთავიდანაიცილონბიუჯეტისმაღალიდეფიციტები (Excess Budget Deficit).

საბიუჯეტოპოლიტიკისშესაბამისობახელშეკრულებისპირობებთანმიმართებაშიორიკრიტიკურიუმითფასდება:

- არისტუარადეფიციტიმშპ-ის 3%-ზენაკლები;
- შეადგენსთუარასახელმწიფოვალიმშპ-ის 60% -ზენაკლებს.

იმშემთხვევაშითუესპირობებიარსრულდება, მათუნდაჰქონდესკლებისტენდენციამინც. ამასთანავე,


ხელშეკრულებაგამორიცხავსმთავრობისმიერხარჯებისდაფინანსებასმონეტარულიინსტრუმენტებითდაკრედიტზეპრივილეგირებულხელმისაწვდომობას.შეფასებისას,

ჭარბიდეფიციტისარსებობისშემთხვევაში, ევროკომისიამ,


რომელსაცბიუჯეტისზედამხედველობააკისრია,

საბჭოსთანერთადუნდაგანიხილოსალემატებათუარადეფიციტისახელმწიფოინვესტიციებს დაასევე, სხვამასთანდაკავშირებულისაკითხები.

სამთავრობო დანაზოგები და სახელმწიფო ინვესტიციები



მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წყაროები



ფისკალური სფეროს რეფორმები საქართველოში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა დაიწყო 2004 წლიდან, რომელიც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას. საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი საბიუჯეტო სისტემის არსებობას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს და 2010 წლიდან მოქმედებს. შედეგად, სახელმწიფო, ავტონომიურ და ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტების სისტემის ყველა საკანონმდებლო აქტი ერთ კანონში გაერთიანდა, გაუმჯობესდა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD), დაინერგა პროგრამული ბიუჯეტი ცენტრალური მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვის, პარლამენტმა დაამტკიცა ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონი, რომელიც ძალაშია 2014 წლიდან. ის განსაზღვრავს ფისკალური დისციპლინის წესებს საჯარო ფინანსების მართვისთვის, ასევე - სავალდებულოდ აღსასრულებელ ფისკალურ წესებს და გამონაკლისებს. ზემოხსენებული კანონების საფუძველზე საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა ხორციელდება რამდენიმე კანონქვემდებარე აქტით, რომელთაგან აღსანიშნავია: ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკაცია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო სექტორში ფინანსური სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტების შედგენის მეთოდოლოგია და მთავრობისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია და სხვა. განვითარდა ელექტრონული სისტემები (ePFMs) მთლიანად ჰარმონიზებული ელექტრონული ბიუჯეტების (eBudget) და სახაზინო (eTreasury) სისტემებთან. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული,

ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში. ამჟამად მას დაახლოებით 4,500 შიდა მომხმარებელი ჰყავს. ცენტრალური მთავრობის საბიუჯეტო პროცესის და პროცედურების პარალელურად განვითარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი და პროცედურები და ჩამოყალიბდა სრულყოფილი და კარგად დანერგილი სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების eTreasury-ს სისტემაში ჩართვას.

გაუმჯობესდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა. გაძლიერდა კავშირები მთავრობის პროგრამის მომცველ დოკუმენტებს შორის, საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს, დარგობრივი სამინისტროების ინდივიდუალურ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. 2012 წლიდან დაიწყო პროგრამული ბიუჯეტირება და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება. შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირების დანერგვა საჭიროებს დამატებით სამუშაოს და მოიაზრება რეფორმის დღის წესრიგში. მნიშვნელოვანი წინსვლა იყო საბიუჯეტო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით, რაც აღიარებულია 2012 წლის PEFA-ს შეფასებაში, რომლის მიხედვითაც, პროგრამული ბიუჯეტის შემოღება და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიურ ბიუჯეტს შორის კავშირის გაუმჯობესება იმის საშუალებას იძლევა, რომ ბიუჯეტის ასიგნებები შეესაბამებოდეს სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიის გაფართოების შედეგად, რომელმაც 2017 წლის კანონით ბიუჯეტის შესახებ ყველა დარგობრივი სამინისტრო მოიცვა, PEFA-ს შეფასებით საქართველომ შეძლო 2012 წელს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით მნიშვნელოვანი წინსვლისათვის მიეღწია. აღნიშნული შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. მათ შორის, 2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, რამაც ხელი შეუწყო დარგობრივი, სექტორული და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული საკითხების დარეგულირებას. შედეგად, გაძლიერდა კავშირი ქვეყნის ძირითად მიმართულებებსა და ბიუჯეტს შორის. ქვეყნის მასშტაბით მომზადებული დარგობრივი და სექტორული სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით 4 წლიან პერიოდში განსაზღვრულ პარამეტრებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საქართველოს დიდი წინსვლა ჰქონდა. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ამას ადასტურებს 2015 წლის ღია ბიუჯეტის გამოკითხვა. საქართველო 66 ქულით მოექცა „მნიშვნელოვნად გამჭვირვალე“ ქვეყნების ჯგუფში და წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია (55 ქულა), ხოლო 2006 წლის შეფასებით საქართველო შეფასდა 33 ქულით. 2015 წლის ღია ბიუჯეტის გამოკითხვით, საქართველომ მე-16 ადგილი დაიკავა 102 ქვეყანას შორის. 2015 წლის ანგარიშის თანახმად, 8 ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტიდან მომზადდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო 7 დოკუმენტი საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში, მოთხოვნილი ინფორმაციიდან მხოლოდ შუალედური (6 თვის) ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა არ იყო წარმოდგენილი. ვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო 6 თვის შუალედური მიმოხილვის

მომზადება და პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარდგენა. 2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სრულყოფილი კვლევის პროცესისთვის ყველა დოკუმენტს ამზადებს, 6 თვის შუალედური მიმოხილვების ჩათვლით. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალური ბიუჯეტირების გაუმჯობესების მიმართულებით. ძალისხმევა ხმარდება როგორც კაპიტალურ ხარჯებზე საბიუჯეტო დოკუმენტაციის შინაარსობრივ დახვეწას, ისე ერთიანი მიდგომის დანერგვას საჯარო სექტორში ინვესტიციების საერთო ეფექტიანობისა და ეფექტურობის გასაზრდელად. შემუშავა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო აღნიშნული რეფორმის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი. ქვეყანაში საჯარო სექტორში ინვესტიციების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სისტემის სრულყოფილად დანერგვისთვის მთავრობის ძალისხმევა მიმართულია რეფორმის შემდგომი ეტაპების განხორციელებისკენ. მნიშვნელოვანი წინსვლაა საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების რეფორმის დანერგვის მიმართულებით. საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების სამოქმედო გეგმის თანხმად, განისაზღვრა დარიცხვის მეთოდით საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ძირითადი ეტაპები 2020 წლისთვის. ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალი გაფართოვდა და უკვე მოიცავს ადგილობრივ ხელისუფლებას და საჯარო უწყებებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გარდა. ამდენად, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, ისე საჯარო უწყებების ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშები და ინფორმაცია, ხელმისაწვდომია რეალურ დროში, დღეების, თვეებისა და წლების მიხედვით. სახელმწიფო ხაზინამ შეიმუშავა ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი რესურსების მართვისათვის საჭირო რეგულაციები და დაიწყო თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება კომერციულ ბანკებში, ბლუმბერგში ჩატარებული აუქციონების გზით. საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის განხორციელებით საქართველომ შთამბეჭდავ წინსვლას მიაღწია. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2015-2016 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მიიჩნია, რომ საგადასახადო განაკვეთები საქართველოში ბიზნესის საკეთებლად ყველაზე ნაკლებად პრობლემურ ფაქტორებს შორისაა. შედეგად, 140 ქვეყანას შორის საქართველოს პოზიცია შემდეგნაირია:

დაბეგვრის ეფექტი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-13 ადგილი;

გადასახადის განაკვეთი მოგებაზე - მე-9 ადგილი;

სავაჭრო ტარიფები - მე-4 ადგილი;

დაბეგვრის ეფექტი მუშაობის მასტიმულირებელ ფაქტორებზე - მე-15 ადგილი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“, რომელშიც აღწერილია ევროკავშირთან 10 წლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და

სამომავლო გეგმები. წიგნის მომზადებაში ჩართული იყო საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მონაწილე ყველა სახელმწიფო

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიზანია ფინანსური რესურსების მობილიზება და მისი გადანაწილება ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით.

ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრება:

შემოულობების მიზნობრივი მაჩვენებელი და მისი მიღწევის ყველა რესურსის მოცულობები.

განისაზღვრება გადასახდელების მთლიანი მაჩვენებელი და მისი სტრუქტურა(ეკონომიკური, ფუნქციონალური, პრგრამული და სხვა)

შემოსავლების არასაკმარისი ზომით მობილიზების შემთხვევაში განისაზღვრება სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობები სახეების მიხედვით.

ბიუჯეტი ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტად განიხილება. შესაბამისად, გადასახადების პოლიტიკა ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დაბალანსებული, ზრდაზე ორიენტირებული.

ბიუჯეტი შემოსავლების გადანაწილების ინსტრუმენტია, რომლის ეფექტურობა ფასდება სოციალური სფეროს დარგების: განათლების, მეცნიერების, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის დაფინანსების დონეებით.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

2018 წლის ბიუჯეტი მომზადებულია სამთავრობო პროგრამის „ თავისუფლება , სწრაფი განვითარება , კეთილდღეობა “ შესასრულებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა:

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;

მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);

მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების

მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;

მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;

მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2012 წლის მდგომარეობით შემოღებულ იქნა პროგრამული კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, შესრულებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშგებისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს;

მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;

პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;

სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭყრები;

BDD დოკუმენტის გათვალისწინებით მხარჯავი დაწესებულებები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა. საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

რეფორმები საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების ანალიზი მოწმობს, რომ მისი დანერგვის გზით მიღებული შედეგები არ არის ერთგვაროვანი. წარმატებული ქვეყნების შემთხვევაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა მოიცავს: 1. საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს (MTFF), რომელიც ადგენს: აგრეგირებულ ფისკალურ მიზნებს, აგრეგირებული ხარჯების ჭერებსა და მათ საშუალოვადიან პროგნოზებს; 2. საბიუჯეტო ჭერებსა და პროგნოზებს ცალკეული სამინისტროებისა და ორგანიზაციებისათვის; 3. რესურსებზე არსებული სერვისების გაწევისათვის საჭირო მოთხოვნების სიდიდესა (ღირებულებით გამოსახულებაში) და ახალი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო ხარჯებისა ან პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში საჭირო ხარჯების ბიუჯეტის მთლიან ხარჯებზე ზემოქმედების შეფასებებს.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ძირითადი მიზნებია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტების მართვაში ფისკალური დისციპლინის გაძლიერება; საბიუჯეტო სახსრების განაწილების რეგულირების გაძლიერება ხარჯების მთავრობის პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების გზით, დარგობრივ სამინისტროებში საბიუჯეტო პროცესებისა და საბიუჯეტო რესურსების მართვის გაუმჯობესება, რათა მიღწეული იქნას მათ მიერ სახელმწიფო მომსახურებების მიწოდებისას სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი და ეფექტური გამოყენება.

ამ მიზნის მისაღწევად საშუალოვადიანი ბიუჯეტი აერთანებს ორ კომპონენტს; 1. სტრატეგიულ -ანუ “ზემოდან-ქვემოთ” კონპონენტს, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების მართვის გაძლიერებას და საბიუჯეტო რესურსების განაწილებას დარგობრივი სამინისტროებისათვის სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების საფუძველზე და 2. საშუალოვადიანი დაგეგმვის “ქვემოდან-ზემოთ” კომპონენტს, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესებას დარგობრივი სამინისტროების დონეზე.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პოტენციური სარგებელი ევროპის ბევრ ქვეყანაში ცხადი სახითაა მიღებული. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის კარგად შედეგნიღმა და კარგად მართულმა ჩარჩომ ხელი უნდა შეუწყოს გაუმჯობესებულ

ფისკალურ დისციპლინას და კონტროლს, მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის ზრდას, რაც მიიღწევა პოლიტიკის მიზნების ზუსტად განსაზღვრის, საბიუჯეტო სახსრების განაწილებაში პროგნოზირების უფრო მაღალი დონის, საბიუჯეტო ინფორმაციის საიმედოობის ზრდისა და რესურსების გამოყენებაში უფრო მაღალი ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლების გზით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა მოწმობს, რომ ბევრ ქვეყანაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვით ვერ იქნა მიღწეული სათანადო შედეგები. ამის მიზეზები ძირითადად იყო შემდეგი: ამ ქვეყნებში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა განიხილებოდა, როგორც რიტუალი, რომელსაც დაბალი პრაქტიკული ღირებულება გააჩნდა და ის სრულიად გამოყოფილი იყო ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო ორგანიზაციები აგრეგირებული ხარჯების მანკვენებლებს ანუ “ჭერებს” არ განიხილავდნენ როგორ შემზღუდავ ფაქტორს საბიუჯეტო მოლაპარაკებების დროს, რაც ამცირებდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესის “ზემოდან-ქვემოთ” ელემენტის შესაძლებლობებს- კერძოდ, რაც გამოიხატება საბიუჯეტო ორგანიზაციების წახალისებაში შეზღუდული რაოდენობის რესურსების პირობებში მათი ხარჯების მიმართულებების პრიორიტეტიზაციისა და მათთვის გამოყოფილი რესურსების განაწილების ეფექტიანობის ამაღლებაში. შედეგად, ამ ორგანიზაციების ხარჯები ნაკლებად იყო ფოკუსირებული სახელმწიფოს პრიორიტეტების მიღწევაზე. ასევე, სხვა სახის საერთო პრობლემა ამ ქვეყნებებში არის სუსტი კოორდინაცია ეროვნულ ან სექტორულ სტრატეგიებს შორის. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის წარუმატებლობის მიზეზი ხშირად იყო ისიც, რომ სათანადოდ არ ფასდებოდა წლიური ბიუჯეტის რეალისტურ დონეზე შედგენისა და დაგეგმვის შესაძლებლობები და ის, თუ რამდენად იძლეოდა ის ბიუჯეტის საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლის შესაძლებლობებს. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების ამ სუსტი მხარეების გათვალისწინება საქართველოს საბიუჯეტო პროცესის სრულყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

განვიხილოთ ბიუჯეტის საშუალოვადიანი გეგმის -BDD დოკუმენტის- შედგენის პროცესი საქართველოში.

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა. საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეროვნულ ბანკის ადმინისტრაციის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და BDD დოკუმენტის შედგენას.

საქართველოში იწყება ყოველი წლის 1 მარტიდან და ის საბოლოო სახის მიღებამდე თითქმის ათვიან პერიოდს გაივლის. კერძოდ, 1 ივნისამდე მთავრობა პარლამენტში წარადგენს -ის თავდაპირველ

დოკუმენტს, რომელშიც მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მართვლების შესახებ ინფორმაციაა

ასახულია. პარლამენტის კომიტეტები დარგების მიხედვით იხილავენ BDD დოკუმენტს და მომზადებულ შენიშვნებს 21 ივნისამდე უზავნიან მთავრობას. 1

ოქტომბერს ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა პარლამენტში წარადგენს გადამუშავებულ BDD დოკუმენტს; საქართველოს პარლამენტში კანონით დადგენილი პროცესის გავლისა და წლის ბოლოს მომავალი წლის

სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ, ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს 1 თვის ვადაში BDD დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს წარუდგენს.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტში მიღებული ერთი მოსმენით, თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტს ადამთავრობას შორის სამეტაპიანი შეტანების პროცესს გადის.

BDD დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობენ: საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს წარსადგენი ინფორმაციის უსახსრ და ვადებს; ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ადგენს აღნიშნულ დოკუმენტს; ეროვნული ბანკი; დარგობრივი სამინისტროები; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; სხვა მხარჯავი დაწესებულებები.

BDD დოკუმენტით განისაზღვრება: ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები საშუალო ვადიანი პერიოდისათვის (ნომინალური დარეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და სხვა); სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები; მასში მოცემულია: გასულისა ბიუჯეტის წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი; მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და მათი დაფინანსების ოდენობები; თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა აორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

BDD დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმების შემდეგ დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა აორიენტაციო ზღვრული მოცულობის განსაზღვრავს მთავრობა, ხოლო პარლამენტს და კონტროლის პალატისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა აორიენტაციო ზღვრული მოცულობებს - საქართველოს პარლამენტი.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD დოკუმენტი) - წარმოადგენს საშუალო ვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების ძირითად

გეგმას, რომელიც ასახავს მთავრობის სამუალოვადიანსტრატეგიას, ინფორმაციას სამუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების დასაქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების ჩარჩო-საფუძველს და მეორე მხრივ, მოიცავს იმაზე უფრო ფართოსპექტრის ინფორმაციას ქვეყნის ხელისუფლების ზოგადი პრიორიტეტების შესახებ, ვიდრე ეს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული აღნიშნულ დოკუმენტში ერთიანდება არამართოთი თოეუ ლიმხარჯავი და წესებულების მიერ მთავრობის პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამები, არამედ ის ღონისძიებებიც, რაც ამ პრიორიტეტების ფარგლებში ხორციელდება კერძო სექტორის მონაწილეობითა და სახელმწიფოს ხელშეწყობით. დოკუმენტი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების საფუძველი, მოიცავს როგორც საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი და წესებულებებისათვის განსაზღვრული ასიგნებებისა და მომუშავეთარი ცხოვრობის ზღვრული მოცულობების შესახებ ინფორმაციას, ასევე, მონაცემებს პრიორიტეტების ფარგლებში მათიერ განსახორციელებლი პროგრამების დაფინანსების მოცულობისა და წყაროების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყიფა 12 პრიორიტეტი. ესენია:

1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების შედეგად დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მექანიზმები და გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა.

დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე, ისე დაავადების დროულად აღმოჩენასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე.

C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის სამუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს;

გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე

ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაცია და ორსულებისა და ახალშობილების უზრუნველყოფა ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით;

საფუძველი ჩაეყრება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის განხორციელდება სისტემური რეფორმა, რომლის შედეგადაც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს გაეზრდებათ ხელმისაწვდომობა ამბულატორიული მოხმარების მედიკამენტებზე.

დაინერგება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია.

განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის.

2. თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ამ პრიორიტეტის ფარგლებში ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას. შედეგად,

მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება;

დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის;

გაგრძელდება პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;

შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები. გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა.

დაგეგმილ ვადებში დასრულდება საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა;

გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ევროპოლთან.

უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება.

საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტს - ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას;

აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში.

ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მოხდება არსებული ნაგავსაყრელების ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ეტაპობრივი დახურვა;

ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტთან წვდომა.

გაგრძელდება ელექტრიფიკაციისა და გამრიცხველიანების პროცესი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უშუქო სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებზე გაკეთდება.

გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა;

გაგრძელდება მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერა, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებების დაფუძნება

წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.

ზოგადი განათლების ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება ავტორიზაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები.

შეიქმნება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები;

განვითარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობას მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.

შეიქმნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში.

ამოქმედდება პროფესიული მომზადება- გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები.

ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას;

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - „ისწავლე საქართველოში“.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი, რაც მიმართული იქნება სახსრების გამოთავისუფლებასა და მათ გადანაწილებაზე პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და მომავალში შეიზღუდება მათი ზრდა;

გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა;

სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგსა და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს;

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა იქნება ხელშეუხებელი;

ხელი შეეწყობა ლარით დაკრედიტების ზრდას.

გაუმჯობესდება საგადასახადო ადმინისტრირება.

გაგრძელდება მეწარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები;

შეიქმნება ერთიანი სივრცე „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, საქართველოს მთავრობა გეგმავს კაპიტალის ბაზრის, საპენსიო და მიწის რეფორმების განხორციელებას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების გაფორმებით ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.

გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა.

მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერებისა და კომერციული ატაშეების სისტემის დანერგვისკენ.

6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

გაგრძელდება პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი მონიტორინგის ერთიანი სისტემის რაც ეფუძნება გამჭვირვალე, შედეგზე ორიენტირებული, საზოგადოების ჩართულობის პრინციპსა და ანგარიშვალდებულებაზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების იდეას.

სახელმწიფოს მიერ კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა.

გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება;

განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველო, როგორც კორუფციასთან ბრძოლის კუთხით რეგიონის აღიარებული ლიდერი და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თანათავმჯდომარე ქვეყანა, გააგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს თავისი მიღწევები კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ;

მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა;

გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართობების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული.

მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებლები დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი.

პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი.

8. კულტურა , რელიგია , ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში.

დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი.

გაგრძელდება ალტერნატიული გზების ძიება კულტურის სფეროს დაფინანსების მოძიებისთვის და დივერსიფიკაციისთვის.

განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად;

გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის;

გაგრძელდება სახელოვნებო განათლების განვითარების ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

შენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და რაგბის კომბინირებული მოედნები.

გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

გაგრძელდება მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების ხელშესაწყობად.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას;

მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობისაკენ.

გაგრძელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა.

გაგრძელდება გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) აქტიური თანამშრომლობის გზით საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ციფრული დიპლომატიის მეშვეობით გაგრძელდება მოქალაქეებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის დამყარება;

გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

10. სოფლის მეურნეობა

გაგრძელდება აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს.

შემუშავდება სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე.

გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები;

განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები. ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლებას, აგრობიზნესზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და შესაბამისი ექსტენციის პაკეტების შემუშავებას.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, რაც განხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში.

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები ქვეყანაში ბიოაგრომეურნეობების განვითარების და ასევე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრების მიმართულებით;

დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

11. სასამართლო სისტემა

გაგრძელდება და დასრულდება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღა;

განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა;

განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.

სასამართლოში საპილოტე წესით დაინერგება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა;

საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე;

ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

გაგრძელდება თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა

თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი მმართველობა.

ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.

გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა.

დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები ბიომრავალფეროვნების დაცვა- შენარჩუნებისა და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით.

დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება- გაუმჯობესებას;

გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა;

გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

გაგრძელდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს;

გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა;

გაგრძელდება და გაფართოვდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომური მაჩვენებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების სტრუქტურა

ფინანსური და არაფინანსური აქტივების სტრუქტურა

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომური მაჩვენებლები

2018 წლის ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია სამთავრობო პროგრამის „ თავისუფლება , სწრაფი განვითარება , კეთილდღეობა “ შესასრულებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა დონის ბიუჯეტს-სახელმწიფო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს, აქვთ ერთნაირი კლასიფიკაცია.

2018 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის (წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქტის საბაზრო ღირებულება) რეალური ზრდის პროგნოზი 4.5%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი (ყველა საბოლოო პროდუქტის და მომსახურების საშუალო ფასები) 4.0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5..2%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3.0%-ის ფარგლებში.


მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2018 წელს ნომინალური მშპ-ს მოცულობა 40.4 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2021 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 51.9 მლრდ

ლარამდე.

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები 2016-2018 წწ-ში.

დასახელება	2016 ფაქტი	2017 მოსალოდნელი	2018 პროგნოზი
მშპ-ს რეალური ზრდა (ზრდის ტემპი)	2.7%	4.0%	4.5%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	33,921.6	36,689.60	40,448.8
საშუალო წლიური ინფლაცია	2.1%	4.00%	3.5%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	1.8%	4.00%	3.5%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	44.6%	42.90%	44.8%

რეალური და ნომინალური მშპ-ს დინამიკა



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კლასიფიკაცია (სტრუქტურა)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ სახსრებს, ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ სახსრებს, ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებს.

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა.

შემოსულობები

=

შემოსავლები

+

არაფინანსური აქტივების კლება

+

ფინანსური აქტივების კლება


+

ვალდებულებების ზრდა

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი



შემოსავლების კლასიფიკაცია

საქართველოში შემოსავლები იყოფა 3 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების 82.3%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 10,120.0 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 25.0%-ია.


ცხრილი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ. ლარი

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	გადახრა (2018-2017)
შემოსავლები	8,580.0	9,489.5	10,120.0	630.5
გადასახადები	7,986.8	8,820.0	9,470.0	650.0
გრანტები	296.8	284.5	265.0	-19.5
სხვა შემოსავლები	296.4	385.0	385.0	0.0

გრაფიკი. 2018 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა,



გადასახადები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9,470.0 მლნ ლარს, რაც 2017 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 650.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 93.5%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.4%-ს შეადგენს.

გრანტები


2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლის გეგმასთან შედარებით 19.5 მლნ ლარით ნაკლებია და 265.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%.

სხვა შემოსავლები

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი უცვლელია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით და შეადგენს 385.0 მლნ ლარს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3.8%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.9%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლებს საკუთრებიდან (სახელმწიფოს საკუთრებაში ან წილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები) და ჯარიმებს.

გრაფიკი. სხვა შემოსავლების სტრუქტურა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

მლნ. ლარი



არაფინანსური აქტივების კლება

2018 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 60.0 მლნ ლარს, რაც 30.0 მლნ ლარით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 5.0 მლნ ლარით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე და წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

ვალდებულების ზრდა

სახელმწიფოს მიერ სესხების აღებით 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მოხილავებული იქნა 2,038.0 მლნ ლარი, მათ შორის:


- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება - 400.0 მლნ ლარი.
- გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები - 146.0 მლნ ლარი.
- საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 146.0 მლნ ლარი.
- მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) (EU) მისაღები სახსრები - 58.0 მლნ ლარი.

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაცემი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები - 1,288.0 მლნ ლარი.

ვალდებულებების ზრდა მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 16.6% და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.0%-ია.

საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა და თითოეული გადასახადის ანალიზი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესების მართვის გაუმჯობესების კუთხით. 2009 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით არსებობს 6 სახის გადასახადი, ესენია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების ანალიზი.


შემოსავლების ანალიზისათვის პირველი საკითხია საგადასახადო ტვირთის შეფასება და დინამიკის ანალიზი. საგადასახადო ტვირთის ყველაზე მიღებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს გადახდილი გადასახადების თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან (მშპ-სთან), რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ ჯამური შემოსავლის რა ნაწილის გადახდა უწევს მთლიან საზოგადოებას.



დიაგრამა 1. საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-სთან

